პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხაედბა ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 8 მაისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 102 (1847)

დღიური

— იტალია-სამხრეთ-სლავიის მოლაპარაკება ახლო ხანში დაიწყება.
— გაფიცვების ტალღა საფრანგეთში.
— მზადება საქალაქო არჩევნებისათვის პოლონეთში.
— კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების აღმოჩენა ოსმალეთში.
— მოკატოვის (პოლონეთი) ციხეში პატიმართა აჯანყება გრძელდება.
— საბჭ. კავშირთან კულტურული კავშირის საზ-ბის დაარსება საფრანგეთში.
— აფეთქება შეერთებული შტატების ქვა-ნახშირის მაღაროებში.

კანონი ტრედიუნიონების წინააღმდეგ

თემთა პალატამ კონსერვატორების ხმების უმრავლესობით მიიღო კანონპროექტი პროფესიონალური კავშირების შესახებ. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის ამ ახალი კანონის შინაარსი: ის უკანონო აქტად აცხადებს საყოველთაო და სოლიდარობის გამოსახატავად მოხდენილ გაფიცვას, გამოდის შტრეიკბრეხერთა დამცველად და კრძალავს ტრედიუნიონების მიერ პოლიტიკური მიზნისათვის, ესე იგი მუშათა პარტიის საჭიროებისათვის ფულის შეგროვებას. ესაა პროფკავშირების, როგორც პროლეტარიატის კლასობრივ ორგანიზაციის, სრული განადგურება.

პროფკავშირების უფლების მოსპობა არის ლოღიკური დაბოლოვება იმ შეტევის, რომელიც ერთი წლის წინად კაპიტალისტებმა დაიწყეს მუშათა კლასის და პირველ ყოვლისა მისი მოწინავე რაზმის, მემაღაროეთა წინააღმდეგ, როგორც ვიცით, ამ ბრძოლაში მუშები დამარცხდენ. კონსერვატორების მთავრობამ პარლამენტში გაატარა რვა საათის სამუშაო დღე, მემაღაროებს ხელფასი შეუმცირეს. მაგრამ ბურჟუაზია ამითაც არ დაკმაყოფილდა. მისთვის ცხადი იყო, რომ მუშათა კლასი ასეთ მდგომარეობას დიდხანს ვერ მოითმენს, ძალებს მოიკრებს და იერიშებზე გადავა გათავხედებულ ექსპლოატატორების ასალაგმავად და აი, უკანასკნელებმა მოიწადინეს ბრძოლის საშუალებათა ხელიდან გამოგლეჯა პროლეტარიატისათვის, სანამ ის კიდევ წელში არ გამართულა შარშანდელი დამარცხებიდან. შედეგად გვაქვს ხსენებული კანონი ტრედიუნიონების შესახებ.

ყველამ ვიცით, რომ 1926 წლის საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვის ჩაშლა და მრეწველების გამარჯვება უმთავრესად აიხსნებოდა ინგლისის პროლეტარიატის მემარჯვენე ბელადების სამარცხვინო მოღალატეობით. მათ ზურგში ლახვარი ჩასცეს მებრძოლ მუშებს, ხრევ-დარევა შეიტანეს მათ რიგებში, გასტეხეს მათი რევოლიუციონური ნებისყოფა და ამით უზრუნველყვეს კაპიტალისტების ზრახვების განხორციელება. დღესაც ესევე ისტორია განმეორდა. ეჭვს გარეშეა, რომ კონსერვატორები ვერ გაბედავდენ ხსენებულ კანონის გატარებას, თუ დარწმუნებულნი იქნებოდენ, რომ ტრედიუნიონების და მუშათა პარტიის ხელმძღვანელი წრეები ამას გადაჭრით შეებრძოლებოდენ. მაგრამ ბოლდუინის მთავრობამ და თემთა პალატის კონსერვატიულმა უმრავლესობამ მშვენივრად იცოდენ ტომასების, სნოუდენების და მსგავს „ლიდერების“ „რევოლიუციონერობის“ ფასი.

მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარჯვენე ელემენტებმა ამ შემთხვევაშიც არაჩვეულებრივად გამცემლური როლი ითამაშეს. მოღალატე სპენსერი აშკარად გამოვიდა მთავრობის კანონპროექტის დამცველად. უფრო „ცნობილი“ ხოჯესი (მემაღაროეთა ინტერნაციონალის მდივანი) დიდი ხანია ლაპარაკობს, რომ „ტრედიუნიონიზმი წარმოადგენს განმამტკიცებელ და შემსწორებელ ძალას ინდუსტრიაში. როცა ტრედიუნიონიზმი ისტორიით მისთვის დასახულ გზას მისდევდა, ის მწარმოებლებს დიდ დახმარებას უწევდა“-ო. ხოჯესის აზრით, შარშან ტრედიუნიონებმა ამ გზას გადაუხვიეს გაფიცვის გამოცხადებით და საჭიროა ისინი კვლავ იქნენ ძველ კალაპოტში ჩაყენებული, ე. ი. ხელი უნდა აიღონ კლასობრივ ბრძოლაზე და ამ აზრით განისაზღვროს მათი უფლებებიო. „პროფკავშირების უფლებათა დამცველი კომიტეტი“ აცხადებდა, რომ ის „გამოიყენებს პროპაგანდის და ბეჭდვითი ინფორმაციის ყველა საშუალებებს“. სნოუდენმა, სთქვა, რომ „თუ კანონპროექტი კანონად იქცევა, მუშათა პარტია ისარგებლებს პირველ შემთხვევით რომ ის გააუქმოს“.

აქედან ნათელი იყო, რომ მათი ბრძოლა კონსერვატორების კანონპროექტების წინააღმდეგ არ გასცილდებოდა უბრალო სიტყვიერებას და კონსტიტუციით ნებადართულ ფორმებს. და ჩვენ ვიცით, რომ ტრედიუნიონების აღმასკომთა კონფერენციამ უარყო მემარცხენეთა წინადადება საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების და საერთოდ გადაჭრილი რევოლიუციონური ზომების მიღების შესახებ, თუ კონსერვატორები თავის კანონპროექტს კანონის ძალას მისცემდენ. ამის მაგივრად ისინი დაკმაყოფილდენ საერთო, არაფრის მთქმელი რეზოლიუციით კანონპროექტის წინააღმდეგ. ამავე დროს, გენსაბჭო დევნის პროფმოძრაობის მემარცხენე უმცირესობას, ისე როგორც მუშათა პარტია აძევებს თავის ორგანიზაციებიდან კომუნისტებს. მემარჯვენეებს ეშინიათ რევოლიუციონურ ელემენტების გაძლიერების პროფორგანიზაციებში, რის ასაცილებლად ისინი არსებითად მხარს უჭერენ ტრედიუნიონების უფლებების შეკვეცას.

რა თქმა უნდა, ისინი შეეცდებიან მუშათა კლასს თავი მოაჩვენონ მის დამცველებათ და ამის „დამამტკიცებლად“ მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ მუშათა პარტიამ თემთა პალატაში კანონპროექტის წინააღმდეგ მისცა ხმა. მაგრამ ამ პარლამენტარული ოპოზიციობით თამაშმა საეჭვოა ვინმე შეცდომაში შეიყვანოს. მემარჯვენეთა როლი სავსებით გამორკვეულია. ისინი ახლაც კაპიტალისტებთან ერთად არიან მუშათა კლასის წინააღმდეგ. ინგლისის პროლეტარიატი კი კომპარტიის და მემარცხენე ლიდერების ხელმძღვანელობით გააგრძელებს თავის ძალების მობილიზაციას, რათა ქაღალდის ნაგლეჯად აქციოს პროფმოძრაობის გამანადგურებელი ახალი კანონი და გაუსწორდეს თავაშვებულ კაპიტალს. შეტევის გაძლიერება მუშათა კლასსზე აუცილებლად იწვევს რევოლიუციონურ ბრძოლის გამწვავებას, რომლის მოსპობა არავითარ კანონს არ შეუძლია, თუ გინდ ის ინგლისის ბურჟუაზიის კანონი იყოს, ინგლისის, სადაც ჯერ-ჯერობით ყველაზე უფრო მტკიცედ მძლავრია, ვინემ სხვა ქვეყნებში, მოკრძალება ბურჟუაზიული კანონებისა და კონსტიტუციის წინაშე. კლასთა ბრძოლის ლოღიკა, წინააღმდეგ ტომასების ცდისა, ამ ფეტიშს დაამსხვრევს.

სიყალბისა და შეთქმულების პოლიტიკა

შუბლმაგართა განგაში ჩან-ძო-ლინის „სენსაციურ“ ანტი-საბჭოთა დოკუმენტების“ ირგვლივ სულ უფრო და უფრო გააფთრებული ტემპით სწარმოებს. ნათელი ხდება, მთელ ამ განგაშს მართავს უხილავი რეჟისორის ჯოხი: საიდუმლო მოლაპარაკებანი დიპლომატიურ კორპუსთან, ჩან-ძო-ლინის ბანდიტების საბჭოთა საელჩოს ტერიტორიაზე თავდასხმის წინ; შემდეგ ფორმალური ნებართვის მიცემა თავდასხმისათვის; ინგლისელ ჯარის კაცთა რაზმის იარაღით ხელში ყოფნა თავდამსხმელების გვერდით; „დოკუმენტების“ საზეიმო დათვალიერება დიპლომატიურ კორპუსის მიერ ინგლისის დიპლომატიურ კორპუსის მეთაურობით; კონსერვატიული პრესის სიცრუისა და ცილის წამების გააფთრებული კამპანია; დღიდან-დღემდე „შეკითხვებ“ თითქოს „ფორეინ ოფისი“-დან მიღებულ „შპარგალკებით“ დოკუმენტების შესახებ; მთავრობის წარმომადგენელთა თვალთმაქცობით და სიყალბით აღსავსე პასუხები,—ყოველივე ეს შეხმატკბილებული იყო. და შედეგად ამისა მყვირალა, გამაყრუებელი ანტი-საბჭოთა კაკაფონია „ჰაი-ჰუის მოტივზე, ჩან-ძო-ლინის ხუნხუზების და რუს თეთრ გვარდიელების შესრულებით. შუბლმაგრები ყოველ გზა-ჯვარედინზე გაჰკივიან სენსაციურ დრამატიულ მხილებების შესახებ პეკინში. ამავე დროს გამეძავებული რუსი თეთრ გვარდიელები და მუკდენელი სატრაპები გულმოდგინეთ ამზადებენ დოკუმენტებს ჯენტლემენ-შემკვეთლებისათვის. საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. ჩორნიხს, მიუხედავად ენერგიული მოთხოვნილებისა, უარი უთხრეს დასწრებოდა ჩხრეკას და ამიტომ თეთრ გვარდიელ სპეცებს ყალბი დოკუმენტების დამზადებაში, შეეძლოთ „ეპოვათ“ ყველაფერი, რაც სურდათ. თუ რაიმე არ იყო დამზადებული თავის დროზე, დამზადებულ იქნება რამოდენიმე კვირის განმავლობაში, ვინაიდან „დოკუმენტები“ ჩინეთის ოხრანკაში იმყოფება, და მათ შეუძლიათ სრულიად დაუბრკოლებლად გაამრავლონ მათი რაოდენობა. მაგრამ ჩემბერლენის ან ჩან-ძო-ლინის სპეცების კვალიფიკაცია ვერ გამოდგა კარგი: მათი სიყალბე გამოაშკარავა ყალბი დოკუმენტების ძველმა ორთოგრაფიამ და ცხადია, რომ გაეფანტათ შთაბეჭდილება, ყალბი საქმის ხელოსნებმა გადასწყვიტეს მსოფლიო გაკვირებიათ ნამდვილი დოკუმენტით, რომელიც მათ სადღაც ამოიკითხეს კომინტერნის მეშვიდე გაფართოებულ პლენუმის რეზოლიუციაში ჩინეთის საკითხის შესახებ.

მაგრამ არ ღირს საქმის ტექნიკაზე შეჩერება, საინტერესოა პოლიტიკური სარჩული. ამ სარჩულის გამოსარკვევად კი საკმაოა დაისვას საკითხი: რამდენი ხანია, რაც ინგლისის დიპლომატიამ იკისრა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობათა და სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევისაგან თავდაჭერის პრინციპის დამცველის როლი? მართლაც მაგარი, მაგრამ სპილენძის შუბლი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ გენერალური პროკურორის როლში გამოვიდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმის შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა მრავალ მზაკვრულ ანტი-საბჭოთა შეთქმულებებს, მაგალითად, ხიდის აფეთქება ზვანკასთან, რომ ამით შეეჩერებიათ სურსათის შეტანა მოსკოვში ინტერვენციის დროს, მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა „პრავდა“-ს ყალბი ნომრები ინგლისის სკოტლანდიარდის სტამბაში, მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა ინგლის-ესტონეთის ჯაშუშების მუშაობას ლენინგრადში, მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა კონსპირაციას ყოველგვარი ჯურის თეთრგვარდიელ ავანტიურისტებთან, როგორც მაგალითად საბლინი და სხვანი, მას შემდეგ, რაც აუარებელ ანტი-საბჭოთა ინტრიგებს აქვთ ადგილი პეკინში, ტოკიოში, პარიზში, ბერლინში, რომში, ვარშავაში, და მსოფლიოს ყველა დედა-ქალაქებში.

ან იქნება ეს ასე არ არის. იქნებ ეს ჩვენი „ნერვიული ტვინის შედეგია“, როგორც ამბობენ კეთილშობილი ჯენტლემენები ოფიციალურ ნოტებში. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი ტვინი იფარება მაგარი შუბლის იქით, მაგრამ ზოგიერთი ფაქტები ვიცით.

ჩვენ აშკარად ვიცით, რომ ლოკარნოს სისტემა საბჭოთა კავშირის გარე-მოცვისაკენ არის მიმართული. ამას ნათლად მოწმობს ინგლისის საიდუმლო მემორანდუმი, რომელიც თავის დროზე იყო გამოქვეყნებული ნიუ-იორკის გაზეთ „ვორლ“-ში. ამას მოწმობს ორმსბიგორის ცნობილი განცხადება. ეს ფაქტია.

ჩერჩილის მოლაპარაკება მუსოლინისთან რომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამის შესახებ აშკარად სწერდა ფაშისტური პრესა. ეს ფაქტია.

„დეილი ტელეგრაფი“, „ფორეინ ოფისი“-ს შთაგონებით უკანასკნელ დღეებში სისტემატიურ კამპანიას აწარმოებს გერმანიის მიერ ჩვენთვის სავაჭრო კრედიტების მიცემის წინააღმდეგ. ეს უმაგალითო საზიზღარი კამპანია, რომლის მაგვარს ადგილი არ ჰქონია საერთაშორისო ურთიერთობაში, მიმართულია ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დარღვევისაკენ ორი დიდი ქვეყნის შორის. არა ნაკლებ გამოჩენილი ჟურნალისტი და კონსერვატიული პარტიის ცნობილი მოღვაწე გარდინი თავის „ობსერვერ“-ში აშკარად მოუწოდებს ამერიკას, არ მისცეს კრედიტი საბჭოთა მთავრობას და შეუერთდეს კავშირს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ფაქტია.

ჩვენ გადაჭრით და ხმამაღლა ვაცხადებთ პროტესტს იმ უაღრესად საძაგელი კონსპირაციის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ხალხების იზოლაციისა და გარემოცვისაკენ. ჩვენ დაჟინებით და ენერგიულად ვაცხადებთ პროტესტს იმ ვაჟბატონების პროვოკაციულ ხრიკების წინააღმდეგ, ვინც დაარღვია 1924 წლის ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება. სისტემატიურად უარყოფდა ჩვენს წინადადებებს სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად და ვისაც ეხლა კიდევ შესწევს გამბედაობა ბრალი დაგვდოს აგრესიული ინტრიგებში.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი მოწოდება მშვიდობიანობისაკენ სათანადო გამოხმაურებას ჰპოვებს მუშებში საერთოდ და ინგლისის ფართო მშრომელ მასსებში და ინგლისის დომინიონების და კოლონიების ხალხებს შორის, ყველა ქვეყნის პროლეტარიატს შორის, რომელთაც სწყურიათ მშვიდობიანობა.

მოსკოვი, 7 მაისი.

საბჭოთა დელეგატების გამოსვლა ჟენევის კონფერენციაზე

კონფერენციამ დიდის ყურადღებით მოისმინა საბჭოთა დელეგატების სიტყვები

საბჭოთა დელეგატების თათბირი უცხოეთის დელეგაციების წევრებთან

უთანხმოება იმპერიალისტებს შორის კონფერენციაზე.--ჩინეთის დელეგატის სიტყვა

საბჭოთა დელეგატების გამოსვლა

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება

ჟენევა, 7 მაისი. საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის დღევანდელ დილის სხდომაზე დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი საბჭოთა დელეგაციის წევრის სოკოლნიკოვის სიტყვა.

როცა სოკოლნიკოვი ავიდა ტრიბუნაზე, მრავალრიცხოვანი დელეგატები გაეშურენ, რომ პირველ რიგში დაეკავებიათ ადგილი.

სოკოლნიკოვმა დაიწყო იქედან, რომ მოაგონა კონფერენციის მონაწილეთ მრავალრიცხოვანი წინასწარმეტყველებანი საბჭოთა კავშირის სოციალური ორგანიზაციის აუცილებელი კრახის შესახებ. ამას წინასწარმეტყველებდენ მთელი ხუთი წლის განმავლობაში ევროპის ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწენი სხვადასხვა პირობებში, სხვათა შორის გენუის კონფერენციაზეც.

დაბრკოლებებს, გამოწვეულთ ომის გამანადგურებელი შედეგებით, რომელთაც საბჭოთა კავშირი განიცდის,—სთქვა სოკოლნიკოვმა, —მაშინ უსამართლოდ აწერდენ საბჭოთა ეკონომიკის სოციალურ საფუძვლებს.

შემდეგ სოკოლნიკოვმა დახატა საბჭოთა წობილების პირობებში ეკონომიური ცხოვრების აღდგენის დაწვრილებითი სურათი.

მოიხსენია რა ძველი რეჟიმის აღდგენის მრავალრიცხოვანი ცდები, რომლებიც ახლა საბოლოოდ დამარცხებულად შეიძლება ჩაითვალოს, სოკოლნიკოვმა განაგრძო: „ეს ამტკიცებს რამდენად უსაფუძვლო იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიურად დამარცხებაზე დამყარებული იმედები. საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია მიზნად ისახავს ბოლო მოუღოს დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიან ეკონომიური ცხოვრების განვითარების და შეიმუშავოს ეკონომიკის განვითარების ახალი გზები.

ერთ-ერთ ასეთ გზას ეჭვს გარეშე წარმოადგენს ეკონომიური ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან, რომელსაც დიდძალ, ჯერ კიდევ სავსებით დაუმუშავებელ სიმდიდრეთა გარდა, მოეპოება აგრეთვე განმტკიცების და გაძლიერების გზაზე დამდგარი მრეწველობა და მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია“.

აღნიშნა რა მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ძირითად სახალხო სამეურნეო წარმოებათა, რომლებშიც წარსულ საბიუჯეტო წელში საშუალოდ დაბანდებული იქნა 800 მილიონი მანეთი, წელს—კი ერთი მილიარდი მანეთი, სოკოლნიკოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ამოცანა მდგომარეობს სახალხო მეურნეობის ნაყოფიერებისათვის ხელის შეწყობაში.

„ამ საფუძველზე დაწყებული საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღორძინება,—სთქვა სოკოლნიკოვმა,—მომავალშიც ამ გზით გაგრძელდება.

ბერლინი, 7 მაისი ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ სოკოლნიკოვის სიტყვამ, მდიდარმა ფაქტიური შინაარსით, კონფერენციის დელეგატებზე მეტად დამაკმაყოფილებელი გავლენა მოახდინა. ამას ამტკიცებს მხურვალე ტაში, რომლითაც დააჯილდოვა სოკოლნიკოვი მთელმა დარბაზმა, რომელიც არაჩვეულებრივი ყურადღებით ისმენდა მის მოხსენებას. (ადს).

ამხ. ოსინსკის მოხსენება

ჟენევა, 7 მაისი. ოსინსკის სიტყვა, მიუხედავათ იმისა, რომ იგი წარმოადგენდა საბჭოთა დელეგაციის მეორე გამოსვლას ერთსა და იმავე დღეს, ყურადღებით იქნა მოსმენილი.

საბჭოთა დელეგაცია ყურადღების ცენტრში

ჟენევა, 6 მაისი. საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარის ლუშერის ინიციატივით მოხდა მისი შეხვედრა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ოსინსკისთან. შეხვედრის დროს განხილული იქნა საბჭოთა დელეგაციის შაბათის გამოსვლის ტეხნიკური მხარე.

ოსინსკი ილაპარაკებს მსოფლიო მეურნეობის შესახებ, სოკოლნიკოვი—საბჭოთა მეურნეობის შესახებ.

ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის წევრის ტაიელრის ინიციატივით მოხდა მისი შეხვედრა საბჭოთა დელეგაციის წევრ ლეპსესთან. ხინჩუკს თათბირი ჰქონდა პორტუგალიის დელეგაციის წევრ მონისთან. ჟუო შეეცადა ენახა ოსინსკი, როგორც იუწყებიან იმ მიზნით. რომ „გავლენა მოეხდინა ოსინსკის ხვალინდელ გამოსვლასთან დაკავშირებით“.

იაპონიის დელეგატის სიტყვა

ჟენევა, 6 მაისი. 6 მაისს კონფერენციის დილის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა იაპონიის დელეგატმა **სიდაციმ.**

„სახელმწიფოების პროტექციონული პოლიტიკა ომის შემდეგ, — განაცხადა სიდაციმ, ნედლეულის მონოპოლიზაცია, და მოსახლეობის არასწორი განაწილება —აი, ძირითადი ტენდენციები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ საყოველთაო მშვიდობიანობისათვის. ეს პრობლემები კონფერენციამ უნდა განიხილოს პირველ რიგში.

შემდეგ სიდაციმ გამოსთქვა იმედი, რომ შესაძლო გახდება საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება შორეულ აღმოსავლეთში.

აღნიშნა რა იაპონიისა და შეერთებულ შტატების შორის არსებული ეკონომიური ურთიერთობა, სიდაციმ მიესალმა შეერთებულ შტატების წარმომადგენლის დასწრებას კონფერენციაზე. **შემდეგ სიდაციმ განაცხადა, რომ ის დიდის სიხარულით მიესალმება საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს.**

„ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ, — დაამთავრა მან,—იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც რუსეთი ითამაშებს ახლო მომავალში მსოფლიო ეკონომიურ საქმეებში“.

ინგლისის დელეგატის გამოსვლა

ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის დელეგატმა, ინგლისის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარემ **მესპრატმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის მეურნეობის წონასწორობა სერიოზულად დარღვეულია.** მოსახლეობის სყიდვითი უნარი დაეცა და საერთო გაღარიბების გამო ინგლისის მსოფლიო ვაჭრობა შემცირდა. ამან გავლენა მოახდინა როგორც ინგლისის ექსპორტზე, ისე ინგლისის [illegible]. ამავე დროს, იმპორტი ინგლისში ძველ დონეზე დარჩა. ინგლისის [illegible] წარმოება აწეულია [illegible] დაინტერესებულია ეკონომიური ურთიერთობის სტაბილიზაციაში და [illegible] მსოფლიოს სყიდვითი უნარის აწევაში. (ადს).

6 მაისის სხდომა

ჟენევა, 6 მაისი. საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის მონაწილენი დიდის ინტერესით მოელიან **ოსინსკის** და **სოკოლნიკოვის** გამოსვლას დილის სხდომაზე და **ლუშერის** გამოსვლას საღამოს სხდომაზე.

6 მაისს დილის სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ პორტუგალიის ბანკირი, ჩილიის მრეწველი, ბრაზილიის ძასის სავაჭრო ატაშე ლონდონში და ინგლისის სავაჭრო ნაოსნობის და ამერიკის და შვეციის საბანკო წრეების წარმომადგენელნი.

ბანკირების გამოსვლა

ინგლისის ვაჭრობის სამინისტროს სანაოსნო დეპარტამენტის დირექტორმა **ნორმან ხილმა** განაცხადა, რომ სანაოსნო კომპანიები უკვე ეხლაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობენ მსოფლიო მეურნეობის კრიზისის მოგვარებას სათანადო ფრახტის დაწესებით, განსაკუთრებით სამრეწველო და სამეურნეო ტვირთებზე.

ნორმან ხილი აუცილებლად სცნობს გაკრიტიკებულ იქნას მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის და ვაჭრობის ტენდენცია საბაჟო ზღუდეების შექმნისაკენ, რომელიც ძირს უთხრის საერთაშორისო ვაჭრობას. ინგლისის საბანკო წრეების წარმომადგენელმა **რობინსონმა** ილაპარაკა ჩრდილო ამერიკულ შეერთებულ შტატების რაციონალიზაციაზე და აღნიშნა, რომ ამერიკის რაციონალიზაციის წარმატება უპირველეს ყოვლისა აიხსნება ნედლეულის უდიდესი ბუნებრივი მარაგით.

შემდეგ რობინსონი შეჩერდა ევროპის ეკონომიურ პრობლემებზე, განსაკუთრებით ამ პრობლემების გადაწყვეტის ცდებზე კარტელებში შეკავშირებით. რობინსონის აზრით, წარმოებების შეკავშირება კარტელებში წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაში შესაძლო იქნება საბაჟო ზღუდეების ნაწილობრივ გაუქმება ევროპაში და მრეწველობის უფრო ხელსაყრელ პირობებში ჩაყენება; ეს გაგრძელდება იმ მომენტამდე, როცა პოლიტიკური პირობები შესაძლებელს გახდიან, რომ მიღებულ იქნას უშუალო ღონისძიებანი საბაჟო ზღუდეების გასაუქმებლად. მაგრამ თუ მრეწველობის კარტელებში გაერთიანება არ მოხდება გეგმა-შეწონილად, იგი შეიძლება დადგეს ცუდ გზაზე, რომელზედაც დადგენ ზოგიერთი ამერიკული ტრესტები, რომელთაც აირჩიეს მონოპოლიზაციის და გადაჭარბებული ექსპლოატაციის გზა. ამერიკის ხალხთა უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფოს მონაწილეობისადმი სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებში, რობინსონის აზრით, იქონიებს გავლენას ამერიკის დამოკიდებულებაზე ყოველგვარი ისეთი ორგანიზაციისადმი, რომელშიაც თავს იჩენს სახელმწიფოს მონაწილეობა და კონტროლი მრეწველობასა და ვაჭრობაზე.

შვეციელმა დელეგატმა **რიდბეკმა** განაცხადა, რომ ყველა ცდები მსოფლიო მეურნეობის კრიზისის თავიდან ასაცილებლად, უნდა დაემყაროს უდიდესი სარგებლიანობის პრინციპს. ეკონომიური თანასწორუფლებიანობა, საბაჟო ტარიფების სტაბილიზაცია, ვაჭრობისათვის გრძელვადიანი კრედიტების მიწოდება, ხელის აღება საბაჟო ომებზე,—ნამდვილ საფუძველს წარმოადგენენ ვაჭრობის თავისუფლებისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა აღსდგეს. (ადს).

ნორვეგიის წარმომადგენლის სიტყვა

ნორვეგიის დელეგაციის წევრმა, ნორვეგიის ბანკის დირექტორმა **რიგმა** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მსოფლიო მეურნეობის აღდგენა, მისი აზრით, უნდა მოხდეს საერთაშორისო ხელშეკრულებათა სისტემის აღდგენით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის ცოტად თუ ბევრად მუდმივ ნორმებს.

დე-მიშელის მოხსენება

სხდომის საქმიანი ნაწილი გაიხსნა იტალიის დელეგაციის წევრის **დე-მიშელის სიტყვით,** რომელიც როგორც სასოფლო-მეურნეობის საერთაშორისო ინსტიტუტის თავმჯდომარე, დაწვრილებით შეეხო მსოფლიო აგრარული კრიზისის პრობლემას.

ჩინეთის დელეგატის გამოსვლა

ჩინელმა დელეგატმა **ჩუუ-ან-ჩაომ** თავის გამოსვლაში უმთავრესი ყურადღება მიაქცია უთანასწორო ხელშეკრულებათა საკითხს. ჩუუ-ან-ჩამ ხაზი გაუსვა მშვიდობიანობის საფრთხეს, რომელსაც ქმნის ამ ხელშეკრულებათა დატოვება და განაცხადა: „ჩინეთი მოითხოვს, რომ მას მიეცეს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ეკონომიური პოლიტიკის მიმართულება. ეკონომიური კრიზისი და შინაური კონფლიქტები ჩინეთში აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმ ეკონომიური შეზღუდვით, რომელიც ჩინეთს მოახვიეს თავზე უთანასწორო ხელშეკრულობებით. პეკინის მთავრობას დღემდე არ ძალუძს შემოიღოს დამატებითი ბაჟები, რის შესახებაც მიიღო დადგენილება ვაშინგტონის კონფერენციამ. კონტროლი ჩინეთის ვაჭრობაზე სავსებით უცხოელთა საბაჟოს მოხელეების ხელშია. საბაჟო სუვერენიტეტის შეზღუდვა პეკინის მთავრობის პოლიტიკური სისუსტის ერთი უმთავრესი მიზეზია. (ადს).

ლენინური რიგების მორიგი შემოწმება

(ა. ლ. კ. კ. სრულიად საქართველოს კონფერენციის გამო)

დღეს იხსნება ლენინური კომკავშირის სრულიად საქართველოს კონფერენცია.

დაახლოებით წელიწადნახევარი გავიდა საქართველოს კომკავშირის მერვე ყრილობიდან. დროის ამ მონაკვეთში კავშირი გაიზარდა რიცხობრივად და თვისობრივად.

ამ პერიოდმა კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი შემატა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ მოძრაობის ისტორიას.

მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა კომკავშირს მუშაობა, მეტად რთული იყო ის სიძნელენი, რომელიც გადალახა მან თავის საქმიანობის დროს. ერთი მხრივ, კავშირმა განიცადა ერთგვარი კრიზისი მუშაობის ფორმების და მეთოდების გამო მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის მოთხოვნილებებთან შეუთვისებლობის გამო, მეორე მხრივ, კავშირს მოუხდა დაუნდობელი ბრძოლის წარმოება ოპოზიციასთან, რომელიც უნდობლობას სთესავდა ჩვენს რიგებში სოციალიზმის მშენებლობისადმი და, დასასრულ, კავშირი გადამწყვეტი ბრძოლით გამოვიდა ახალგ. ანტიკომუნისტურ ჯგუფების წინააღმდეგ, რომელთაც აქა-იქ გამოცოცხლების ნიშნები დაეტყო.

ყველა ფრონტებზე ორგანიზაციამ გამარჯვება მოიპოვა, — და სრულიად საქართველოს კონფერენციაზე იგი წარსდგება ლენინურად გამობრძმედილი ფოლადისებური რიგებით და მთელი რიგი ორგანიზაციული და პოლიტიკური მიღწევებით.

უკანასკნელი ყრილობის შემდეგ კავშირს შემატა 13.946 ახალი წევრი. ზრდა მიმდინარეობდა განსაკუთრებით მუშური, მოჯამაგირე, ღარიბის, საშუალო გლეხების და მოსწავლე ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის ხარჯზე. კომკავშირმა კიდევ უფრო გააძლიერა თავისი გავლენა მშრომელი ახალგაზრდობის მასებზე. კავშირის ზრდასთან და განვითარებასთან დაკავშირებით, ჩვენ მოგვიხდა მთელ რიგ ცვლილებების შეტანა მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში.

საქართველოს კომკავშირი ნელა, მაგრამ თანდათანობით გადავიდა მუშაობის ახალ რელსებზე. ყურადღების ცენტრში იდგა საკითხი კომიტეტების ცოცხალი ხელმძღვანელობის შესახებ. ნაწილობრივად აღმოფხვრილ იქნა აგრეთვე მიმდინარე მუშაობის ზოგიერთი ნაკლიც.

ახალგაზრდობის ხალი მოთხოვნილებათა გათვალისწინების საფუძველზე იქმნებიან მუშაობის ახალი ფორმები, უკანასკნელ თვეებში ჩვენ მოწმენი ვართ ისეთი ფაქტების, როგორიც არის კონკურსების ჩატარება საუკეთესო მწარმოებელზე; ჩვენ გვაქვს აგრეთვე ისეთი ფაქტები, რომელნიც გვიჩვენებენ, თუ როგორ ზრუნავს კომკავშირი წარმოებაზე, როგორი აქტიურ მონაწილეობას იღებს ის პარტიის გადაწყვეტილებათა გატარებაში მრეწველობის რაციონალიზაციის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ და სხვ.

ასეთივე მდგომარეობა შეგვიძლია აღვნიშნოთ სოფლადაც; აქ კომკავშირი საერთო-სასარგებლო წამოწყებების ინიციატორია და პარტიის ხაზის საუკეთესო გამტარებელი.

კომკავშირის შეუჩერებელი ყოველდღიური მუშაობასთან ერთად იზრდება მისი ხვედრითი წონაც. საბჭოების უკანასკნელმა არჩევნებმა ეს სავსებით დაამტკიცა. უდავოა კომკავშირელთა მნიშვნელოვანი პროცენტიული ზრდა საბჭოებში.

ყოველდღიურ აღმშენებლობითი მუშაობასთან ერთად კომკავშირი სათანადო ყურადღებით ეპყრობა საერთაშორისო ხასიათის საკითხებსაც. უდიდესი ინტერესი ჩინეთის რევოლიუციისადმი, ცხოველი გამოხმაურება ინგლისის მემაღაროეთა შარშანდელ გაფიცვისადმი—მაჩვენებელია იმ ღრმა ინტერნაციონალურ - რევოლიუციონურ აღზრდის, რომელსაც ღებულობს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ლენინური კომკავშირის რიგებში.

სრულიად საქართველოს კონფერენციის წინაშე სდგას მთელი რიგი რთული და პრაქტიკული საკითხებისა.

პირველი—რომელსაც მოისმენს კონფერენცია, ეს არის საკითხი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. კონფერენცია შეაჯამებს მთელი ორგანიზაციის შეხედულებას ჩინეთის რევოლიუციაზე, დასავლეთ ევროპის და აღმოსავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობაზე და, დასასრულ, სოციალისტურ მშენებლობის საკითხებზე.

მეორე საკითხი—ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. ანგარიში—კონფერენცია ჯამს უკეთებს საქართველოს ორგანიზაციის წელიწად ნახევრის მუშაობას, გამოამჟღავნებს ყველა წვრილმანებს, მიღწევებს და ნაკლულოვანებებს, განსაზღვრავს კავშირის შემდგომი განვითარების გზებს—ეხლახან დამთავრებულ საკავშირო კომკავშირის მე-5 კონფერენციის დადგენილებათა საფუძველზე.

მესამე საკითხი—კომკავშირის მონაწილეობა სასოფლო მეურნეობის აღორძინებაში და სოფლის მოსახლეობის კოოპერატიულად გაერთიანებაში. ეს საკითხი ყველაზე უფრო მომწიფებულია ჩვენს პირობებში,—კომკავშირის მონაწილეობის განსაზღვრა სოფლის გარდაქმნაში ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე—მეტად რთული ამოცანაა, მაგრამ ამავე დროს ის უაღრესად პრაქტიკულია ჩვენი კომკავშირისათვის.

მეოთხე საკითხია—მასიური კულტურული მუშაობის შესახებ,—ესეც მეტად პრაქტიკული საკითხია. ახალგაზრდობის საერთო კულტურული დონის აწევა, ღირსეული კულტურული მშენებლების მომზადება—აი რას ითხოვს ჩვენგან სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდი.

მეხუთე საკითხი.—პიონერ-მოძრაობის მორიგ ამოცანების შესახებ. ზოგიერთი სიძნელენი, რომლის წინაშე სდგას ეხლა პიონერ-მოძრაობა, პიონერ მუშაობაში ფორმებისა და მეთოდების ბავშთა მოთხოვნილებებთან, შეუგუებლობის გამო, მოითხოვენ კონფერენციისაგან გარკვეულ დირექტივას პიონერ-მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის.

აი ის საკითხები, რომელნიც სდგანან კონფერენციის წინაშე, აი ის საპასუხისმგებლო ამოცანები, რომელნიც მოითხოვენ სათანადო გადაწყვეტას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კონფერენცია მას სათანადო პასუხს გასცემს და ამით განსაზღვრავს ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის შემდგომი განვითარებას საქართველოში.

ს. ა—ი.

საბჭოთა პრესა

ერთი მიზეზთაგანი

შრომის ნაყოფიერების გაზრდას და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლებას, სხვათა შორის, მეტად უშლის ხელს მუშების მიერ სამუშაოს გაცდენა, რაც ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებულია ჩვენს წარმოებებში (და დაწესებულებებში). ეს მოვლენა მრავალი მიზეზით აიხსნება: ზოგიერთი ჩამორჩენილი მუშები ე. წ. საეკლესიო დღეებს ფაქტიურად უქმობენ ორჯერ — ძველი და ახალი სტილით; ზოგან ხელფასის დარიგება ხდება მუშაობის პროცესში და ამაზე დრო იხარჯება; კრებები და კონფერენციები ხშირად სამუშაო საათებშიც იმართება და მრავალ მუშას მათზე უხდება დასწრება: ლოთობა საბოლოოდ არ არის აღმოფხვრილი ზოგიერთ მუშებში, რის გამო ხელფასის აღების და დასვენების დღეების შემდეგ ისინი აცდენენ სამუშაოს; სამუშაოს გაცდენაზე გავლენა აქვს აგრეთვე ჩვენი სავაჭრო აპარატის საქმიანობასაც. ამ უკანასკნელის შესახებ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ში შემდეგს წერს ამხ. დ. კოლმანოვსკი:

„ვაჭრობის ეხლანდელი ორგანიზაცია მუშებს მრავალ შემთხვევაში საშუალებას არ აძლევს მით ისარგებლონ, თუ არ სამუშაოს გაცდენის გზით. არსებულ მდგომარეობის დროს მუშების და მოსამსახურეთა უმრავლესობა საგრძნობ დაბრკოლებებს ხვდება პირადი მოხმარების ისეთი საგნების შესყიდვაში, როგორიცაა ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვ. რომელთა შეძენა მოითხოვს არა მცირე დროის დახარჯვას არჩევისა, მოზომებისა და სხვა ასეთ რამეებისათვის. მუშები და მოსამსახურენი სამუშაოდან ჩვეულებრივ თავისუფლდებიან 4—5 საათზე და უფრო გვიან, ხოლო სავაჭროები იკეტება 6—7 საათზე. ამასთან ბევრნი შორს ცხოვრობენ, დაიღალენ მუშაობიდან და, ბოლოს, ისწრაფვიან ჩვეულებრივ დღის სინათლეზე იყიდონ ისეთი საგნები, როგორიცაა ტანისამოსი, მანუფაქტურა, ფეხსაცმელები და სხვ. ამიტომ ასეთ შემთხვევებში მუშები და მოსამსახურენი ყოველნაირად ცდილობენ. რათა სამუშაო დღის განმავლობაში წავიდნენ საჭირო საგნების საყიდლად. მოსკოვის სამრეწველო დაწესებულებათა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც სამუშაოს გაცდენას ადიდებს და, რომელზე მუშები მიუთითებენ, არის ის, რომ კვირაობით არ სწარმოებს ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობა“. სამუშაოს ასეთი გაცდენა, რომელიც აუცილებლობითაა გამოწვეული, საერთო ანგარიშით დიდ ზარალს აყენებს მრეწველობას და მთელ სახალხო მეურნეობას. ჩვენი სავაჭრო დაწესებულებების მუშაობა უნდა შეუფარდდეს მშრომელთა საჭიროებებს და მათი ცხოვრების პირობებს, და არა პირიქით.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ არსებული მდგომარეობა ერთგვარად ხელს უწყობს სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ვაჭრობის ხარჯზე კერძო სავაჭრო ბრუნვის გამოცოცხლებას, ვინაიდან კვირაობით ჩვენი სავაჭროების დაკეტვის გამო მუშები ამ დღეს მოვაჭრე ბაზრებს ეტანებიან“.

შრომის ნაყოფიერების ასაწევად და სამუშაოს გაცდენის აღმოსაფხვრელად, ზევით ხსენებულ მიზეზების აცილებასთან ერთად, მცირე მნიშვნელობა არა აქვს ამ საკითხის მოგვარებასაც. ამით ამავე დროს მუშა - მოსამსახურეებს გაუადვილებთ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და კერძო ვაჭრობასაც შევასუსტებთ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ფალსიფიკატორთა ბრბო“

საკლატვალას სიტყვა

ლონდონი, 6 მაისი. თემთა პალატაში პროფკავშირების შესახებ წარმოდგენილ კანონპროექტის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო საკლატვალამ.

— თუ რუსეთის რევოლიუციამ, განაცხადა საკლატვალამ, ვერ გამოიწვია ინგლისის მუშებში აღტყინება, კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ. რომელიც იმეორებს რუსეთის მეფური რეჟიმის ყველაზე ცუდ შეცდომებს, ინგლისის მუშებს შორის გამოიწვევს სასტიკ მღელვარებას. თქვენ არ შეგიძლიათ წაართვათ მუშათა კლასს გაფიცვის გამოცხადების უფლება. თუ გაფიცვა კანონიერი იყო მრეწველობის დარგში, როგორ შეიძლება ის უკანონო გახდეს, როცა გავრცელდება დანარჩენ დარგებზე?“.

განაცხადა რა შემდეგ, რომ ის მოითხოვს კანონპროექტის უარყოფას, საკლატვალამ აღნიშნა, რომ წარსულ წელს საყოველთაო გაფიცვა დამარცხდა მხოლოდ მუშათა მოძრაობაში წარმოშობილ დაბრკოლებების გამო. მთავრობის ბულ დაბრკოლებების გამო. მთავრობის მიერ წამოყენებული კანონპროექტი აიძულებს მუშათა მოძრაობას განუწყვეტლივ აცხადოს პატარა გაფიცვები, სანამ ისინი საყოველთაო გაფიცვათ არ გადაიქცევიან.

„სანამ კაპიტალისტური კლასი ხელისუფლების სათავეში სდგას, განაგრძო საკლატვალამ, ის მიმართავს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ უსასტიკეს ზომებს, ხოლო მუშათა კლასი უპასუხებს მას რევოლიუციონური კონტრ - ზომებით: კანონპროექტის მიღება აიძულებს პროლეტარიატს აწარმოოს ენერგიული ბრძოლა და თქვენ დაინახავთ მაშინ, რომ შესაძლოა თანამშრომლობა კომუნისტებსა და პროფკავშირთა მოღვაწეებს შორის. სანამ არსებობს ლორდების პალატა, კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ მასების პირდაპირი ზეგავლენის შედეგით“.

დასასრულ საკლატვალამ მთავრობა დაახასიათა, როგორც „შეთქმულთა და ფალსიფიკატორთა ბრბო“ და განაცხადა, რომ მუშათა მოძრაობა ღებულობს გამოწვევას“. (ადს).

მთავრობის შესწორებები

ლონდონი, 6 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მთავრობის მიერ შეტანილი შესწორებები კანონპროექტში პროფკავშირების შესახებ, არსებითად წარმოადგენენ კანონპროექტის პირველი მუხლის ახალ რედაქციას. უკანონოდ ცხადდება გაფიცვა, რომელიც ისახავს სხვა მიზნებს, გარდა კონფლიქტის გადაჭრისა მრეწველობის იმ დარგში, რომელშიაც მუშაობენ გაფიცულები. უკანონოთ ითვლება გაფიცვა იმ შემთხვევაშიაც, თუ ის მიზნად ისახავს მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენას უშუალოთ, ან საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების მიზნით. ასეთი გაფიცვებისათვის ფინანსიური დახმარების გაწევა აკრძალულია.

შესწორება უკანონოთ აცხადებს აგრეთვე ლოკაუტებსაც ასეთ პირობებში. (ადს).

ფაშისტების ალლუმის წინააღმდეგ

პრეზიდენტის მფარველობის ქვეშ

ბერლინი, 6 მაისი. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა ბერლინ - ბრანდენბურგის ოლქში დახურა ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის (ფაშისტები—მიტლეროველები) ორგანიზაციები იმ შეტაკებებისათვის, რომლებიც გამოიწვიეს მთელ რიგ ადგილებში ნაციონალ სოციალისტებმა.

„როტე ფანე“ აცხადებს, რომ აკრძალვის მიზანია ნიღაბი ჩამოაფაროს პოლიციის პრეზიდენტის, როგორც „ფოლადის მუზარადის“ მოკავშირის, პოლიტიკას.

5 მაისს ჰინდენბურგმა მიიღო „ფოლადის მუზარადის“ ბელადები, რომლებმაც გადასცენ მას, როგორც „ფოლადის მუზარადის“ საპატიო წევრს, მისალმებები ორგანიზაციის წევრებისაგან.

„როტე ფანე“ იუწყება, რომ პროლეტარული კონტრ-დემონსტრაციის აკრძალვის ინიციატივა ეკუთვნის ჰინდენბურგს“. (ადს).

დემონსტრაციის აკრძალვა

ბერლინი, 6 მაისი. შტუტგარტში აკრძალულ იქნა კომპარტიის კონტრ - დემონსტრაცია ნაციონალურ-სოციალისტების გამოსვლის წინააღმდეგ. (ადს).

მიუხედავათ აკრძალვისა

ბერლინი, 6 მაისი. ბერლინის უმუშევართა დიდმა ნაწილმა რეფერენდუმის დროს ხმა მისცა 7 მაისს გაფიცვის გამოცხადებას „ფოლადის მუზარადის“ ალლუმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მიუხედავათ იმისა, რომ აკრძალულია დემონსტრაციები ქუჩებში, 5 მაისს „ფოლადის მუზარადის“ ალლუმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამართულ 5 კრების მონაწილეებმა მოაწყვეს მსვლელობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 10.000 ახალგაზრდა მუშა. გარდა კომკავშირელებისა, დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდენ მუშათა სასპორტო კავშირების მრავალი წევრები. დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ მუშურმა ახალგაზრდობამ მოაწყვო მსვლელობა ყველა რაიონებში.

ბერლინის პროლეტარულ რაიონების ქუჩებში ყოველდღე იმართება საპროტესტო კრებები „ფოლადის მუზარადის“ ალლუმის წინააღმდეგ. (ადს).

ფაშისტები იკრიბებიან

ბერლინი, 6 მაისი. 6 მაისს დაიწყო ოფიციალური მზადება ფაშისტური ორგანიზაციის „ფოლადის მუზარადის“ ალლუმისათვის. ბერლინში პროვინციიდან ჩამოვიდა „ფოლადის მუზარადის“ პირველი რაზმები. ინცინდენტებს ადგილი არ ქონია.

ბერლინის საპოლიციო სამმართველოში ფიქრობენ, რომ **„ფოლადის მუზარადის“ ალლუმში მონაწილეთა საერთო რიცხვი იქნება 60.70.000-მდე კაცი. ბერლინში თავმოყრილი პოლიციის რიცხვი შეადგენს 18.000 კაცს, გარდა რეზერვში მყოფი რეიხსვერის ნაწილებისა.** (ადს).

იტალია—სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

სამხრეთ-სლავიამ ტონი შეიცვალა

ვენა, 6 მაისი. იტალიისა და სამხრეთ-სლავიის შორის მომავალი მოლაპარაკების გამო, სამხრეთ-სლავიის პრესამ შესწყვიტა კამპანია იტალიის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც იტალიის ელჩმა ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი მარინკოვიჩი სამხრეთ-სლავიის პრესამ დაიწყო იტალიასთან შეთანხმების საჭიროების დაცვა. (ადს).

ვენა, 6 მაისი. იტალიის და სამხრეთ-სლავიის მომავალ მოლაპარაკების გამო, სამხრეთ-სლავიის პრესამ შესწყვიტა კამპანია იტალიის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც იტალიის ელჩმა ინახულა სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრი მარინკოვიჩი, მთელი სამხრეთ-სლავიის პრესა მხარს უჭერს შეთანხმებას იტალიასთან. (ადს).

კულტურული ურთიერთობა საფრანგეთთან

პარიზი, 6 მაისი. ჟიულ რომენის და **დიუამელის** ინიციატივით შესდგა საბჭოთა კავშირთან კულტურული კავშირის საფრანგეთის საზოგადოების საორგანიზაციო კრება, რომელსაც დაესწრო საფრანგეთის ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების 120 წარმომადგენელი, რომელთა შორის, გარდა საინიციატივო ჯგუფის წევრებისა, იყვენ: **პიერ ამპი, კომპ-ზიგორი, მილიო მაზონი** და სხვ. თავმჯდომარეობდა **დიუამელი.** ამხ. **კამენევამ** გააკეთა მოხსენება კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზ-ბის მოქმედების შესახებ და აღნიშნა, თუ რა როლის შესრულება შეუძლია საფრანგეთის საზ-ბას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კულტურულ ურთიერთობაში. არჩეულია დროებითი კომიტეტი **დიუამელის, ჟიულ რომენის, მარტინეს, დიურტენის და კოლენის** შემადგენლობით.

აჯანყება მოკოტოვის ციხეში

ვარშავა, 6 მაისი. ექვს მაისს მოკოტოვის ციხეში ჯანყი კვლავ გრძელდებოდა. საღამოთი ხელისუფლებამ პროვინციალურ ციხეებში გადაიყვანა 100 პატიმარი. ციხე დაკავებულია პოლიციის მიერ. პატიმრებს შორის ბევრია დაჭრილი. ციხეში მომხდარ ამბებს საიდუმლოდ ინახავენ. პატიმართა ნახვა აკრძალულია. ციხის რაიონში ისმოდა ძახილი: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, ძირს ტერორი“. ამის გამო ფიქრობენ, რომ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პოლიტიკურმა პატიმრებმა. პატიმრები მტკიცედ არიან; მათ წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნილებები. მათ შორის ციხის უფროსის გადაყენება. ციხიდან გამოყვანილი პატიმრები გზაში **ყვიროდენ: „გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს ჯალათები!“**

მოკოტვის ციხეში მომხდარი ამბების ნამდვილი შედეგები დღემდე გამოურკვეველია. **გამორკვეულია, რომ ამ ამბებს ჰქონდა სისხლის მღვრელი ხასიათი. ციხის ირგვლივ ბევრი ხალხი შეგროვდა. შეგროვილი ხალხი აშკარად მტრულ განწყობილებას იჩენდა პოლიციისადმი.** (ადს).

ბულგარეთის კომუნისტების პროცესზე

ვენა, 6 მაისი. „ფორვერტს“ იუწყება, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატი დეპუტატები **როზენფელდი** და **რიხტერი,** რომელნიც ჩავიდნენ სოფიაში ბულგარეთის არალეგალურ კომუნისტურ ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის პროცესზე დასასწრებათ, **სასამართლოს დარბაზში ორი საათის ყოფნის შემდეგ დაპატიმრებულ იქნენ.** დაპატიმრებულთა ბარგი გულმოდგინეთ გაჩხრიკეს და დაჰკითხეს დეპუტატებს.

დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეს მხოლოდ გერმანიის საელჩოს ჩარევის შემდეგ და მათ წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ დასტოვონ ბულგარეთი. (ადს).

კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება ოსმალეთში

ანგორა, 6 მაისი. სმირნაში აღმოჩენილ იქნა საიდუმლო ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთ მყოფ კონტრრევოლიუციონერებთან, რომელნიც ირიცხებოდენ 150-ის სახელით ცნობილ სიაში და სამუდამოდ იყვენ გაძევებული ოსმალეთიდან. **ორგანიზაციას კონტრრევოლიუციონერებთან კავშირი ჰქონდა ეგვიპტეში შექმნილ ცენტრის საშუალებით. ხმების მიხედვით, მთავრობამ ხელთ იგდო ბევრი დოკუმენტი, რომელნიც ორგანიზაციის მოქმედებას ამჟღავნებენ.** (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ჟენევის კონფერენციაზე

საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის წარმომადგენლის მოხსენება

ჟენევა, 6 მაისი. საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის გენერალურმა მდივანმა მეიმ, რომელიც ეკონომიურ კონფერენციაზე გამოვიდა ჩინეთის დელეგატის შემდეგ, აღნიშნა, რომ ალიანსი აერთიანებს 34 სახელმწიფოს და მასში ითვლება 50 მილიონი წევრი. მეიმ განაცხადა, რომ კოოპერაცია მიზნად ისახავს ურთიერთ დახმარებას, ის თავის მუშაობაში არ მისდევს რევოლუციონურ მეთოდებს და მშვიდობიანი გზით ცდილობს განახორციელოს უკეთესი სოციალური წესწყობილება.

„განუხორციელებელი უტოპია"

კონფერენციის საერთო ყურადღება მიიპყრო ლონდონში გამომავალ ყოველკვირეულ ჟურნალის „ეკონომისტ"-ის გამომცემელ ლეიტონის სიტყვამ ევროპის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მთავარი აზრი, რომელიც ლეიტონმა განავითარა; მდგომარეობდა იმაში; რომ ბრიუსელის საფინანსო კონფერენციაზე და აგრეთვე გენუის ეკონომიურ კონფერენციაზე წამოყენებული ლოზუნგი „უკან ომის წინა დროის ეკონომიურ და სავალუტო ურთიერთობისაკენ"—განუხორციელებელი უტოპიაა. ლეიტონის აზრით, ამ ფორმულის დატოვება ეკონომიურ პროგრამად ეხლანდელ კონფერენციაზე იქნებოდა სავსებით შემცდარი წარმოდგენა მსოფლიო მეურნეობის პრობლემებზე. თავის თვალსაზრისის დასამტკიცებლად ლეიტონს მოჰყავს შემდეგი 4 ძირითადი არგუმენტი:

1) მსოფლიო მრეწველობის ახალი განაწილება ცალკე ქვეყნებს შორის წარმოადგენს იმ პროცესის განვითარებას, რომელიც ჯერ კიდევ 20-30 წლის წინ დაიწყო და რომელიც მხოლოდ დააჩქარა ომმა.

2) შეერთებული შტატები გამოვიდა, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფინანსიური ორგანიზმი, რომლის დახმარებით ევროპის მრავალრიცხოვანმა სახელმწიფოებმა შესძლეს კვლავ აღედგინათ თავიანთი სამრეწველო მოღვაწეობა. ლეიტონი მოითხოვს, რომ შეერთებულ შტატების დელეგაცია გამოვიდეს კონფერენციაზე განცხადებით შეერთებული შტატების როლის შესახებ მსოფლიო ვაჭრობაში მახლობელი 10 წლის განმავლობაში.

3) ხალხთა მოძრაობაში, სხვადასხვა ქვეყნებს შორის მოსახლეობის განაწილებაში მოხდა საგრძნობი ცვლილება, რაც კერძოდ გამოიხატება ევროპიდან დანარჩენ კონტინენტებზე ემიგრაციის შემცირებაში.

4) საკითხის მოწესრიგებამ რეპარაციების და დაინტერესებულ ქვეყნების სამხედრო ვალების შესახებ გამოიწვია გადაჯგუფება ამ ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობაში. მოვალე ქვეყნებმა უნდა განავითარონ თავისი ექსპორტი; რათა მოახერხონ შემოზიდვის აუცილებელ მინიმუმის გადაჭარბება. კრედიტორი ქვეყნები კი ცდილობენ სწორედ საწინააღმდეგოს—ურთიერთობათა მოწესრიგებას. ურთიერთობათა საბოლოო ფორმა მსოფლიო ვაჭრობაში, რაც აუცილებელი გახდება ვალების მოსპობის შემდეგ, ჯერ კიდევ გამონახული უნდა იქნეს.

შემდეგ ლეიტონი განაგრძობს: „ცვლილებები მოხდა არა მარტო ეკონომიკის დარგში, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ ურთიერთობის დარგშიაც. არ შეიძლება ამ ცვლილებების ნაკლებად შეფასება, ვინაიდან ისინი ეხლანდელ ეკონომიური მდგომარეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენენ. რაც შეეხება რუსეთს, რომლის მსოფლიო ვაჭრობა ომამდე სჭარბობდა ინდოეთის ვაჭრობას, ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის გათვალისწინება; როგორ და როდის შეიძლება აუცილებელ კონფლიქტის მოსპობა ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო ეკონომიურ სისტემას შორის, ყოველ შემთხვევაში ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვსთხოვოთ რუსეთის დელეგაციას, გვაცნობოს რაიმე რუსეთის ვაჭრობის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

მქუხარე ტაშით შეხვდენ ლეიტონის განცხადებას, რომელშიაც მოყვანილი იყო სამი ციფრი ევროპის ეხლანდელი მდგომარეობის დასახასიათებლად, სახელდობრ: 10 მილ. კაცი, რომელთა შემნახველები უმუშევრები არიან, შემდეგ 11.000 კილომეტრი ახალი საბაჟო საზღვარი და 2½ მილიარდი დოლარი—წლიური ხარჯი შეიარაღებაზე.

ლეიტონის შემდეგ გამოვიდენ ავსტრიის, ბრაზილიის, კანადის და დანიის წარმომადგენლები. (ადს).

პარიზში პესიმისტურად არიან განწყობილი

პარიზი, 6 მაისი. საფრანგეთის პოლიტიკური წრეები საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის პერსპექტივებს პესიმისტურათ უყურებენ. შიშობენ, რომ კონფერენცია შესაძლოა უარყოფითად შეხვდეს საფრანგეთის პარლამენტის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს საბაჟო გადასახადის საშუალოდ შვიდჯერ გადიდების შესახებ. (ადს).

აიშალენ

ბერლინი, 6 მაისი. ვოლფის სააგენტოს ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება:

„სამი მთავარი კომისიის შექმნას კონფერენციაზე ზოგიერთი დაბრკოლება გადაელობა. ინგლისი წინააღმდეგია, რომ სამრეწველო კომისიაში თავმჯდომარეობდეს ფრანგი. იტალია ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარეობა დაეკისროს გერმანელს".

ბულგარეთის დელეგატის გარდაცვალება

ჟენევა, 6 მაისი. საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის 6 მაისის დილის სხდომაზე თავმჯდომარე ტეინისმა აცნობა კრებას ბულგარეთის დელეგაციის წევრის პოპოვის უეცარი გარდაცვალება.

ბოროდინას ბედი გადაწყვეტილია

ლონდონი, 6 მაისი. „დეილი მეილ"-ის პეკინელი კორესპონდენტი ბოროდინას მომავალი გასამართლებისა და დაპატიმრებული დიპლომატიური შიკრიკების შესახებ სწერს: „განაჩენი უკვე წინასწარ მომზადებულია. ამგვარად, სასამართლო იქნება მხოლოდ ფარსი". (ადს).

პოლონეთი ემზადება საქალაქო არჩევნებისათვის

ვარშავა, 6 მაისი. მთელს პოლონეთში სწარმოებს მზადება მუნიციპალურ არჩევნებისათვის. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ და ბუნდმა თავისი ყურადღება მუშათა რაიონებიდან, სადაც მათ ეშინიათ დამარცხების, წვრილ ბურჟუაზიაზე გადაიტანეს. მთავრობის პარტიები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ მოხელეებს, ცდილობენ რა მიიმხრონ ისინი ჯამაგირების გადიდების დაპირებებით.

გაზეთების ცნობით, რადომში გაუქმებულ იქნა „რაბოჩაია ლევიცა"-ს საარჩევნო სია და სიის ხელმომწერთაგან ბევრი დაპატიმრებულია. (ადს).

ხელოვნური ნავთი

ლონდონი, 6 მაისი. რონის დეპარტამენტის გენერალურ საბჭოს სხდომაზე ერთმა განაცხადა: საფრანგეთის მთავრობამ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ იპოვეს ნავთის ხელოვნურად დამზადების საშუალება (ადს).

ჩინელების დევნა

ლონდონი, 6 მაისი. სამარინდში (კუნძულ ბორნეოს ჰოლანდიური ნაწილი) მოხდა ჩხრეკა და დაპატიმრება იმ პირთა, რომელთაც ბრალად სდებდენ გომინდანის წევრობას. პოლიციამ სროლა დაუწყო შეგროვილ ჩინელებს. სროლის დროს მოჰკლეს ხუთი კაცი, დასჭრეს 25. (ადს).

პოლონეთის პროტესტი

ვარშავა, 6 მაისი. პოლონეთის ელჩმა ბერლინში გერმანიის მთავრობას გადასცა საპროტესტო ნოტა ხერგტის გამოსვლის წინააღმდეგ. იუსტიციის მინისტრმა ხერგტმა ნაციონალისტების კონფერენციაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან კატეგორიულად უარყო აზრი გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების უზრუნველყოფის შესახებ. (ადს).

აზერბეიჯანის ა. ლ. კომკავშირის მე-2-ე კონფერენცია

ბაქო, 7 მაისი. დღეს პარტიულ კლუბში გაიხსნა აზერბეიჯანის ა. ლ. კომკავშირის მე-2 კონფერენცია.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან: ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ორჯონიკიძე; ტომსკი; ვოროშილოვი, მოლოტოვი, ორახელაშვილი, კიროვი, კარაევი და მირზოიანი. კონფერენციის დღის წესრიგშია: აზერბეიჯანის ა. ლ. კომკავშირის ცკ-ას მოხსენება, სოფლის მეურნეობის შესახებ, კოოპერაციის შესახებ, პიონერთა შორის მუშაობის მდგომარეობა და მისი შემდგომი ამოცანები, საერთო პოლიტიკური მოხსენებით გამოვიდა აზერბეიჯანის კომპარტიის ცკ-ას მდივანი ამხ. კარაევი. (ადს).

ავსტრიის კომპარტიის ყრილობა

ვენა, 6 მაისი. ავსტრიის კომპარტიის ცკ-ამ დაადგინა მოიწვიოს 18 ივნისს პარტიის მორიგი ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: ცკ-ას და სარევიზიო კომისიის მოხსენება, ომის საფრთხე და კომინტერნი, პარტიის უახლოესი ამოცანები და სხვ. (ადს).

გაფიცვები საფრანგეთში

პარიზი, 6 მაისი. საფრანგეთის ცენტრში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ადგილი აქვს გაფიცვებს სამუშაო ხელფასის შემცირების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე. შარლიეში გაფიცულია 2.000 ფეიქარი, რონის დეპარტამენტში—აბრეშუმის სახვევ ფაბრიკის 400 მუშა და მარდის, ალიერ და ქვემო ალპების დეპარტამენტებში—მემაღაროები. (ადს).

ამხ. ტომსკი

ინგლისის პარლამენტის მიერ პროფკავშირების წინააღმდეგ მიღებულ კანონპროექტის შესახებ

მოსკოვი, 7 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელის შეკითხვაზე—როგორი მნიშვნელობა ექნება ინგლისის პროფკავშირებისათვის პარლამენტის მიერ მეორედ წაკითხვის შემდეგ მიღებულ კანონპროექტს პროფკავშირების შესახებ—ტომსკიმ უპასუხა: „ამ კანონპროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს ჯერ ერთი იმაში, რომ ინგლისელ იმპერიალისტების კონსერვატიულ მთავრობას სურს წელში გასტეხონ ინგლისის მუშათა კლასი, რათა ხელები გაიხსნან თავის საგარეო პოლიტიკაში (ჩინეთის რევოლუციის ჩახშობა, ომის მომზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და სხვა), მეორე, ინგლისის მთავრობას სურს უზრუნველყოს შემდგომი შეტევა მუშათა კლასზე კაპიტალისტების მხრივ. აღმაშფოთებელ კანონპროექტს პროფკავშირების წინააღმდეგ, რაც აშკარა ფაშისტურ ხასიათს ატარებს, უდიდესი ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს. ეს კანონი ტორიების მთავრობას აყენებს მუშათა კლასის უბოროტესი მტრების და მუშათა კლასის მიერ დაპყრობილ პოზიციებზე იერიშის მიტანის შეურიგებელ მომხრეების პირველ რიგებში.

ბოლდუინ-ჩემბერლენის მთავრობა წავიდა მუსოლინის მთავრობის გზით. ყველა ქვეყნის მუშები, ეჭვს გარეშეა, გრძნობენ ამ კანონპროექტის გაუგონარ რეაქციონურ ხასიათს".

შეკითხვაზე—ესმით თუ არა გენერალურ საბჭოს და მუშათა პარტიის ბელადებს ამ კანონპროექტის მთელი საშიშროება, მისი კლასიური აზრი და სწორია თუ არა ბრძოლის ის ზომები, რომელთაც ისინი მიმართავენ ამ კანონპროექტის წინააღმდეგ,—ტომსკიმ უპასუხა:

„მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთ ბელადებს დიდათ არ შეაწუხებს ამ კანონპროექტის მიღება. ბევრი ტრედიუნიონების რიგებში და მუშათა პარტიის ზედა ფენებში გულში ემხრობა ამ კანონპროექტს, რომელიც ინგლისის თანამედროვე პროფმოძრაობას სამარეს უმზადებს. გენსაბჭოს და მუშათა პარტიას არ სურთ, ისინი ვერ ბედავენ ეხლავე ბრძოლის დაწყებას, რადგან ამისათვის საკმაოდ ძლიერად ვერ ხთვლიან თავს. მათ არ სურთ იმის დანახვა, რომ კანონპროექტის გატარების შემდეგ, ისინი კი არ გაძლიერდებიან, არამედ კიდევ უფრო დასუსტდებიან .აქედან გამომდინარეობს მთელი რიგი შეცდომები. ტრედიუნიონების ბელადების უმთავრეს შეცდომად მე მიმაჩნია ის, რომ მათ არ სურთ დარაზმონ მუშათა კლასის ყველა ძალები ბრძოლისათვის კონსერვატიული მთავრობის წინააღმდეგ და მუშების და მათი კავშირების ელემენტარულ უფლებების დასაცავად. ყველა, ვინც ფაშიზმს ემხრორების დასაცავად. ყველა, ვინც ფაშიზმს ემხრობა—ემხრობა ამ კანონსაც, ვინც ეწინააღმდეგება ფაშიზმს,—ეწინააღმდეგება ამ კანონსაც. ასე უნდა სწარმოებდეს ამჟამად ძალთა გადაჯგუფება. რას ვხედავთ ჩვენ სინამდვილეში? გენერალურმა საბჭომ ვერ შესძლო თავის გარშემო მუშათა კლასის ყველა ძალების შემოკრება. წინანდებურად სწარმოებს ცილისწამების კამპანია კომუნისტების და რევოლუციონურ უმცირესობათა წინააღმდეგ და მათი გამორიცხვა ტრედიუნიონისტულ ორგანიზაციებიდან. მათი წინადადებების განხილვა არ სურთ, მათ სახელს უტეხენ. აწარმოებენ ბრძოლას მარცხნით მაშინ, როცა საჭიროა ყველა ძალების მობილიზაცია კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. გატარდება თუ არა კანონპროექტი? როგორც სჩანს, გატარდება. ინგლისის მუშათა მოძრაობის წინაშე ამოცანად იდგება ბრძოლა სანგრების მეორე ხაზზე, ამოცანა უფრო ძნელი და რთული. ინგლისის მუშათა მასებმა უკვე დაანახვეს მთელს მსოფლიოს, რა შეუძლიათ მათ. ეჭვს გარეშეა, რომ სათანადო ხელმძღვანელობით ისინი ერთხელ კიდევ ყველას დაანახვებენ, თუ როგორ შეუძლიათ მათ ბრძოლა თავიანთ კლასიურ მტრების წინააღმდეგ, ბრძოლა თავიანთ პროფორგანიზაციებისათვის, გაფიცვების თავისუფლებისათვის, დაპყრობილ პოზიციების შენარჩუნებისათვის, ინგლისის იმპერიალიზმის გაერთიანებულ ძალების და მათივე ბანაკიდან გაქცეულ მოღალატეების წინააღმდეგ. (ადს).

აფეთქება მაღაროებში

ვაშინგტონი, 6 მაისი. დასავლეთ ვირგინიაში ნახშირის მაღაროებში მოხდა აფეთქება. მოკლულია 31 კაცი; უგზო-უკვლოთ დაიკარგა 63. ფიქრობენ, რომ უკანასკნელნიც მოკლული არიან. (ადს).

იაპონიის პარლამენტში

ახალი ფრაქცია

ტოკიო, 6 მაისი. 4 მაისს დაარსდა ახალი საპარლამენტო ფრაქცია შინტო, 232 წევრისაგან. ფრაქციის შემადგენლობაში შევიდა 160 დეპუტატი კენსეიკაიდან, 8 დეპუტატი სეიუხონტოდან, ერთი დეპუტატი მინსეიდან და სამი უპარტიო დეპუტატი. (ადს).

მუშათა მოძრაობა

ახალი კანონი სამუშაო დღის შესახებ გერმანიაში

ამ რამოდენიმე ხნის წინათ გერმანიის რეიხსტაგმა 195 ხმით 184-ის წინააღმდეგ მიიღო მთავრობის კანონპროექტი სამუშაო დღის შესახებ. ამიერიდან გერმანიაში დაკანონებულია ათი საათის სამუშაო დღე. რამდენიმეთ არის შეზღუდული მხოლოდ ათ საათზე მეტი მუშაობის „უფლება". არაჩვეულებრივმა თავდასხმამ მუშათა კლასის უმთავრეს მონაპოვარზე დემოკრატების, გლეხთა კავშირის და ს.-დ. პარტიის ზოგიერთი დეპუტატებიც კი აიძულა გაელაშქრებიათ ამ რეაქციონური კანონპროექტის წინააღმდეგ.

ახალი კანონის მიღებით ხორციელდება ბურჟუაზიული ბლოკის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მუხლი. გერმანიის ბურჟუაზიამ მიაღწია უკვე არსებული ათი საათის სამუშაო დღის ლეგალიზაციას. ამით კანონდება აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ, როგორც უკანასკნელმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, კაპიტალისტური რაციონალიზაცია 85 პროც. ფარგლებში ტარდება მუშა-ხელის ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე და მხოლოდ 15 პროცენტის რაოდენობით ტეხნიკურ გაუმჯობესებათა წყალობით. ყოველ შემთხვევაში ეს რაციონალიზაცია ოდნავადაც არ შეხებია კაპიტალისტების ჯიბეს.

კამათმა, რომელიც კანონპროექტის გარშემო გაიმართა რეიხსტაგში, ცხადყო სოციალ-დემოკრატების მთელი ფარისევლობა და ის სამარცხვინო როლი, რომელსაც ისინი თამაშობენ ბურჟუაზიის ბანაკში.

სოციალ-დემოკრატების ორატორი **გრასმანი** მწუხარებას გამოსთქვამდა, რომ რეიხსტაგი არ იცავს მუშათა კლასის ინტერესებს და „იმუქრებოდა", რომ სოციალ-დემოკრატები მოუწოდებენ მუშებს შეამჭიდროვონ რიგები და თვითონ დაიცვან თავიანთი ინტერესები. გრასმანს პასუხი გასცა ქრისტიანულ (ყვითელ) პროფკავშირების ლიდერმა **შტეგერვალდმა.** ეს რეაქციონერი აშკარად დასცინოდა სოციალ-დემოკრატებს „გერმანიის მთავრობაში,—უთხრა მან ს.-დემოკრატებს,—უთქვენოთაც კარგად ვგრძნობთ თავს. პრუსიაში კი (იქ არსებობს ე. წ. ვეიმარის კოალიცია, რომელშიც მენშევიკებიც იღებენ მონაწილეობას) თქვენი მონაწილეობა მთავრობაში დამოკიდებულია არა თქვენზე, არამედ ცენტრის პარტიაზე".

შემდეგ გამოვიდა რეფორმისტულ პროფკავშირების მოღვაწე მენშევიკი **ლიმბერცი,** რომელმაც პროფკავშირების გავლენის შესუსტება კომუნისტებს გადააბრალა.

კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. **გეკკერტმა** სასტიკად გააკრიტიკა რეფორმისტებისა და ბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკა სამუშაო დღის გახანგრძლივების საკითხში. ამხ. გეკკერტმა გამოამჟღავნა ფარისევლური პოლიტიკა სოციალ-დემოკრატების, რომლებსაც სახელმწიფოს ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს. თითიც კი არ გაუნძრევიათ რვა საათის სამუშაო დღის შესახებ ვაშინგტონში დადებული შეთანხმების დასამტკიცებლად. მაშინაც კი, როცა ამსტერდამის ინტერნაციონალმა დაიწყო კამპანია ვაშინგტონის შეთანხმების დამტკიცების სასარგებლოდ, გერმანელმა რეფორმისტებმა თავიც არ შეიწუხეს ამისათვის. გერმანიის პროფკავშირების გაერთიანებამ ფულები შეკრიბა (25 კაპ. კავშირის თითეული წევრიდან) სახალხო კენჭის ყრის ჩასატარებლად ამ ხელშეკრულების დამტკიცების საკითხის გარშემო. რა ბედი ეწია ამ ფულებს დღემდი არავინ იცის.

უკანასკნელ დროსაც კი, როცა ბურჟუაზიამ გამოაშკარავა თავისი ნამდვილი სახე, სოციალ-დემოკრატები განაგრძობდენ ფარისევლობისა და მასების მოტყუების პოლიტიკას. რეფორმისტული პროფკავშირები,—სთქვა ამხ. გეკკერტმა,—მოუწოდებდენ თავის წევრებს ერთეულად ებრძოლათ რვა საათის სამუშაო დღისათვის იმის ნაცვლად, რომ შეექმნათ მშრომელთა ერთიანი ფრონტი. როცა რურის მემაღაროებმა დაიწყეს ბრძოლა შვიდი საათის სამუშაო დღისათვის, რეფორმისტებმა არ დაუჭირეს მათ მხარი. თავისი სიტყვის დასასრულ ამხ. გეკკერტმა განაცხადა: „ჩვენ, კომუნისტები ვეუბნებით მუშებს: **შეაფურთხეთ ამ კანონს სამუშაო დღის შესახებ და მდიდრების მთავრობას. შექმენით მუშების ერთიანი ფრონტი. შექმენით ერთიანი ფრონტი და მწარმოებლებთან და კაპიტალისტურ რესპუბლიკასთან რევოლუციონური ბრძოლით მოიპოვეთ რვა საათის სამუშაო დღე.**

რეფორმისტების ფარისევლობა განსაკუთრებულის სიცხადით გამოირკვა კამათის დამთავრების შემდეგ, როცა მათ ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად გაილაშქრეს კომუნისტების წინადადების წინააღმდეგ. ეს წინადადება მოითხოვდა რვა საათის სამუშაო დღის დაკანონებას.

ბ. რ.

სხვადასხვა

ავიაციის მიღწევები

ლონდონი, 6 მაისი. „დეილი მეილ"-ის ცნობით, პირველ სამგზავრო ადგილში აეროპლანის ინგლისიდან კანადში გადაფრენის დროს აძლევენ 5.000 გირვანქა სტერლინგს. აპარატი შეჩერდება აზორის კუნძულზე. ფიქრობენ, რომ გადაფრენა მონ-რეალამდე 48 საათში მოხდება. უკან გადმოფრენის დროს შეეცდებიან შეუსვენებლად გაიარონ მთელი მანძილი. (ადს).

ლონდონი, 6 მაისი. პარიზიდან მიღებული ცნობით, ფრანგი მფრინავი სან-რომანი სენეგალიდან (სენეგალი, დასავლეთ აფრიკა) ბრაზილიაში გაფრინდა (ადს).

წითელი ჯვრის სესია

ლონდონი 6 მაისი. პარიზში გაიხსნა წითელი ჯვრის საზოგადოებათა წარმომადგენლების საბჭოს სესია. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

საფრანგეთის კომპარტიის ანტი-იმპერიალისტური პროპაგანდა

ამხ. ჟ. დორიოს საქმე

ფრანგ კომუნისტების ერთ-ერთი გამოჩენილი ბელადის, დეპუტატთა პალატის წევრის ჟ. დორიოს ანტიიმპერიალისტური გამოსვლების გამო ჩინეთში და ინდო-ჩინეთში, საფრანგეთის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა მოსთხოვა დეპუტატთა პალატას დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლების წართმევა დორიოსათვის, მისი პასუხისგებაში მიცემის მიზნით. პროკურორის განცხადებაში ნათქვამია:

„დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესა და წევრებს.

პარიზის საკასაციო პალატის გენერალურ პროკურორს პატივი აქვს გაუწყოს შემდეგი ფაქტები:

დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლებს არა ერთხელ მოუქცევიათ მთავრობის ყურადღება სენის დეპარტამენტის დეპუტატის ბ-ნ დორიოს მოქმედებაზე. ბ-ნი დორიო ენერგიულ კამპანიას აწარმოებს საფრანგეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში. ბ-ნი დორიო ინდო-ჩინეთის მოსახლეობას აშკარად მოუწოდებდა აჯანყებისაკენ. ანამიტების *) და ჩინეთის რევოლუციონური ჯგუფის თანხლებით დორიო ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებში აწარმოებდა ნამდვილ ანტიფრანგულ პოლიტიკას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის გამოსვლებს კანტონში 1927 წ. იანვარში და თებერვალში.

დორიო ამტკიცებდა საჯარო კრებებზე, რომ საფრანგეთს შემუშავებული აქვს ჩინეთის უდიდესი რაიონების—გუანდუნის, გუანსის და იუნანის პროვინციების ანექსიის პროექტი; იგონებდა რა ფრანგ მეზღვაურთა აჯანყებას შავ ზღვაზე, ის არწმუნებდა მსმენელებს, რომ ფრანგი ჯარისკაცები და მეზღვაურები დაუძმობილდებიან ჩინელ რევოლუციონერებს. მის მიერ გამოშვებულ პროკლამაციაში ნათქვამია, რომ საფრანგეთი ეხმარებოდა ინგლის ჩინელების ამოჟლეტაში შამინში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შეკრებილი ცნობები ამტკიცებენ, რომ დორიო საჯაროდ გამოვიდა შემდეგი შინაარსის სიტყვით:

„ჩვენ დავეხმარებით ინდო-ჩინეთის ხალხს ჩვენი საერთო მტრის—საფრანგეთის იმპერიალიზმის კლანჭებიდან განთავისუფლების საქმეში... საფრანგეთის ეკონომიურ ბატონობას შედეგათ მოჰყვა ინდო-ჩინეთის მოსახლეობის ყვლეფა ფრანგ კაპიტალისტების მცირე ჯგუფის ჯიბეების გასასქელებლად... მესამე რესპუბლიკის ხელისუფლებამ მოსპო ინდო-ჩინეთში სიტყვის და პრესის თავისუფლება, თავისუფლება კავშირების, კრებების და გაფიცვების, მათ ნაცვლად ინდო-ჩინეთის ხალხისათვის შემოიღო საშინელი რეპრესიები და ციხეები... ინდო-ჩინეთმა ბოლო უნდა მოუღოს საფრანგეთის იმპერიალიზმის პოლიტიკურ ტერორს და ეკონომიურ ექსპლოატაციას... თუ ინდო-ჩინეთის ხალხს ნამდვილად სურს შესცვალოს არსებული მდგომარეობა, მან უნდა იბრძოლოს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. მსოფლიო რევოლუცია ხდება პროლეტარიატის ბრძოლით კაპიტალიზმის წინააღმდეგ სამრეწველო ქვეყნებში და დაჩაგრულ ერების ბრძოლით იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლუციამ დაამტკიცა, რომ რევოლუციონური ბრძოლის გარეშე შეუძლებელია კლასის ან ერის განთავისუფლება. ებრძოლეთ საფრანგეთის იმპერიალიზმს... ემზადეთ ბრძოლისათვის, რომელსაც თავს გახვევენ. შეჰქმენით პარტია, რომელიც გააერთიანებს ყველას, ვინც მზად არის იბრძოლოს ნაციონალური განთავისუფლებისათვის, შეჰქმენით მუშებისა და გლეხების ორგანიზაციები. ფრანგ მუშების სოლიდარობა კოლონიების დაჩაგრულ ერებთან და მათი შეთანხმებული ბრძოლა, უზრუნველჰყოფენ განთავისუფლებას და გამარჯვებას იმპერიალისტურ მტრებზე".

ეს პროპაგანდა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი კოლონიებისათვის ინდო-ჩინეთში. ბრალს დებს რა საფრანგეთს იმაში, რომ იგი ანექსიონისტურ მიზნებს ისახავს ჩინეთში და, ამტკიცებს რა იმას რომ ფრანგები ჟლეტდენ ჩინელებს, ბ-ნი დორიო თავის ქვეყანას უქმნის საერთაშორისო ხასიათის მნიშვნელოვან დაბრკოლებებს. მეორე მხრივ, იგი საფრთხეში აგდებს საფრანგეთის მოქალაქეებს ჩინეთში იმით, რომ ფრანგებს აცხადებს მკვლელებათ და უსირცხვილო მოძალადეებათ, რასაც შეიძლება მოჰყვეს სასტიკი რეპრესიები ფრანგების მიმართ ჩინური მოსახლეობის მხრივ.

ოფიციალური საბუთებით დადასტურებული ეს ფაქტები წარმოადგენენ დანაშაულს სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ, დანაშაულს, გათვალისწინებულს სისხლის სამართლის კოდექსის 84 და 85 მუხლებით, რომელთა მიხედვით დამნაშავე ასეთ ბოროტმოქმედებისათვის გაძევებული უნდა იქნეს სახელმწიფოდან.

იმის გამო, ქვემორე ხელისმომწერს აქვს პატივი სთხოვოს დეპუტატთა პალატას ნებართვა 1875 წ. 16 ივლისის კონსტიტუციონური კანონის მეთოთხმეტე მუხლის თანახმად, აღძრას საქმე სენის დეპარტამენტის დეპუტატის ბ-ნ დორიოს წინააღმდეგ.

---

*) ანამიტები—ინდო-ჩინეთის მცხოვრებლები.

აღმოსავლეთში

საფრანგეთის რესპუბლიკა მონარქიას ამყარებს სირიაში

პარიზში ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩავიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიაში **პონსო,** რომ საფრ. მთავრობისათვის მოეხსენებია სირიის მდგომარეობა. დღემდე ბ-ნი პონსო სდუმდა. ბოროტი ენები ამბობენ, რომ მას არაფერი ჰქონდა სათქმელი. ბ-ნი პონსო დღესაც არაფერს ამბობს. ყოველ შემთხვევაში, მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთები, რომლებიც ყოველ გზა-ჯვარედინზე აქებენ კოლონიებში შემოღებულ რეჟიმს, არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რა უამბო ბ-მა პონსომ საფრანგეთის მთავრობას. მაგრამ პონსოს კოლეგების თავდაუჭერლობის წყალობით უკვე გამორკვეულია, თუ რა რეცეპტებით ლამობენ საფრანგეთის იმპერიალისტები სირიის გაბედნიერებას; საფრანგეთის „რესპუბლიკა" სირიაში მონარქიული რეჟიმის შემოღებას აპირებს.

არავინ აქცევს ყურადღებას იმას, რომ სირიის მოსახლეობა მოითხოვს დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომ მას არ სურს მონარქიული რეჟიმი. მაგრამ საფრანგეთის ხიშტებით სირიის ტახტზე წამოსკუპულ მეფეზე და მის ამალაზე უკეთ ვინ შეასრულებს საფრანგეთის იმპერიალიზმის აგენტის როლს?

დაინტერესებულ წრეებში გაცხოველებული საიდუმლო კამათია იმის შესახებ, თუ ვინ უფრო უკეთესი იქნება ამ როლში.

ყველაზე უფრო მეტ შანსებს აკუთვნებენ სირიის ეხლანდელ მმართველს **დამად-ახმედ-ნამი-ბეის.** ჩერქეზი ტომით, თურქი აღზრდით, სირიელი „პატრიოტი"—საფრანგეთის მთავრობის უკანასკნელი განკარგულების თანახმად,—ამაზე უკეთეს კანდიდატს სად იპოვის საფრანგეთის ბურჟუაზია? მას, როგორც საფრანგეთის პრესა სწერს „არაფერი გაეგება პოლიტიკის, ლამაზია, მოსწონს ქალებს, კარგად იცვამს, მშვენივრად ცეკვავს ფოქსტროტს",—ერთი სიტყვით ყოველმხრივ მისაღები კანდიდატია. გარდა ამისა, ის არ არის მანიაკი და მაინც მდიდარი, არც გავლენით სარგებლობს სირიაში, აშკარაა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიას ერთგულად ემსახურება შემოსავლიანი თანამდებობის მიცემისათვის. არაბულ გაზეთების ცნობით, ერთ-ერთ ცეკვის საღამოზე, რომელიც ახმედ-ნამი-ბეიმ გააბედნიერა თავისი დასწრებით, მას შეხვდენ ყიჟინით: „გაუმარჯოს მეფეს". ამრიგად მისი შანსები დიდია. მაგრამ რას ეტყვიან მის შესახებ ნაციონალური წრეები?

შემდეგი კანდიდატია შერიფი ალი-ხაიდარ-ფაშა, მუდმივი პრეტენდენტი არაბეთის ყველა თავისუფალ ტახტებზე. იგი პრეტენზიებს აცხადებდა გეჯასის ტახტზე, შემდეგ ირაქის, ახლა სირიის ტახტისაკენ აპოტინებს ხელებს. ალი-ხაიდარ-ფაშა სულ სხვა ჯურის კაცია. სრულიად არ ცეკვავს, გაზეთების ცნობით, არც ფრანგული ენა იცის. სამაგიეროთ იგი გავლენით სარგებლობს მორწმუნეებში, როგორც მუხამედის შთამომავალი, კარგად იცის ყურანი. მაგრამ ხაიდარ-ფაშა საშინლად სძაგს გეჯასის მეფეს იბნ-საუდს, რომლის გავლენა უკანასკნელ ხანებში ძლიერ გაიზარდა. საქმე იმაშია, რომ ხაიდარ-ფაშა ეკუთვნის ხაშიმიტების ტომს, რომელთანაც იბნ-საუდს მტრული განწყობილება აქვს. ფრანგები იძულებული არიან ამ გარემოებას ანგარიში გაუწიონ.

შემდეგი კანდიდატია ეგვიპტის ყოფილი ხედივი—**აბბას-ხილმი.** იგი ცნობილია, როგორც ოსმალეთის მომხრე და ინგლისის მტერი. საფრანგეთს არ შეუძლია ეს გარემოება მხედველობაში არ მიიღოს.

შემდეგ მიდის სხვადასხვა წვრილმანი ხალხი: ეგვიპტელი პრინცი **ჯემალ ტუსუნი,** რომელიც პირადათ გაემგზავრა პარიზში სათხოვნელათ, რომ თავისუფალი ტახტი მას მისცენ. შემდეგ კიდევ ერთი ეგვიპტელი პრინცი, რომლის სახელი და გვარი არც კი იცის პრესამ და სხვა უამრავი.

ხმოჩნდენ კანდიდატები საფრანგეთშიც. თავის პრეტენზიებს სირიის ტახტზე (უკიდურეს შემთხვევაში, ლივანის ტახტზე) აცხადებს გერცოგი **დე-გიზი,** ბურბონთა სამეფო გვარეულობის „კეთილშობილი" წარმომადგენელი, რომელმაც ორლეანის ჰერცოგის სიკვდილის შემდეგ მიიღო ყველა „უფლებები" საფრანგეთის ტახტზე. მართალია, სად საფრანგეთისა და სად სირიის ტახტი! მაგრამ რას იზამ, თუ საფრანგეთის ბურჟუაზია ფიქრობს, რომ მის ინტერესებს პუანკარე უკეთ ემსახურება, ვიდრე გერცოგი გიზი. სულ არარაობას სირიის ტახტი სჯობიაო,—ფიქრობს გერცოგი.

კანდიდატები ბევრია. სწარმოებს ჩუმი ვაჭრობა. არავინ არ ეკითხება სირიის ხალხს, თუ რა სურს მას. მაგრამ სირიის ხალხი კიდევ იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას.

რ. მ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ბეჭდვითი სიტყვის დღე

მოსკოვი, 7 მაისი. ბეჭდვითი სიტყვის დღეს მთელ საბჭოთა კავშირში ყველგან გაიმართა პარტიულ და კომკავშირთა უჯრედების ღია კრებები, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა, მუშკორთა და გლეხკორთა კონფერენციები. მთელ რიგ ქალაქებში გაიხსნა წიგნის ბაზრები და გაზეთების და წიგნების გამოფენები (ადს).

დახმარება სასოფლო მეურნეობას

მოსკოვი, 7 მაისი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მნიშვნელოვნად დაუკლო ბაჟი სასოფლო - სამეურნეო მანქანებზე და იარაღებზე (ადს).

ჰიდროსადგური მდ. ბელაიაზე

მოსკოვი, 7 მაისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა მდ. ბელაიაზე, მაიკოპის მახლობლად აგოს დიდი ჰიდროსადგური. სადგურის აგება დაჯდება 5 მილ. მან.

მუშაობა დაიწყება მიმდინარე წელში (ადს).

ლენინგრადის ნავთსადგურის გაფართოება

ლენინგრადი, 7 მაისი. ნაოსნობის დასაწყისში ლენინგრადის ნავთსადგური მნიშვნელოვნად გაფართოვდა. საზღვაო არხი მისი სიგრძის ნახევარ მანძილზე გაღრმავებულია. ეხლა ნავთსადგურში შეუძლიათ შესვლა ოკეანეს დიდ გემებს. გლადკის კუნძულზე მოეწყობა სპეციალური გემთ - სადგომი ხე-ტყის მასალის ექსპორტისათვის. რკინისგზის ხაზი ნავთსადგურის ტერიტორიაზე ატარებს 620 ვაგონს დღე-ლამეში (წინეთ 120 ვაგ.). (ადს).

წიგნის ბაზარი

მოსკოვი, 7 მაისი. 7 მაისს ტვერის ბულვარში გაიხსნა წიგნის ბაზარი; ბაზარზე არის წიგნები, გაზეთები და ჟურნალები. (ადს).

ქარიშხალი ვოლგაზე

მოსკოვი, 7 მაისი. ვოლგაზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა. [illegible] მახლობლად ქარიშხალმა დაანგრია რამოდენიმე ბარჟა შეშით. (ადს).

უკრაინა

ხორბალი „უკრაინკა" მექსიკაში

კიევი, 7 მაისი. შაქრის ტრესტის სამმართველომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლისაგან მექსიკაში — ამხ. კოლონტაისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც იგი თხოულობს, რომ მექსიკაში გაგზავნილ იქნას „უკრაინკას" დახარისხებული ხორბალის ნიმუშები, ვინაიდან ეს ხორბლეული დიდ ინტერესს იწვევს მექსიკაში და ცენტრალური ამერიკის სხვა რესპუბლიკებში (ადს).

ყირიმი

შავი ზღვის ნავთსადგურებში

სევასტოპოლი, 7 მაისი. შავი ზღვის ნავთსადგურებში არაჩვეულებრივი გაცხოველებაა. თვით ომამდე არსებულ ხანაშიაც კი არ გაუცლია სევასტოპოლის ნავთსადგურში ამდენ გემებს, როგორც ეხლა. დაწესებულ იქნება ახალი სამგზავრო ხაზი: ოდესა - სევასტოპოლი-ბათუმი. მგზავრთა რაოდენობა წარსულ წელთან შედარებით 15—20 პროცენტით გაიზარდა. საკურორტო ხაზზე სევასტოპოლი - იალტა იმუშავებენ ახალი გემები (ადს).

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები

პოლიგრაფიულ მრეწველობის მუშაკთა კავშირში

მოსკოვი, 7 მაისი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექცია გადაყვანილ იქნეს პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა კავშირში. პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა კავშირში გადაყვანილ უნდა იქნენ რედაქციების და დამოუკიდებელ გამომცემლობათა აპარატები, აგრეთვე საკავშირო დეპეშათა სააგენტოს და მისი განყოფილებების მუშაკები. იმ საპროფკავშირო და საუწყებო რედაქციების და გამომცემლობების მუშაკები, რომლებიც ადმინისტრატიულად და ფინანსიურად არ არიან გამოყოფილი თავიანთ უწყებებისაგან, იმ კავშირებს მიეკუთვნებიან, რომლებშიაც შედიან სათანადო უწყებების და პროფკავშირების მუშაკები.

გადასვლა უნდა დამთავრდეს 15 ივნისამდე.

იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რომელ კავშირს მიეკუთვნონ მწერლები, საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭომ გამოჰყო კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. მელნიჩანსკი, ინგულოვი, გუსევი და სხვ. (ადს).

ტიმოშჩუკის გასამართლება

მოსკოვი, 7 მაისი. 6 მაისს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში დაიწყო მეჩვიდმეტე ავიორაზმის უფროს მოტორისტის ტიმოშჩუკის საქმის გარჩევა. ტიმოშჩუკს წაყენებული აქვს ბრალდება თანახმად სამხედრო ბოროტმოქმედებათა შესახებ არსებულ დებულების 8 და 16 მუხლისა. თავმჯდომარეობს ამხ. **ულრიხი.** ბრალმდებლათ გამოდის საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს პროკურორის თანაშემწე ამხ. **პავლოვსკი.**

გამოძიების დროს ტიმოშჩუკმა დამნაშავეთ სცნო თავი მისთვის წაყენებულ ყველა ბრალდებებში. მან განაცხადა, რომ 26 იანვარს რაზმის უფროსმა კლიმმა დანიშნა გაფრენა და უბრძანა ტიმოშჩუკს მომზადებულიყო გასაფრენად. კლიმმა გასცა განკარგულება ჩაესხათ მანქანაში საჭირო რაოდენობის ბენზინი და ზეთი. როცა ჰაეროპლანი, რომელშიაც ისხდენ კლიმი და ტიმოშჩუკი, გაფრინდა, კლიმმა მაშინვე აიღო კურსი ჟიტომირის გზატკეცილისაკენ. ნოვგოროდ-ვოლინსკის მახლობლად ჰაეროპლანი აიწია 2.000 მეტრის სიმაღლეზე, გადაფრინდა საზღვარზე და გაემართა ჩამოსაფრენათ ლუცკის ჰაეროდრომისაკენ. დაეშვა რა ლუცკში, კლიმმა ჰაეროპლანის გარშემო შეკრებილ პოლონელ ოფიცრებს განუცხადა, რომ ის განზრახ გადაფრინდა პოლონეთში. გაჩხრეკის შემდეგ, რომლის დროს კლიმს აღმოაჩნდა რამოდენიმე რუკა, ფოტოგრაფიები და რაზმის სია, კლიმი და ტიმოშჩუკი წაიყვანეს დასაკითხავად. ტიმოშჩუკმა შეკითხვაზე მისცა ცნობები კიევის გარნიზონის, მე-17-ე ავიორაზმის და სხვ. შესახებ.

ერთი დღის შემდეგ კლიმი და ტიმოშჩუკი წაიყვანეს ვარშავაში. გზაში მათ მიჰყვებოდათ ოფიცერთა მცველი რაზმი. ვარშავაში ისინი გადაეცნენ პოლონეთის გენერალურ შტაბის მზვერავი რაზმის განკარგულებაში. რაზმის აგენტებმა შეაძინეს მათთვის ტანსაცმელი და დაჰყავდათ ისინი რესტორანებში და გასართობ ადგილებში. მხოლოდ 2 დღის შემდეგ 5 თებერვალს, კლიმი და ტიმოშჩუკს დაჰკითხეს პოლონეთის გენერალურ შტაბში. 10 თებერვალს ტიმოშჩუკი და კლიმი ისევ წარსდგენ დაკითხვაზე პოლონეთის საჰაერო ძალების უფროსის წინაშე.

ტიმოშჩუკის სიტყვით, კლიმი სიამოვნებით აძლევდა ჩვენებებს. ვარშავაში ტიმოშჩუკმა გაიმეორა მის მიერ ლუცკში მიცემული ჩვენებები.

16 თებერვალს მათ მისცენ ყალბი პასპორტები რუბლეცკის და ჟიშევსკის სახელზე. კლიმს საზარჯოთ მისცენ 500 ზლოტი, ხოლო ტიმოშჩუკს 100 ზლოტი. ტიმოშჩუკს პოლონეთის გენერალურ შტაბში აუკრძალეს თავისი ნამდვილი გვარის გამომჟღავნება.

შემდეგ ტიმოშჩუკი ამბობს, რომ ის 8 დღეს დადიოდა ვარშავის ქუჩებში და ეძებდა საბჭოთა საელჩოს. 19 თებერვალს საღამოს მან ჩაუარა საბჭოთა საელჩოს, მაგრამ შეეშინდა იქ შესვლა, რადგან დაინახა იქვე მდგომი პოლიციელი. მეორე დღეს ის შევიდა საელჩოში და განაცხადა, რომ მას სურს დაბრუნდეს საბჭოთა კავშირში.

თავის ჩვენებებში ტიმოშჩუკი კატეგორიულათ აცხადებს, რომ არც მას და არც კლიმს არავითარი საუბარი არ ჰქონიათ პოლონეთის პრესის წარმომადგენლებთან. კლიმმა განუცხადა ტიმოშჩუკს, რომ მას პოლონეთის ხელისუფლებამ შეჰპირდა 10—15 ათასი ზლოტი და სამსახური სამოქალაქო ავიაციაში. კლიმს ეს წინადადება არ მოეწონა. კლიმმა და ტიმოშჩუკმა პოლონეთის გენერალურ შტაბს მისცენ ხელწერილი, რომ მათ არ სურთ საბჭოთა კავშირში დაბრუნება. ტიმოშჩუკი აცხადებს, რომ მან ასეთი ხელწერილი მისცა რეპრესიების შიშით. სასამართლოს გამოძიებაზე ტიმოშჩუკმა კატეგორიულათ უარჰყო თავის დროზე პოლონეთის პრესაში მოთავსებული „მამხილებელი ცნობები", რომელნიც, თითქოს, პრესას მისცა კლიმმა და ტიმოშჩუკმა. ერთ - ერთმა აგენტმა, რომელიც დანიშნული იყო კლიმის და ტიმოშჩუკის მცველათ, კლიმთან ლაპარაკის დროს განუცხადა მას, რომ „მას შეუძლია დიდი ფულის გაკეთება, თუ მამხილებელ წერილებს მოათავსებს პრესაში". კლიმმა უპასუხა, რომ ეს მისაღები აზრია.

სასამართლოს სხდომა შესწყდა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის რკინისგზელთა ყრილობა

ბაქო, 7 მაისი. გაიხსნა აზერბეიჯანის რკინისგზელთა მე-9-ე ხანმო ყრილობა. (ადს.

კასპიის ზღვაზე წარმოშობილ კუნძულის გამოკვლევა

ბაქო, 7 მაისი. კასპიის ზღვაზე უკანასკნელი ვულკანური ამოხეთქის დროს წარმოშობილ ახალ კუნძულის შესასწავლად დღეს ბაქოდან გემ „სობოლით" გაემგზავრა „აზნეფთის" გეოლოგიურ-გამოკვლევითი ბიუროს ექსპედიცია. (ადს).

სომხეთი

წყალდიდობა სარდარაბადში

ერევანი, 7 მაისი. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მდ. არაქსი ადიდდა. დაზიანდა ნათესები. მოსახლეობამ სახლების დასაცავად დანგრევისაგან სახლების ირგვლივ გათხარა არხები. (ადს).

საძოვარი ქართველ მესაქონლეთათვის

ერევანი, 7 მაისი. სომხეთის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ ქართველ მესაქონლეთა საზოგადოება „მწყემს" ლენინაკანის მაზრაში მისცეს 6.500 დესეტინა საძოვარი მიწა იმ პირობით, რომ მომავალში ამ მიწის ნაწილი შეიძლება იქნას უკან წაღებული ადგილობრივ გლეხთა საჭიროებათათვის (ადს).

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან კვირამდე)

გერმანიის სოციალ-დემოკრატები ფაშისტების მოკავშირენი. — რეფორმისტების მავნე ილიუზიები და ეკონომიური კონფერენცია.—ჟენევის პოლიციის წრეგადასული „მზრუნველობა" საბჭოთა დელეგაციის მიმართ. — ჩან-ძო-ლინის „დოკუმენტები" საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. — ჩან-კაი-შის კონტრ-რევოლუცია აღსასრულის წინ.

საერთაშორისო სოციალ - შეთანხმებლებ შორის თავისი მოღალატეობით მუშათა კლასისადმი, ეჭვს გარეშეა, გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ზედა ფენები პირველ რიგში დგანან. ბურჟუაზიულ ბლოკის მთავრობამ გერმანიაში გააუქმა რვა საათის სამუშაო დღე, წარმოიდგინეთ — სამთო მრეწველობაში ამის წინად შემოღებულ იქნა 11 საათის სამუშაო დღე. გერმანელი მენშევიკები და რეფორმისტული პროფკავშირები კი გაჩუმებულნი არიან, თითქოს ეს მათ არ ეხებოდეს, თითქოს ეს სრულებით ნორმალური მოვლენა იყოს. პირიქით, ისინი „ნაციონალურ ეკონომიკის" და წარმოების „რაციონალიზაციის" ინტერესებით ამართლებენ მუშათა უსაზღვრო ექსპლოატაციას და ყოველნაირად ცდილობენ მათი კლასობრივი შეგნების დაბნელებას, მრეწველობაში „მშვიდობიანობის" ჩამოგდებას.

არა ნაკლებ საგულისხმოა ის ამბები, რომლებიც ხდება დღეისათვის ბერლინში დანიშნულ ფაშისტურ დემონსტრაციისთან დაკავშირებით. გერმანიის ყველაზე უფრო ძლიერი ფაშისტური ორგანიზაცია, „ფოლადის მუზარადი" კარგა ხანია ემზადება ბერლინზე შესატევად, რომელიც სამართლიანად ითვლება რევოლუციონურ პროლეტარიატის ციხე-სიმაგრედ. „ფოლადის მუზარადს", რომელსაც ასაზრდოებენ მონარქისტები, მსხვილი მრეწველები და ბანკირები, თავის ბატონების დავალების თანახმად, სურს დაამტკიცოს რომ ბერლინი მათია, მას სწადია თავზარი დასცეს რევოლუციონურად განწყობილ ელემენტებს და ისინი პროვოკაციულად გამოიწვიოს აღრინდელ ბრძოლაში, თუ ეს მოსახერხებელი შეიქნა. ოთხმოც ათასამდე ფაშისტი მთელი გერმანიიდან მოედინება ბერლინისკენ და შავი ძალები მათ მისაღებად ემზადებიან. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხდება ჰინდენბურგის მთავრობის ლოცვა - კურთხევით და პირდაპირი დახმარებით, ჰინდენბურგის, რომელიც ფაშისტური ორგანიზაციების საპატიო თავმჯდომარეა.

თავისი მხრივ კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს მუშათა რიგების დასარაზმავად და კონტრ-დემონსტრაციის მოსაწყობად. როგორია გერმანელ მენშევიკების დამოკიდებულება ფაშისტების შემოტევისადმი? მათ უპასუხოთ დასტოვეს კომპარტიის მიმართვა ფაშისტების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ. ისინი ურჩევენ მუშებს არ გაყვენ კომპარტიას და რვა მაისს ქალაქ გარედ გაატარონ დრო, ან თავიანთ ბინებში ჩაიკეტონ და დემონსტრაციის გამართვაზე, თავისი სიძლიერის გამოჩენაზე აიღონ ხელი, რომ ფაშისტებს, ამით სრული საშუალება მიეცეს ბერლინის ქუჩებში თარეშისათვის და მასების რევოლუციონური ნებისყოფის გატეხისათვის. ბერლინის პოლიციის უფროსმა, სოციალ - დემოკრატმა, ოფიციალურად აუკრძალა კომპარტიას ფაშისტების საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოწყობა. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, აგრეთვე სოც.-დემოკრატი, აცხადებს, რომ ის არავის მისცემს საშუალებას ხელი შეუშალოს ფაშისტების აღლუმს. პრუსიის ლანდტაგის სხდომაზე კომუნისტ დეპუტატებს შეაქვთ შეკითხვა ბერლინის პოლიციის უფროსის ხსენებულ განკარგულების გამო და ისინი მოითხოვენ მის გაუქმებას. სოციალ-დემოკრატები, კი მემარჯვენე პარტიებთან ერთად, მკაცრად ილაშქრებენ კომუნისტების წინადადების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, შექმნილია მენშევიკების მთლიანი ფრონტი ფაშისტებთან და მთელ ბურჟუაზიასთან რევოლუციონურ ელემენტების ჩასახშობლად.

მიუხედავათ ამისა, კომპარტია უკან არ იხევს. ის რაზმავს პროლეტარიატს, რათა მან საქვეყნოთ ნათელყოს თავისი სიძლიერე და ფაშისტების აღლუმზე მრისხანე დემონსტრაციით უპასუხოს. თავის-თავად ცხადია, რომ ის ამავე დროს მიიღებს ზომებს, რომ ფაშისტებს წაართვას სისხლიანი პროვოკაციის ჩადენის შესაძლებლობა. ამ პროვოკაციას კი აწყობენ ფაშისტები და აქ მათ მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატები, რომელთაც იმედი აქვთ, რომ ამას მოჰყვება მთავრობის მხრით რეპრესიების გაძლიერება კომუნისტების წინააღმდეგ. ეს კი მათთვის საჭიროა, რომ ამ გზით შეუძ[illegible]ხდეს მუშების გარევოლუციონერების პროცესი და კომპარტიის გავლენის ზრდა მათზე, რაც მენშევიკებს მუშათა მასაში ნიადაგს აცლის.

სხვათა შორის, პირველ მაისობის დღესასწაული, როცა 250 ათასზე მეტი ბერლინელი პროლეტარი კომპარტიის დროშის ქვეშ გამოვიდა ქუჩებში, მოწმობს, რომ ჩვენს მოძმე პარტიას საკმაო ძალა შესწევს ფაშისტების და მათ მოკავშირე სოციალ - დემოკრატების წინააღმდეგ.

* * *

მსოფლიო რეფორმიზმი, რომ კაპიტალისტური სისტემის განმტკიცების საქმეს ემსახურება, ეს, სხვათა შორის სჩანს მისი დამოკიდებულებიდან ჟენევაში ეხლა მიმდინარე ეკონომიურ კონფერენციისადმი. სოციალ-დემოკრატები გაიძახიან, რომ თითქო დადგა რაღაც ზეიმპერიალიზმის ხანა, როდესაც ცალკე კაპიტალისტურ ჯგუფების ინტერესთა წინააღმდეგობანი თანდათან სუსტდება და ამის მაგივრად მათ შორის თანამშრომლობა მყარდება. ამნაირად, ისინი კაპიტალიზმის მარადისობას ქადაგებენ და ატყუებენ მუშათა მასებს, თითქო მსოფლიო ომის საფრთხე კაპიტალისტურ წყობილების პირობებში სულ უფრო ქრებოდეს.. ასეთ თვალსაზრისის გამართლებას მენშევიკები ხედავენ სხვადასხვა საერთაშორისო კაპიტალისტურ გაერთიანებებში და კონფერენციებში, რასაც თავის მუშაობას და სოციალ - დემოკრატიულ იდეების გავლენას აწერენ. აი, მაგ. ჟენევაში შესდგა ამსტერდამის და მეორე ინტერნაციონალის წევრთა თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა დეკლარაცია, სადაც ესალმება კონფერენციის მოწვევას, როგორც თითქოს, იმის დამამტკიცებელს, რომ მსოფლიო მეურნეობა ვითარდება კოლექტიურ თანამშრომლობის მიმართულებით. ან გაეცანით თუ გნებავთ ფრანგ რეფორმისტ ჟუოს გამოსვლას კონფერენციაზე; ის ტრაბახობს: სოციალ - დემოკრატებმა ჯერ კიდევ 1914 წ. წამოაყენეს საერთაშორისო ეკონომიური პრობლემები, ეხლანდელი კონფერენციის მოწვევა სოც.-დემოკრატების გამა[illegible].

ეს არის ყველაზე უფრო მავნე ილიუზია, რომელსაც რეფორმისტები ავრცელებენ მუშათა მასაში, თითქოს ეკონომიურ თანამშრომლობის და მშვიდობიანობის განხორციელება მოსახერხებელი იყო კაპიტალიზმის ხანაში. ნამდვილად კი აშკარაა, რომ სხვადასხვა კაპიტალისტური გაერთიანებანი იქმნება ცალკე სამრეწველო და ფინანსიურ ჯგუფების მიერ ერთი მეორესთან საბრძოლველად და ჩამორჩენილ ქვეყნების გასაფცქვნელად და, რომ ამაში ახალი ომის საშიშროება მარხია. ჟენევის კონფერენცია, თუმცა ის მხოლოდ რამოდენიმე დღეა რაც გაიხსნა, ცხადად აშკარავებს, რომ კაპიტალის ბატონობის დროს ხალხთა თანამშრომლობის მიღწევა შეუძლებელია, რომ ცალკე კაპიტალისტურ ჯგუფების ინტერესთა წინააღმდეგობის გადალახვის ცდა ფუჭი საქმეა. კონფერენციის დღის წესრიგიდან, როგორც ვიცით, წინასწარ მოხსნილ იქნა მრავალი ძირითადი საკითხი, როგორიცაა: ვალების, ნედლეულის, მონოპოლიის, იმიგრაციის და სხვა, რაც მოწმობს ცალკე ქვეყნების და კაპიტალის ცალკე ჯგუფების შეუთანხმებლობას მათ გარშემო. მიუხედავათ ამისა, ზოგიერთი მათგანი მაინც წამოყოფს თავს და რამდენადაც ისინი პირდაპირ დაისმებიან, იმდენად კონფერენციის ჩაშლა აუცილებელია. მაგ., იტალიამ, რომელიც მწვავედ განიცდის ნედლეულის ნაკლებობას და მოსახლეობის სიჭარბეს, კონფერენციაზე თავის წარმომადგენელის პირით უკვე აღნიშნა ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევის საჭიროება, რაც იმას ნიშნავს, რომ იტალია მოითხოვს კოლონიებს, მაგრამ ასეთები უკვე განაწილებულია და უომრად არავინ დაუთმობს. შვეციის დელეგატმა გაილაშქრა საერთაშორისო კარტელების წინააღმდეგ, მაშინ, როცა კონფერენციის მთავარი მონაწილენი ასეთი კარტელების შექმნას და მათი საშუალებით აგრარულ ქვეყნების და უფრო სუსტ კაპიტალისტურ ჯგუფების დამონებას ისახავენ მიზნად. ჰოლანდიის დელეგატმა, რომლის ზურგს უკან ინგლისი სდგას და რომელსაც მხარს უჭერენ უნგრეთი, ჩეხო-სლოვაკია, პოლონეთი,—წამოაყენა დუნაის ქვეყნების ეკონომიურ თანამშრომლობის პროექტი; ამ პროექტის წინააღმდეგი არიან იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის და სამხრეთ-სლავიის დელეგაციები. პოლონეთის წარმომადგენელი მფარველობითი სისტემის მომხრეთ გამოვიდა, მძლავრი ინდუსტრიალური ქვეყნები კი, თავის-თავს იცავენ რა მაღალი ტარიფებით, ჩამორჩენილ ქვეყნებს თავს ახვევენ ვაჭრობის [illegible]

ერთი სიტყვით, მრავალმა უთანხმოებამ იჩინა თავი, თუმცა ორატორთა უმრავლესობა ერიდებოდა საკითხების კონკრეტიზაციას და საერთო ბუნდოვანი ფრაზებით კმაყოფილდებოდა, რომ მდგომარეობა კონფერენციაზე არ გაემწვავებინათ. მაგრამ „ცეცხლი თივაში არ დაიმალება", და თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის წინააღმდეგობანი, ეჭვი არ არის, შეუძლებელს გახდიან რაიმე ნამდვილი შეთანხმების მიღწევას კონფერენციაზე. ასეთ პირობებში სოც.-დემოკრატების ზეიმი და თავის ქება მხოლოდ მუშათა კლასის საქმისადმი ღალატი და მასების მოტყუილების, მათი სიფხიზლის მიძინების სურვილით შეიძლება აიხსნას.

* * *

ჟენევის კონფერენციასთან დაკავშირებით, არ შეგვიძლია არ შევეხოთ იმ „მზრუნველობას", რომელიც ჟენევის პოლიციამ გამოიჩინა საბჭოთა დელეგაციის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ შვეცარია-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარების და ერთა ლიგის სათანადო განცხადების შემდეგ ჩვენი წარმომადგენლები უნდა ჩაეყენებიათ ისეთ პირობებში, როგორც დანარჩენ ქვეყნების დელეგატები,—კონფერენციის პირველ 2 დღეში ჩვენ სულ სხვა სურათის მოწამენი შევიქენით. საბჭოთა დელეგაცია მოაქციეს პოლიციის უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ. მის წევრთა ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდენ. ტელეფონით ლაპარაკი ან სადმე გავლა მათ მხოლოდ პოლიციის აგენტების თანხლებით შეეძლოთ. დელეგაციას წინასწარ უნდა ეცნობებია პოლიციისათვის, თუ რას აპირებდა ის მეორე დღეს და სხვ. საერთოდ, მუშაობის და მიმოსვლის, ვინმესთან ურთიერთობის დაჭერის საშუალება იმდენად იქნა შეზღუდული, რომ დაისვა საკითხი დელეგაციის უკან დაბრუნების შესახებ. თუ მის „დასაცავად" მიღებული ზომები არ შეიცვლებოდა. საბჭოთა დელეგაციამ ასეთი რეჟიმის გამო პროტესტი განუცხადა ერთა ლიგის საბჭოს, იმის აღნიშვნით, რომ ის დასტოვებდა ჟენევას, თუ ასეთი მდგომარეობა არ აღმოიფხვრებოდა. როგორც ეტყობა, პროტესტმა გასჭრა და პოლიციის წრეგადასულ „მზრუნველობას" ბოლო ელება.

ძნელია იმის თქმა, თუ რით უნდა აიხსნას პოლიციის ასეთი თავაშვებულება, რაც, ცხადია, შვეიცარიის მთავრობის დასტურით მოხდა. შესაძლებელია, რომ შვეიცარიის ხელისუფლებას შეეშინდა მასების დაახლოვებისა ჩვენს დელეგაციასთან, მასებს, რომელნიც ზეიმით ეგებებიან მას. აგრეთვე საფიქრებელია, რომ ამ პროვოკაციაში ერიოს ინგლისის ხელი. ლონდონის იმედი, რომ საბჭოთა მთავრობა არ მიიღებდა კონფერენციაში მონაწილეობას და რომ ამით ჩემბერლენს საშუალება მიეცემოდა კონფერენციის დამარცხების და, საერთოდ, ყოველგვარი „უბედურების" მიზეზად ჩვენ გამოვეყვანეთ,—ეს იმედი ჩაიფუშა. რამდენადაც ინგლისი ხედავს, რომ მის ბნელ კომბინაციებს და ზრახვებს კონფერენციაზე ჩვენი დელეგაცია გადაელობება მათი გამოაშკარავებით და ეკონომიურ პრობლემების გადაჭრის თავის პროგრამის წამოყენებით, იმდენად ის შეეცდება შეჰქმნას ჩვენი წარმომადგენლებისათვის მუშაობის აუტანელი პირობები.

მაგრამ, როგორც ვსთქვით, მდგომარეობა გამოიცვალა, და ჩვენი დელეგაცია ესწრება კონფერენციის სხდომებს. გვგონია, რომ ამაში, გარდა ჩვენი გადაჭრილი პროტესტისა, ერთგვარი როლი ითამაშეს ზოგიერთ ქვეყნების დელეგაციებმა. უკვე ცნობა იყო, რომ ჩვენი დელეგაცია ამყარებს კონტაქტს გერმანიის და საფრანგეთის წარმომადგენლებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისი ვერ ახერხებს კონფერენციაზე ერთიანი ფრონტის შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რასაც იგი, ცხადია, ცდილობს. ამასთან, ეს გარემოება ინგლის-საფრანგეთ-გერმანიას შორის არსებულ წინააღმდეგობათა ერთნაირი გამოხატულებაა.

* * *

ინგლისის მთავრობა ცდილობს, სადაც ხელი მიუწვდება, ყველგან მოაწყოს ანტისაბჭოთა პროვოკაცია. ამ მხრივ ყველაზე აღსანიშნავი ამ ბოლო დროს იყო ბანდიტური თავდასხმა პეკინის საბჭოთა საელჩოზე, რაშიც, აშკარაა, ლონდონის ხელი ურევია. ამ თავდასხმის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა ისეთი „დოკუმენტების" ხელში ჩაგდება, რომელთაც უნდა დამტკიცებიათ საბჭოთა მთავრობის ჩარევა ჩინეთის შინაურ საქმეებში, მის მიერ ხელის შეწყობა ჩან-ძო-ლინის დამხობისათვის და ჩინეთის ხალხის ამხედრებისათვის უცხო სახელმწიფოების და, პირველ ყოვლისა, ინგლისის წინააღმდეგ.

ამ მიზნით ჩვენი საელჩოს გაჩხრეკა უჩვეულო პირობებში მოახდინეს. გაჩხრეკაზე ჩვენი წარმომადგენელი არ დაუშვეს. ნივთები წაიღეს ისე, რომ ასეთ შემთხვევებში საჭირო აქტი არ შეუდგენიათ. ჩან-ძო-ლინის ბანდიტები ასე სწორედ იმიტომ მოიქცნენ, რომ შემდეგ საშუალება ჰქონოდათ გაევრცელებინათ ხმები ჩინეთში საბჭოთა მთავრობის „დამანგრეველი მუშაობის" დამადასტურებელ „საბუთების" აღმოჩენის შესახებ. ინგლისს და მის ჩინელ აგენტებს იმედი ჰქონდათ, რომ სიცრუეში მათ ვერ დაიჭერდენ, ხოლო ყალბი დოკუმენტების ფაბრიკაციაში ინგლისელი იმპერიალისტები ხომ დაგეშილი არიან. სხვა არა იყოს რა, ამ საქმეში მათი სამსახურისათვის მზად არიან რუსი თეთრგვარდიელები, რომელნიც ჩინეთშიც დაძრწიან და ჩინეთის მშრომელთა ჯალათების როლს ასრულებენ.

და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ჩან-ძო-ლინის და იმპერიალისტების პრესა შეუდგა ასეთი „დოკუმენტების" გამოქვეყნებას. უკანასკნელთა სიყალბე აშკარაა. მაგალითად, ერთ-ერთი „დოკუმენტის" თანახმად, კომინტერნი თითქო ურჩევს წააქეზონ ხალხის მასები უცხოელთა მოქმედების წინააღმდეგ ჩინეთში, ამასთან ამ წაქეზების საბოლოო მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მიაღწიონ უცხოელთა ინტერვენციას ჩინეთში". როგორც აქედან სჩანს, კომინტერნს გამოჰყავთ იმპერიალისტების ზრახვების გამტარებელ იარაღად! მეორე „დოკუმენტი", რომელიც ჩინეთში საბჭოთა მთავრობის „მოღვაწეობას" ეხება, დაწერილია ძველი ორფოგრაფიით და მრავალ უხეშ შეცდომას შეიცავს. ამ შემთხვევაში ყალბისმქნელებს მცირეოდენი მოხერხება, ნიჭი და პოლიტიკური ცოდნაც არ აღმოაჩნდათ, რომ მათმა „ნაცოდვილევმა" სინამდვილის აჩრდილის შთაბეჭდილება მაინც დასტოვოს. ჩვენ გვგონია, რომ ეს ცრუ დოკუმენტები, რომელთა დანიშნულება საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების გართულება სხვა სახელმწიფოებთან, ამ მიზანს ოდნავადაც ვერ მიაღწევენ: იმდენად თვალში გეცემათ მათი საეჭვო წარმოშობა; საბჭოთა მთავრობას არ გაუჭირდება მათი სიყალბის ნათელყოფა.

* * *

თვით ჩინეთის შინაურ მდგომარეობაში უკანასკნელ დროს მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ღრმა კრიზისი, რომელმაც მოიცვა მოღალატე ჩან-კაი-შის ბანაკი. ერთი ამერიკელი ჟურნალისტი სინამდვილეს გვამცნევდა, როცა ამას წინეთ სწერდა, რომ ნანკინში „თითქმის არ სჩანს მთავრობის (ჩან-კაი-შის) ნიშანწყალიო". საქმე ის არის, რომ სამხრეთის კონტრ-რევოლუციის რიგებში დიდმა დეზორგანიზაციამ იჩინა თავი. პირველ ყოვლისა, გენერლები წაეჩხუბენ ერთმანეთს. კანტონში ზის დიქტატორი ლი-ცი-სინი, რომელიც თავის დამოუკიდებელ „პოლიტიკას" ატარებს და ჩან-კაი-შის არ ემორჩილება. სხვადასხვა გენერლებს შორის სწარმოებს ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ამასთან ჩან-კაი-შის არმიის მეორე დივიზიის უფროსი, ჩენ-კაიაო, განუდგა მას და თავის ნაწილით უხანის მთავრობის მხარეზე გადავიდა. ამით მეტად გართულდა სამხრეთის კონტრ-რევოლუციის სამხედრო მდგომარეობა.

ჩან-კაი-შის ზურგს ბევრგან გლეხთა მასიური აჯანყებები მოედო. ამ აჯანყებებს ჯარებიც უერთდებიან. ჩან-კაი-შის მშრომელ მოსახლეობაში არავითარი ბაზა არ გააჩნია. მისი იმედი, რომ გომინდანის საგრძნობი ნაწილი მას გაჰყვებოდა, უნიადაგო გამოდგა. გომინდანის რევოლუციონური ფრთა და კომპარტია სულ უფრო მეტ ძალებს იკრეფენ თავის გარშემო. ნანკინის ჯგუფი პარტიული მხრით წარმოადგენს უარმიო შტაბს, შტაბს, რომელსაც ამავე დროს ღრღნის შინაგანი უთანხმოებანი. კონტრ რევოლუციის მეთაურთა გაკოტრება სჩანს იქიდანაც, რომ ისინი იძულებული ხდებიან სიტყვიერად მაინც მუშებს „გამოეარშიყონ", მათ სხვადასხვა დაპირებები შესთავაზონ, მაგრამ ამავე დროს კომუნისტების დევნა წინანდებურად გრძელდება. აშკარაა, რომ მშრომელთა მოძრაობა სულ უფრო იზრდება და მის დაუფლებას ცდილობენ ჩანკაიშელები. აქედან არაფერი გამოუდით. მასებმა კარგად გაუსინჯეს მოღალატეებს კბილები და ისინი ვერ მოსტყუვდებიან. ამას მოწმობს თუ გინდ ჩან-კაი-შის მომხრეთა მიერ მოწყობილი საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც სრული მარცხით დამთავრდა.

გარდა ამისა, ჩან-კაი-ში განიცდის უკიდურეს ფინანსიურ გაჭირვებას. ნანკინის „მთავრობის" მიერ გამოშვებულ ფულებს რეპრესიების შიშით თუ ღებულობენ. თვით ბურჟუაზიასაც არ სჯერა ჩან-კაი-შის მდგომარეობის სიმტკიცე და მას ფინანსიურ დახმარებას არ აძლევს, მის ბანკნოტებს უნდობლობას უცხადებს.

ამნაირად, კონტრ-რევოლუცია, რომელმაც ფრთები შეასხა იმპერიალისტებს, სამარცხვინოდ მარცხდება. უხანის რევოლუციონური მთავრობის გადაჭრილი ზომებით და მის მიერ მასების მობილიზაციით, შესაძლებელია ჩან-კაი-შის ავანტიურის სრული ლიკვიდაცია, რომლის შემდეგ უხანს ხელფეხი გაეხსნება ჩან-ძო-ლინის და იმპერიალისტების წინააღმდეგ უფრო ენერგიული ბრძოლის საწარმოებლად.

გ. კ—ლი.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომკავშირის ცეკას მე-4 პლენუმი

გუშინ, საღამოს ა. ლ. კ. კ.-ის ცენტრ. კომიტეტში შესდგა საქართველოს კომკავშირის ცეკას მე-4 პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ცეკას მოხსენების დამტკიცება კონფერენციაზე.
2. ინფორმაცია საქ. ორგანიზაციის დათვალიერების შესახებ — საკავშირო კომკავშირის ცეკას მიერ.
3. კონფერენციის დღის წესრიგის დამტკიცება.
4. სხვა და სხვა.

პლენუმმა აღნიშნა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ეძლევა მიმდინარე პირობების გამო, მეორე კონფერენციას; კონფერენციის დღის წესრიგში დგას მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა ამომწურავი გარჩევა - გადაწყვეტა ხანგრძლივი მანძილით განსაზღვრავს საქართველოს ორგანიზაციის მთელ რიგ ძირითად ამოცანებს.

ვ. ქ.

პარტიის კანდიდატებისაგან განტვირთვის შესახებ

პარტია დაუნდობლად ებრძვის ბიუროკრატიზმს და მით უფრო დაუნდოგვარ განსახიერებასთან საკუთარ რიგებში. მიუხედავად ამისა, არის ერთი ნაკლი ჩვენს შინაპარტიულ მუშაობაში, რომელიც ბევრათ მოგვაგონებს ამ სენს და რომელსაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ჩვენ ვლაპარაკობთ პარტიაში მიღების ტეხნიკურ ფორმალობის შესრულებაზე.

არაერთხელ დაუდგენია პარტიის ავტორიტეტულ ყრილობებს და კონფერენციებს, რომ ორგანიზაციები გაიტვირთონ კანდიდატებისაგან მათი პარტიაში გადარიცხვის დაჩქარებით. მიუხედავად ამისა, დღესაც ხშირათ შეხვდებით ბევრ უჯრედებში, რომ ამხანაგები ორი და სამი წლობით ირიცხებიან კანდიდატებათ.

აგვიანებენ კანდიდატების პარტიაში გადარიცხვას, ქვედა ორგანიზაციები — პარტუჯრედები, აგვიანებენ მიმღები კომისიები რაიკომებში, თუ სამაზრო კომიტეტებში, იგვიანებს პარტიულ აპარატის ტეხნიკური პერსონალი, რომელმაც სათანადო წიგნებში უნდა გაატაროს პარტიაში გადაყვანილი ამხანაგი. ყველა ამ ინსტანციებში საქმე რამდენიმე თვეობით იგვიანებს, თვეებს წლები მოსდევს და ამიტომ ხდება, რომ კანდიდატები ან პარტიაში გადასაყვანი კომკავშირელი დაუსრულებლათ ელოდება პარტიაში გადარიცხვას და სრულუფლებიან პარტწევრობას.

ასეთი მდგომარეობა მრავალ უარყოფით შედეგებს იწვევს. ჯერ ერთი ის ადუნებს თვით კანდიდატის ან ჰასაკს გადასულ კომკავშირელის აქტივობას, გარდა ამისა ის ხელს უშლის უჯრედის ორგანიზაციულ მუშაობას და ყოველივე ამასთანა ერთად ის საგრძნობლად აბრკოლებს პარტიის ნორმალურ ზრდას.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში. პარტიის ყრილობებმა და კონფერენციებმა ბევრჯერ გამოიტანა საამისო დადგენილება. საჭიროა ამ დადგენილებათა მეხსიერებაში აღდგენა, საჭიროა სასტიკი ბრძოლის გამოცხადება ყოველგვარ ბიუროკრატიულ გადახრებთან საზოგადოთ და პირველყოვლისა თვით პარტიის რიგებში.

ა. ჟ—ლი.

კომკავშირი და ფიზიკური კულტურა

უკანასკნელ თვეებში ფიზკულტურის მუშაობა უფრო გამოცოცხლდა. მის რიცხვობრივ ზრდასთან ერთად წამოიჭრა საკითხი თვისობრივობის გაზრდის შესახებ. ამ მხრივ აღებული გეზი თბილისის საბჭოს მიერ სწორია, რაც შესაძლებლად ხდის შემდეგში—კიდევ უფრო მოგვარდეს ფიზკულტურის წრეების მუშაობა და ის სადღეისო მოთხოვნის საფეხურზე დადგეს. დამოკიდებულება ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტთან კარგია. ყოველივე მნიშვნელოვანი საკითხი წამოჭრილი ფიზკულტურის მუშაობაში—სწყდება კომკავშირის თბილისის კომიტეტთან შეთანხმებით. ამ ბოლო ხანებში მოხდა გამოკვლევა ფ. კ. წრეების, რომლის დროსაც აშკარა გახდა დი აუცილებელი საჭირო ამ დარგში გაიზარდოს კომკავშირის გავლენა და ხელმძღვანელობა, მისი ქვედა ორგანიზაციების ჩაბმით. ამ მიზნით კომკავშირის თბილისის კომიტეტთან არსებობს სასპორტო კომისია, რომელიც ცდილობს ფიზკულტურის მოძრაობაში ჩააბას მთლიანად კავშირის მასა და გააღვივოს აქტივობა.

საზოგადოთ უნდა ითქვას რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა სათანადო სიმაღლეზე დგას. იყო სხვადასხვა ნაციონალური გადახრები ფიზკულტურელთა წრეებში რომელიც საბჭომ თავის დროზე და უმტკივნეულოდ მოაგვარა.

აღსანიშნავია ერთი ნაკლი. ეს ის, რომ ფიზკულტურის გაკვეთილების სწავლება სასწავლებლებში მოიკოჭლებს. ცხრა წლედებში სრულებით არ არის ასეთი გაკვეთილები ოთხ წლედებში კი მხოლოდ ერთი საათია კვირაში. საჭიროა ამას სათანადო ყურადღებით მოეკიდოს თბილისის სახალხო განათლების განყოფილება. დღესდღეობით ეს უმუშაობა დაკისრებული აქვს განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ ინსტრუქტორს, რომელიც ისედაც დატვირთულია საქმეებით.

მიუხედავად ყოველივე სახსარის უქონლობისა მაზრაში მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა. სოფლად ფიზკულტ. წრეების მოსაწყობად გაიგზავნა მაზრის ინსტრუქტორები, რომლებიც ადგილობრივად ამზადებენ ინსტრუქტორებს. შესაფერისი დარბაზი და სავარჯიშო იარაღები სოფლად არ მოიპოვება ამიტომ გაძლიერებული აგიტაციის შემდეგ ზოგიერთმა თემმა გადასდგა გაბედული ნაბიჯი. ამ მხრივ მართლაც დიდი უნარი გამოიჩინა საგარეჯოსა და გომბორის თემმა. გომბორის კ. კ. თემკომმა გამონახა 200 მანეთი რითაც მოეწყო სასპორტო დარბაზი. თბილისის საბჭოს მიერ გაგზავნილ იქნა ინსპექტორი ადგილობრივ ინსტრუქტორის მოსამზადებლად. პირველმა თვითონ ჩაატარა მეცადინეობა, რომელსაც ყოველდღე 90—100 ქალი და ვაჟი ესწრებოდა. საგარეჯოში ფიზკულტურის წრეების მოწყობის მიზნით გამართა საღამო. აქედან შემოსული ფული მოხმარდება წრეების ჩამოყალიბებას და სასპორტო დარბაზის მოწყობას.

პიონერ ორგანიზაციის დამოკიდებულება თბილისის ბიუროსთან კარგია. სპეციალურად გამოყოფილი ინსტრუქტორი ამეცადინებს პიონერ კოლექტივების ხელმძღვანელებს რომლებიც თავიანთ კოლექტივებში—შემდეგ ატარებენ ამავე მეცადინეობებს. დასასრულ მოსახლეობის გასამხედროებასთან დაკავშირებით, დიდი ყურადღება ექცევა სასროლო სპორტის განვითარებას.

ზემოთ აღნიშნული მუშაობის შესახებ მოსმენილ იქნა მოხსენება ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის სხდომაზე, სადაც აღინიშნა. რა სუსტი მონაწილეობა კომკავში-მომუშავებულ იქნა პრაქტიკული წინადადებები. ამ წინადადებებიდან საყურადღებოა შემდეგი: აღინიშნა, რა სუსტიმ ონაწილეობა კომკავშირის მასის ფიზკულტურის მოძრაობაში—საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ეს საკითხი მოგვარდეს ქ. კავ. თბილ. კომიტეტის სასპორტო კომისიასთან ერთად. კომკავშირის ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად მომზადდეს ინსტრუქტორები. ამასთანავე ერთად ფიზკულტურის გარშემო საზოგადოებრივი აზრის განმტკიცების გამო ფიზკულტ. თბილისის საბჭოს მიერ აღებული გეზი მასიურ ექსკურსიების, დღესასწაულების და სეირნობის მოწყობის შესახებ ფართო არ ფიზკულტურელთა ჩაბმით მოწონებულ იქნას; თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოებასთან შეთანხმებით განვითარებულ იქნეს სასროლო სპორტი და აგრეთვე ტეხნიკური და წყლის სპორტი ზაჰესში.

გაძლიერდეს სისტემატიური ხელმძღვანელობა და მაზრაში ფიზკულტურის წრეების გამოკვლევა.

ნ. ფუ—ძე.

რა გამოირკვა ბიუროების არჩევნებზე

(ფოთი)

კომუჯრედების ბიუროს არჩევნები ქალაქად დამთავრდა.

22 აპრილს შესდგა უჯრედების მდივნების და მიმაგრებულ ამხ. თათბირი, რომელმაც ჯამი გაუკეთა ჩატარებულ მუშაობას.

ზოგიერთ უჯრედებში ამხ. საანგარიშო მოხსენების გარშემო იჩენდენ პასიურობას.

საუბნო უჯრედებში საერთოდ მუშაობა მოისუსტებდა. აღსანიშნავია აგრეთვე აქტივის უყოლობა. თავმჯდომარეობა სხდომებზე ხდებოდა მორიგეობით, რაც ზოგ გამოუცდელ ამხ. თავ-რეობის დროს ხელს უწყობდა კრების გაჭიანურებას და დაღლას. ასეთი წესი უარყოფილ იქნა.

ადგილი ჰქონდა აგრეთვე სამუშაოების არა რაციონ. განაწილებას და ზოგ - ამხანაგების გადატვირთვას. უჯრედებში შემჩნეული იყო დისციპლინის შესუსტება. არჩევნებზე ზოგან მცირე რიცხვის გამოცხადება და სხვა.

მაგრამ ამ ნაკლულოვანებებთან ერთად ადგილი აქვს, რა თქმა უნდა, მიღწევებსაც. მუშაობა უჯრედში მიმდინარეობდა გეგმიანად. კომისიებმა საორგ. აგიტ. ქალთა და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ახლად ჩამოყალიბებულნი იყვნენ — შესძლეს თავიანთი გეგმის შესრულება. არჩევნების დროს შინაპარტიული დემოკრატიზმი სავსებით დაცული იყო. არავითარი სიების წარდგენას ან კანდიდატის თავზე მოხვევას ადგილი არ ჰქონია. ახალ ბიუროებში არჩეულ იქნენ უფრო აქტიური და გამოცდილი ამხანაგები. დავალებები განაწილებულ იქნა ყველა წევრებზე, მდივნების წვრილმან და ტეხნიკ. სამუშაოებიდან განტვირთვის მიზნით დიდ უჯრედებში გამოყოფილ იქნენ ამრიცხველი სტატისტიკოსები, ხაზინადრები და სხვა.

დასასრულ უჯრედებზე მიმაგრებულ ამხ. კომიტეტის წევრთ — მიეცათ მითითება იმათი მუშაობის და ხელმძღვანელობის შესახებ.

ვლადი-მირ.

სუსტი უჯრედი

აღნიშნული უჯრედი აერთიანებს ექვს წევრს და ათ კანდიდატს. რამოდენიმე ხნის წინათ წევრთა რიცხვი მეტი იყო, მაგრამ კომუნისტები, როგორც ღარიბები, სამუშაოთ წასულან ქალაქში. აღნიშნული თემის მდგომარეობა ერთობ მძიმეა. ის დაშორებულია მაზრას და რაიონს. გარდა ამისა, საურმე გზები სრულებით უვარგისია. ცუდ ამინდში, რომელიც ხშირათ იცის აქ, თემში მისვლა რაშს არ შეუძლია.

დღიდან თავის დაარსებისა უჯრედს არავითარი გეგმა არ ქონია და არც დღეს აქვს ის; ცოცხალ კავშირზე და პარტიულ ხელმძღვანელობაზე უჯრედს წარმოდგენა არ აქვს. უჯრედში ერთხელაც არ მოსულა ინსტრუქტორი და, თუ მოვიდა, აქ მისი ნამუშევარი არ სჩანს, რაც დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს. თემში არის ერთი კოოპერატივი, ხონის „ეპო"-ს განყოფილება. წინათ, სოფელს გაუშენებია კოოპერატივისათვის ქვის შენობა, რომელიც დაკეტილია და მცხოვრებლები მოითხოვენ, რომ იქ იქნას გახსნილი განყოფილება, მაგრამ ჯერ არავითარი ზომები არ არის მიღებული.

უჯრედს ყავს ბიურო, მაგრამ მას ერთი სხდომაც არ მოუწვევია. არც არავის გახსენებია ბიუროს არსებობის შესახებ. თემში 1926 წ. გლეხკომს ყოლია 316 წევრი, წელს კი აღრიცხვაზე არის აყვანილი მხოლოდ 7 კაცი. ასე, რომ ეს დარგი არ მუშაობს და არც უჯრედი აქცევს ყურადღებას ამ გარემოებას. რემედასის და ავიაქიმის ორგანიზაციაზე უპარტიო გლეხობას წარმოდგენაც არ აქვს და არც პარტიის წევრები ირიცხებიან ამ ორგანიზაციების წევრებათ.

კომკავშირზე ხელმძღვანელობა სრულებით არ არის, თუმცა ახალგაზრდებთან სამუშაოთ გამოყოფილია ამხანაგი, მაგრამ მან არ იცის რა უნდა გააკეთოს. ასეთივე მდგომარეობაა ქალთა შორის მუშაობის დარგში. თემში არის ერთი პუნქტი, სადაც ორმოცამდე დელეგატი ქალი ხან-გამოშვებით იყრის თავს. დანარჩენები კრებას ვერ ესწრებიან უგზოობის და სიშორის გამო. უჯრედს ფრაქციის შექმნაზე საბჭოში არ უფიქრია და ბევრმა პარტ.-წევრმა არ იცის თუ რა არის ფრაქცია.

უჯრედს არც ერთი ღია სხდომა არ მოუწვევია. პოლიტიკური ცოდნა უჯრედში სუსტია. ამრიგათ უჯრედის მუშაობა სუსტია.

ხ. მ—ძე.

პარტორგანიზატორი და მისი მოვალეობანი სოფლად

სოფლად პარტხელმძღვანელების ერთ-ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს ორგანიზაციების მცირე რიცხვი.

მთელ რიგ თემებში ჩვენ შევხვდებით მარტო ერთ უჯრედს - თემუჯრედს, უკეთეს შემთხვევებში თემში გვაქვს 2 უჯრედი და ბოლოს პარტ. სათემო კომიტეტი—თემკომი. ასეთი მცირე რიცხოვნობის გამო უჯრედები ხშირად მოწყვეტილი არიან უპარტიო მასებისაგან, ისინი ვერ იცნობენ კარგათ უპარტიო აქტივს და ამიტომაც მათ საქმიანობაში ადგილი აქვს შეცდომებს.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას უჯრედები ზოგჯერ ანხორციელებენ ამ ორგანიზაციებზე ცალკე ამხანაგთა მიმაგრების საშუალებით. მაგრამ მიმაგრებულთა ინსტიტუტი საკმაოთ გაცვეთილი ფორმაა, მას აქვს უარყოფითი მხარეები. უპარტიო მასა მიმაგრებულებს ზოგჯერ უყურებს, როგორც „უცხოს" ან როგორც „დამბეზღებელს".

აუცილებელია, უნდა შეიცვალოს სასოფლო ორგანიზაციის მუშაობა ამ დარგში.

საჭიროა მიმაგრებულთა შემადგენლობიდან გამოვყოთ პარტორგები - სოფლის პარტორგანიზატორები, რომლებმაც უნდა იმუშაონ არა სპეციალურად, რომელიმე ორგანიზაციაში, მაგალითად რემედასში, სოფლის საბჭოში, გლეხკომში და სხვა, არამედ ისინი უნდა იყვნენ მთელი საზოგადოებრიობის ხელმძღვანელები და ორგანიზატორები.

პარტორგთა გამოყოფა უნდა გატარდეს მაგალითისათვის ასე: ისეთ სოფელში, სადაც არის 2 ან 3 პარტწევრი, ან რამოდენიმე კანდიდატი, ერთი პარტწევრთაგანი უნდა გამოიყოს სოფლის პარტორგანიზატორათ, თუ სოფელში მარტო ერთი კომუნისტია, უჯრედმა უნდა დააკისროს მას პარტორგის ფუნქციები. სოფლის პარტორგი მუშაობს მხოლოდ იმ სოფელში, სადაც თვითონ ცხოვრობს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში უჯრედს სპეციალური დადგენილებით შეუძლია დააკისროს მას ახლო სოფელშიაც მუშაობა.

პარტორგის მოვალეობები უნდა იყოს შემდეგი:—საქმიანი ახსნა-განმარტებით ივი უნდა დაეხმაროს სოფლის საბჭოს წინაშე დასმულ ამოცანების გარკვევის საქმეში, უნდა მიიღოს მონაწილეობა საბჭოსთან არსებულ კომისიების მუშაობაში, უნდა მუშაობდეს გლეხკომში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და ამ ორგანიზაციების საქმიანობაში უნდა აბამდეს უპარტიო გლეხთა, განსაკუთრებით ღარიბთა და მოჯამაგირეთა მასებს. პარტორგმა უნდა აწარმოოს კომკავშირელების, დელეგატ - ქალებისა და უპარტიო აქტივის აღრიცხვა, უნდა მოიწვიოს ისინი თათბირებზე, უნდა გააცნოს მათ საერთო ამოცანები და პარტიის დადგენილებები, ჩაატაროს კამპანიები, შეისწავლოს კომუნისტების, კომკავშირელების და უპარტიო გლეხების მუშაობა, გამოარკვიოს გლეხთა მოთხოვნილებები და განწყობილებები, განუმარტოს გლეხობას მისთვის საინტერესო საკითხები და სხვა.

ცხადია სოფლის პარტორგის მუშაობა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე წარმოება დაწესებულების პარტორგისა ქალაქში, ვინაიდან ქალაქის უჯრედს ჯერ ერთი ჰყავს პოლიტიკურად კარგათ მომზადებულ - განვითარებულ კომუნისტების მნიშვნელოვანი რიცხვი, ვიდრე სოფლის უჯრედს, და მეორეც, ქალაქის უჯრედებს უხდებათ მუშაობა ორგანიზაციულად გაცილებით უფრო დარაზმულ მასაში. სწორედ ამიტომაა აუცილებელი სოფლის პარტორგთა ინსტიტუტის შექმნა, ვინაიდან პარტორგთა სისტემატიური მუშაობა და მათი გადამზადება მოგვცემს საშუალებას ავსწიოთ სოფლის უჯრედთა წევრების პოლიტიკური დონე.

სოფლის პარტორგი მთელ თავის მუშაობას აწარმოებს სასოფლო უჯრედის ბიუროს ხელმძღვანელობით. უჯრედის ბიურო-კი რეგულიარულად უნდა ისმენდეს პარტორგის მოხსენებას, იწვევდეს პარტორგთა თათბირებს სხვადასხვა საკითხების გასარჩევად და უნდა აძლევდეს მათ შესაფერ ინსტრუქციებს.

ამ დარგში ერთგვარი გამოცდილება უკვე აქვს საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტს, რომელმაც რამოდენიმე სოფლებში ცდის სახით გამოჰყო პარტორგები. ამ ცდას დადებითი შედეგი მოჰყვა. ჩვენშიც აუცილებელია პარტორგების ინსტიტუტის გამოყოფა ცდის სახით მაინც ჩავატაროთ რამოდენიმე თემში.

ასეთი სისტემის შემოღება აუცილებლად გააუმჯობესებს უპარტიო აქტივთან მუშაობის საქმეს, ხელს შეუწყობს მოჯამაგირეებსა და ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის საუკეთესო ნაწილის ჩაბმას პარტიაში, შექმნის სოფლის უჯრედთა მეტ რაოდენობას, გააძლიერებს პარტ - ხელმძღვანელობას საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი და ბოლოს ხელს შეუწყობს სოფლად პარტ-აქტივის ზრდის საქმეს.

ი. ძაგანია

დღეობის მოყვარული კომკავშირელები

(ხოვლე, გორ. მაზრა)

ხოვლეში ახ. ლ. კ. კ. უჯრედი არსებობს 1924 წლიდან. დღემდის უჯრედის მუშაობა კარგად იყო დაყენებული: მაგრამ დღეს უჯრედი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, მის მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა პარტიულ ორგანიზაციებისაგან. კომკავშირის წევრები კრებებს არ ესწრებიან, არ არის პოლიტ-მეცადინეობა.

უმრავლესობა დადის ძველ ტრადიციულ ჩვეულებებში: როგორიც არის „ბერიკობა", „ჭონა". დღეობები". „სალოცავებში". და „ჭელებ-ბში".

ამას წინად აქაურმა უჯრედის წევრმა ნ. ბოჭიკაშვილმა, სახრით სცემაერთ პატარა გლეხის შვილს, რომელიც სიკვდილს ძლივს გადარჩა. მეორე დღესაც ის ვაჟბატონი საბჭოს წევრებს დაერია კრებაზე და კრება ჩაშალა.

საჭიროა გორის სამაზრო კომიტეტის ყურადღება.

სიმართლის შვილი.

სასოფლო-სამეურნეო მუშაობა დაიწყო

(სენაკის მ. ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია

დადგა გაზაფხული. კომკავშირელი გლეხები გადიან სამუშაოდ ყანებში. ზოგიერთი თემის ორგანიზაციებს აქვთ კოლექტიური ყანები. მაგ. ნოქალაქევში და ბეთლემში და სხვაგან.

ეს, რასაკვირველია, კარგია. მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება, რომ მოეწყობოდეს შაფათობები ღარიბი და წითელ არმიელების ოჯახების დასახმარებლად. შარშან ჩვენს მაზრაში არ ტარდებოდა „შაფათობები". წელს აუცილებლად უნდა იქნეს შემოღებული კოლექტიურ დახმარების ეს წესი.

სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ უპარტიო ახალგაზრდობასთან მუშაობას. რომ ისინი დავიახლოვოთ. უნდა გავაცხოველოთ ნებაყოფლობითი ორგანიზაციებში მუშაობაც. რაც ეხლა მოკოჭლებს.

ან. კბერცხალია.

ზეპირი და ბეჭდვითი აგიტაცია საცალო ფასების დაკლებისათვის

(საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 1927 წ. 28 აპრილის დადგენილება)

1. სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების დაკლების შესახებ მოცემულ დირექტივების ცხოვრებაში გატარებას კიდევ წინააღმდეგობას უწევს მთელი რიგი სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისა, ზოგიერთ შემთხვევაში მათი ცხოვრებაში გატარება მახინჯდება ბიუროკრატიული მიდგომით ცალკე მუშაკებისა და ორგანიზაციების მხრივ, რაც ძლიერ ასუსტებს კამპანიის პრაქტიკულ მიღწევებს.

ამავე დროს მასიური სააგიტაციო კამპანია ფასების დაკლებისათვის საკმაოდ ფართოდ ვერ არის განვითარებული, მას აქვს მთელი რიგი დიდი ნაკლულევანებებისა:

ა) კამპანიაში საკმაოდ ვერ არიან ჩაბმული მუშების და გლეხების ფართო მასები, და ამის გამო დღემდე მუშაობა ფასების დაკლებისათვის უმეტეს ადგილას მომწყვდეულია მხოლოდ მომწესრიგებელ და სავაჭრო ორგანოების ფარგლებში.

ბ) მასები სისტემატიურ კონტროლს ვერ უწევენ პარტიულ დირექტივების ცხოვრებაში გატარებას, აგრეთვე საკმაოდ ვერ არის განვითარებული მუშაობა მასებში ამ დირექტივების განმარტებისათვის: განსაკუთრებით სუსტია ეს მუშაობა სოფლად.

გ) ზეპირი და ბეჭდვითი აგიტაცია, როგორც ქალაქში, ისე სოფლად ხშირად კიდევ ძალიან ზოგად ხასიათს ატარებს და ვერ აძლევს უჯრედების, საქარხნო კომიტეტების, სადუქნო კომისიების და სხვ. მუშაკებს აუცილებელ პრაქტიკულ ცნობებს და მითითებებს ფასების რეალურად დაკლების ჩასატარებლად.

ამიტომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა აუცილებლად გაძლიერებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებულ იქნენ ცეკას თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებები ფასების დაკლების შესახებ და ცეკას საორგანიზაციო ბიუროს დადგენილებები ამ კამპანიაში მასების ჩაბმის შესახებ, უნდა განმარტონ ისინი და ანგარიშში ჩააბარონ ფართო მასებს მათი გატარების შედეგების შესახებ.

2. აგიტაციაში საცალო ფასების დაკლებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ კონკრეტიულ ამოცანების პოპულიარიზაციას და განხორციელებას:

ა) 1 ივნისისათვის საცალო ფასები სამრეწველო საქონელზე დაკლებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 10 პროცენტისა 1927 წლის 1 იანვრის დონესთან შედარებით;

ბ) გაიაფებული, გამარტივებული და გაუმჯობესებული უნდა იქნეს სავაჭრო აპარატი;

გ) კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა დაუფუნებული იქნეს მუშათა და გლეხთა ფართო მასების ნამდვილი კონტროლის ქვეშ. პირველყოვლისა სადუქნო კომისიების, სავაჭრო - კოოპერატიულ სექციების და საქალაქო და სასოფლო საბჭოების კომისიების საშუალებით, რომლებიც მასების საზოგადოებრივი კონტროლის ორგანოებს წარმოადგენენ.

ამასთან ერთად საგიტაციო მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს ბრძოლას ფასების დაკლების შესახებ არსებულ დირექტივების გადამახინჯებათა წინააღმდეგ, რასაც ადგილი აქვს როგორც მრეწველობის, ისე სავაჭრო აპარატის მხრივ (ფასების დაკლება ისეთ საქონელზე, რომელიც ნაკლებად გადის და მაღალი ფასების დატოვება მასიურ მოხმარების საქონელზე; საქონლის ხარისხის გაუარესება და დაბალი ხარისხის საქონლის გაყიდვა მაღალი ხარისხის საქონლის ფასად, დანართი ფასების ერთიდან მეორე საქონელზე გადატანა, ფასების მომატება დაუხარისხებელ საქონელზე, ხელის აღება ისეთ საქონლით ვაჭრობაზე, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა და რომლის ფასები დაკლებულია და სხვ.).

პარტორგანიზაციებმა მასიური საგიტაციო-განმარტებითი მუშაობით უნდა მოახდინონ საცალო ფასების დაკლების ამოცანების კონკრეტიზაცია ამა თუ იმ ქალაქის, სოფლის, რაიონის, წარმოების პირობების და მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მიხედვით (მუშები, გლეხები, დიასახლისები, ახალგაზრდობა, ხელოსნები), მათ უნდა განმარტონ ფასების დაკლების ყველა საკითხები ისეთ ფორმებში, რომლებიც გასაგები არის მუშების და გლეხების ფართო მასებისათვის.

3. პარტიის თვითეული წევრი თავისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით უნდა მიდიოდეს წინ ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში, ის უნდა წარმოადგენდეს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაზე მასიური კონტროლის ორგანიზატორს.

ამ მეტად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულებისათვის პარტიის წევრების მოსამზადებლად პარტიულ კომიტეტებს ევალებათ:

ა) რეგულიარულად მიაწოდონ პარტიულ მუშაკებს ფაქტიური მასალა მუშაობის მდგომარეობის და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც აუცილებელია ფასების დაკლებისა და სავაჭრო აპარატის რაციონალიზაციისათვის, პირველ ყოვლისა თავის რაიონში, ქალაქში, სოფელში;

ბ) უნდა უზრუნველყონ ამ საკითხების დამუშავება პროპაგანდისტების და სადელეგატო კრებების ხელმძღვანელთა სემინარებში, აგიტატორების წრეებში, კოოპერატიულ წრეებში და სხვ.

გ) პარტიულ კრებებზე უნდა განიხილონ სავაჭრო, კოოპერატიულ და მომწესრიგებელ ორგანოების ანგარიშები მათი მუშაობის შესახებ ფასების დაკლების დარგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კონკრეტიულ ამოცანების და იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხილვას, რომლებიც ტარდება თვითეულ ცალკე რაიონში, წარმოებაში, კოოპერატივში, აგრეთვე ბრძოლას პარტიულ დირექტივების დარღვევის და გადამახინჯების წინააღმდეგ ფასების პოლიტიკის დარგში.

4. პრესა განუწყვეტლივ ინფორმაციებს უნდა აწვდიდეს მშრომელთა მასებს კამპანიის მსვლელობის, მისი კონკრეტიული მიღწევების და ნაკლულოვანებების შესახებ, ის უნდა ამოწმებდეს მოთავსებულ ცნობების სისწორეს და სისტემატიურად უნდა აყენებდეს განსახილველად კამპანიის ცალკე უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ ამოცანებს (საქონლის გამტარებელ ქსელის სწორად მოწყობა და გამარტივება, ბრძოლა მაღალ სავაჭრო ხარჯების წინააღმდეგ, საქონლის ხარისხის გაუმჯობესება, მყიდველის დაკმაყოფილების მოწესრიგება, სადუქნო კომისიების მუშაობის გაუმჯობესება და სხვ.).

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები არა თუ კეთილსინდისიერ ინფორმაციას უნდა იძლეოდენ ფასების დაკლების შედეგების (მიღწევების და ნაკლულოვანებების) შესახებ, არამედ აგრეთვე კონკრეტიულად უნდა განმარტავდენ, რამდენად რა საშუალებით და ღონისძიებებით მიღწეულია ესა თუ ის შედეგი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ერთი ორგანიზაციის ძვირფასი გამოცდილება შეითვისოს მეორემ.

სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ ყოველგვარ გადამახინჯებათა წინააღმდეგ ფასების დაკლების საქმეში, გამოამჟღავნონ წინააღმდეგობა კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკების მხრივ, დაუზოგავად ამხილონ ფასების დაკლების საქმისადმი ფორმალურ ბიუროკრატიული მიდგომის შემთხვევები და არ უნდა დაუშვან კამპანიის შედეგების გადაჭარბებულად შეფასება.

მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი პრესის საშუალებით ცალკე სავაჭრო ორგანიზაციებს შორის შეჯიბრების მოწყობა (კოოპერატივების და სახელმწიფო ორგანოების დათვალიერება და კონკურსები), რომლის დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პარტიული ხელმძღვანელობა, წინასწარი სწორი მომზადება და საზოგადოებრივი შემოწმება.

საერთო პრესაში და კედლის გაზეთებში, მათ შორის ქალთა მასიურ ჟურნალებშიაც, გაძლიერებით უნდა შუქდებოდეს პროფკავშირების, სარევიზიო და სადუქნო კომისიების, კოოპერაციის რწმუნებულების და საბჭოების სავაჭრო-კოოპერატიულ სექციების მუშაობა მათ პასიურობასთან ბრძოლის თვალსაზრისით, სადუქნო კომიტეტების სამრეწველო ორგანოების დამატებად გადაქცევის და სხვ. თვალსაზრისით. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის შემოწმებას, თუ რამდენად ასრულებენ კოოპერატივთა გამგეობები ამ ორგანიზაციების დადგენილებებს.

იმ მიზნით, რომ მუშკორებმა და გლეხკორებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ კამპანიაში, ადგილობრივმა გაზეთებმა მათ შორის სპეციალური მუშაობა უნდა გაშალონ წრეების და თათბირების მოწყობის საშუალებით, აგრეთვე სისტემატიურად ინსტრუქციები უნდა მიაწოდონ მათ კამპანიის მსვლელობის და ამოცანების საკითხების შესახებ.

5. ფართოდ უნდა განემარტოს მოსახლეობას ის საშუალებები, რომლითაც შეიძლება ზეგავლენის მხდენა სავაჭრო აპარატზე. უკანასკნელის მიერ ფასების პოლიტიკის დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მასების მიერ მათი საკუთარი მოვალეობების შესრულება ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში (სადუქნო კომისიის მორიგ წევრისათვის მიმართვა, საჩივართა წიგნების გამოყენება, დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლის წესით და სხვ.).

პრესის, კედლის გაზეთების, კრებების და ქოხ-სამკითხველოების საშუალებით უნდა ქვეყნდებოდეს მომხმარებელთა საჩივრები და ამ საჩივრების გამო მიღებული ზომები, [illegible]ური გამოკვლევის შედეგები, სასამართლო და ეკონომიური ხასიათის რეპრესიები იმ პირების და დაწესებულებების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ ფასების პოლიტიკას.

6. გატარებული უნდა იქნეს განმარტებითი მუშაობა ფასების დაკლებისათვის მუშა და გლეხ ქალების სადელეგატო კრებების საშუალებით, აგრეთვე ქალთა შორის მასიური მუშაობის ყველა ფორმის საშუალებით (მუშა ქალების, მუშების ცოლების და დიასახლისების კრებები, ქალთა კლუბები და დუქნები აღმოსავლეთში და სხვ.). აქ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში ქალების პრაქტიკული მონაწილეობის ფორმების განმარტებას.

7. რადგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის ცნობების მიწოდებას მასიური მოხმარების საქონელზე არსებულ უმაღლეს და საეტიკეტო ფასების შესახებ, ამისათვის საჭიროა:

ა) ყველა სავაჭრო წარმოებებში, ცეხებში, კლუბებში, ქოხ - სამკითხველოებში, ბაზრებში, გამოკიდებული უნდა იქნეს ფასების პრეისკურანტები, რომელთაც ისეთი გარეგნული ფორმა უნდა ექნეს, რომ მცირე წერა - კითხვის მცოდნესაც შეეძლოს ფასების შემოწმება;

ბ) გაზეთებმა უნდა შემოიღონ მასიურ მოხმარების საქონლის ფასების სისტემატიური გამოქვეყნება, ისინი უნდა აწვდიდენ მკითხველებს ცნობებს ყოველგვარ ცვლილებების შესახებ და უნდა აქვეყნებდენ საბიუჯეტო შენაკრებების ღირებულების მოძრაობას.

8. სავაჭრო და კოოპერატიული დაწესებულებების პარტუჯრედებმა მახლობელ პერიოდში მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ცეკას დირექტივების განხორციელებას ფასების დაკლების შესახებ, სავაჭრო აპარატის გაიაფების და რაციონალიზაციას, ბრძოლას პარტიულ დირექტივების ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ.

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კავშირმა გაძლიერებული ყურადღება უნდა მიაქციონ დაბალი მუშაკთა საწარმოო აღზრდას ეკონომიურ თათბირების, სპეციალურ კრებების და სხვ. საშუალებით, და თავისი კულტმუშაობა უნდა შეუფარდონ ამ ამოცანის გადაჭრას. საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის ცეკას ორგანომ „ნაშა გაზეტა"-მ ხანგრძლივი კამპანია უნდა ჩაატაროს სავაჭრო დარგის მოსამსახურეთა მონაწილეობისთვის ფასების დაკლებაში და სავაჭრო აპარატის რაციონალიზაციაში, რათა მათ წამოაყენონ პრაქტიკული წინადადებები საცალო ფასების დაკლების გასატარებლად; ეს წინადადებები კი სათანადოთ გამოყენებული უნდა იქნეს სავაჭრო აპარატის პრაქტიკულ მუშაობაში.

9. კამპანიას ძალიან სუსტ დახმარებას უწევენ პოლიტგანმანათლებელი დაწესებულებები (კლუბები, წითელი კუთხეები, ქოხ - სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, რადიო, კინო), რის გამო მათ წინადადება ეძლევათ თავიანთ ყოველდღიური მუშაობის პროცესში აწარმოონ აგიტაცია ფასების დაკლებისათვის, გააშუქონ ადგილობრივ სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობა, კერძოდ, განსაკუთრებით სოფლად, მათ უნდა მოაწყონ კითხვა-პასუხის საღამოები, აგიტ - სასამართლოები, ცოცხალი გაზეთები და სხვ.

ფასების დაკლებისათვის

რომელი საქონელი—რამდენად გაიაფდა

თბილისი, როგორც ამიერ-კავკასიის ცენტრი და საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქი, ფასების დაკლებაში, რასაკვირველია, უნდა იქნეს ტონის მიმცემი და პირველი მაგალითის მაჩვენებელი.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ თუ როგორი იყო ფასები პირველი აპრილისათვის და რამდენი დაიკლეს მათ პირველი მაისისათვის.

ყუბანის პურის ფქვილი პირველ აპრილამდე კოოპერაციაში არ იყო, ხოლო სახელმწიფო ვაჭრობაში ღირდა ფუთი 3 მან. 77 კაპ. და კერძოში კი 3 მან. 80 კაპ.

სახელმწიფო ვაჭრობაში და კერძო ბაზარზე ფასი პირველი მაისისათვის დარჩა უცვლელი. პურის ფქვილი „კრუპჩატკა" აპრილისათვის სახელმწიფოში იყო ფუთი 4—90, კოოპერაციაში 4—90 და კერძოში—5—10. პირველი მაისისათვის ფასი დარჩა უცვლელი, თუმცა პურის შემოზიდვა საგრძნობლად შემცირდა.

ამას გარდა ადგილობრივი ხორბალიც აღარ შემოდის, ვინაიდან სწორედ ეხლა არის სოფლათ თესვის კამპანია. ამ მდგომარეობას ახასიათებს წისქვილების მოქმედების შემცირებაც.

„ხლებოპროდუქტი"-ს ლაბაზებში უმაღლესი ხარისხის თეთრი ფქვილი თითქმის აღარ არის.

ყველა ამას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს ფქვილის სტაბილურ ფასებისათვის იმ მდგომარეობასაც, რომ ბაქოში ძალიან აიწია ქერის ფასმა და ის ქერი, რომელიც გორის მაზრიდან თბილისში შემოდიოდა, გადამყიდველებმა ჩაიგდეს ხელში და ბაქოში ეზიდებიან.

სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის, რომ ქერის ფასმა დაკლების მაგივრად აიწია 190 კაპეიკამდე. კერძო ბაზარზე ქერი პირველ აპრილისათვის ღირდა 180 კაპეიკი. სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობაში ქერი დღემდე არ იყო.

„ხლებოპროდუქტი" ახლო ხანებში ელის შვრიასა და ქერს ჩრდილოეთ კავკასიიდან, რაც შეამცირებს ბაზრის კრიზისს.

გამომცხვარი პურის ფასი იგივე დარჩა, რაც იყო, პირველ აპრილს ე. ი. კოოპერატიულ ვაჭრობაში კილო 15 კაპეიკი და კერძოშიც 15 კაპეიკი.

ბრინჯი (მარკის „რ") პირველ აპრილისათვის ღირდა კოოპერაციაში და სახელმწიფოში 36 კაპ. კილო, ხოლო კერძოში 50 კაპ.

პირველ მაისისათვის კერძო ბაზარზე დარჩა ისევე 50 კაპ., ხოლო სახელმწიფოში დაიკლო და ღირს 33 კაპ.

ერბოს ფასმა 15 აპრილთან შედარებით დაიწია. ბაზრის საერთო დახასიათებიდან ირკვევა, რომ არის ტენდენცია შემდეგი დაკლებისაც, ვინაიდან ბაზარზე შემოვიდა დიდძალი მდარე ხარისხის საექსპორტო კარაქი, რომლიდანაც ერბოს აკეთებენ.

კვერცხმა დაიკლო (10 პროცენტი) როგორც კოოპერატიულში, ისე კერძო ბაზარზე.

მზესუმზირის ზეთის ნაკლულოვანება, ისევე გრძელდება და სწორედ ამას უნდა მიეწეროს, რომ მისი ფასი კოოპერაციაში, როგორც პირველ აპრილისათვის, ისე პირველ მაისისათვის კილო 57 კაპეიკი არის, მაგრამ კერძო ბაზარზე 75 კაპეიკიდან მოიმატა მთელი (100 პროცენტი) და დღეს ღირს 1 მან. და 50 კაპ.

ხორცეულის კრიზისი, რომელიც იყო 15 აპრილისათვის, ეხლა შეიცვალა სრული სიწყნარით. პირველ ხარისხის ძროხის ხორცმა 15 აპრილთან შედარებით დაიკლო, პირველ მაისს რჩება აპრილის ფასები. ცხვრის ხორცმა აიწია, მაგრამ მოსალოდნელი არის დიდი პარტიის მორეკა ოსმალეთიდან და მაშინ საგრძნობლათ გაიაფდება. აგრეთვე მოსალოდნელია სხვილრქიანის საქონლის მორეკა იქიდანვე.

თევზის ბაზარზე იმატა ახალი თევზის შემოზიდვამ. განსაკუთრებით ზუთხმა, რომელზედაც ფასმა დაიწია კოოპერაციაში კილოზე ათი კაპიკი, ხოლო კერძო ბაზარზე კილოზე 5 კაპიკი.

შემოდგომის გარეცხილმა მატყლმა დაიკლო (20 პროცენტი). აპრილში ღირდა 1 მან. 25 კაპ მაისში ღირს 1 მანეთი, ვინაიდან ამჟამად დაიწყო გაზაფხულის მოსავლის მატყლის შემოზიდვა.

ბოსტნეულში კოოპერაციაში კომბოსტოს გარდა დარჩა პირველი აპრილის ფასები. კომბოსტომ დაიკლო (15,7 პროცენტი), ხოლო კერძო ბაზარზე მოიმატა (31 პროცენტი) ვინაიდან ძალიან ძნელად იშოვება.

ჩაის და ყავის ფასები დარჩა უცვლელი.

მარილმა დაიკლო კოოპერაციაში (30 პროცენტი), ხოლო კერძო სავაჭროებში დარჩა უცვლელი.

დიდი მოთხოვნილება არის საპონის მარკა „მამალზე" და „ტოლეზე", რომლების მოწოდებაც შემცირდა, ვინაიდან „საპონზეთის" ტრესტმა შეამცირა დამზადება განსაკუთრებით „მამლის", ქონის უქონლობის გამო.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო კომისარიატის დირექტივების თანახმად ქაღალდის ტრესტში დაკლო ფასები 28 აპრილიდან.

კერძო ბაზარზე და კოოპერაციაში ქაღალდის ფასები დარჩა უცვლელი.

შაქრის ფასი დარჩა უცვლელი როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობაში.

კერძო მანუფაქტურის ბაზარზე ვაჭრობა უსიცოცხლოდ მიდის, ვინაიდან კერძო ვაჭრები სახელმწიფო ვაჭრობის მაგარ შემოტევას განიცდიან.

ჩითი 30;30 პროც. კჟრ. და 32;76 კჟრ. უცვლელად იყიდება კოოპერაციაში და სახელმწიფო ვაჭრობაში ხოლო კერძო ბაზარზე პირველმა მოიმატა (4,7 პროცენტი), მეორემ მოიმატა (1;9 პროცენტი). ჩითის ფასების უცვლელობა და კერძო ბაზარზე კი აწევა გამოწვეულია მისი განსაზღვრული მიწოდებით.

მიტკალი პირველი მაისისათვის სულ არ იშოვება.

დიდი მოთხოვნილება არის ნარმაზე, რომელმაც კოოპერაციაში დაიკლო (1,9 პროცენტი), ხოლო კერძო ბაზარზე მოიმატა (12 პროცენტი).

ფეხსაცმელის ფასები უცვლელი რჩება.

ლითონის ნაწარმოების საქონელი რჩება უცვლელად.

შენების სეზონის დაწყების გამო, ლითონის ბაზარს ეტყობა გამოცოცხლება. დიდი მოთხოვნილება არის ლურსმანის და ხარისხიულ რკინეულზე, რაც სახელმწიფო ვაჭრობის მიერ კმაყოფილდება. კერძო ბაზარი მოდუნებულია, რადგანაც მათი ფასები გაცილებით მეტი არის სახელმწიფო ფასებზე.

ჩვენი აზრით სათანადო ორგანიზაციის ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული მანუფაქტურის მიწოდებაზე და განსაკუთრებით კი ნარმაზე და საერთოდ თეთრეულზე. აგრეთვე საჭიროა პურის, ქერის, შვრიის და მზესუმზირის ზეთის შემოტანის საჩქაროთ მოწესრიგება.

დასასრულ ჩვენი აზრით საინტერესო იქნება იმისი აღნიშვნა, თუ რამდენი პროცენტი დაიკლო კოოპერაციაში სხვადასხვა საქონელმა პირველ იანვრიდან, პირველ მაისამდე.

ავლაპარაკოთ ციფრები:

დაიკლეს პირველ იანვრიდან პირველ მაისამდე: ერბომ—4 პროცენტი, კვერცხმა—19;7 პროცენტი; მზესუმზირას ზეთმა—16,2 პროცენტი; თევზეულმა—16 პროცენტი, ჩაიმ—4,5 პროცენტი, მარილმა—30 პროცენტი; ჩითმა—4,7 პროცენტი; ნარმამ—8;9 პროცენტი; ფეხსაცმელმა—10,2 პროცენტი; შაქარმა—7;7 პროცენტი; ფხვნილმა შაქარმა 3;2 პროცენტი.

შალვა გომართელი.

რა გაკეთდა—რა უნდა გაკეთდეს

(გამოჩინებულის თემი, ქუთ. მაზ.).

ადგილობრივმა „ეპომ" მუშაობა ფასების დაკლების შესახებ დაიწყო მარტის პირველ რიცხვებიდან. თანახმად ცეკავშირის ცირკულიარისა, აღრიცხულ იქნა ყველა ის ფართლეულობა და სხვა საქონელი, რომელიც „ეპო"-ს მოეპოვებოდა მაღაზიებში.

ფასებს აკლებდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრი განსაკუთრებული აქტით. ასე რომ, აპრილის პირველ რიცხვებისათვის „ეპომ" დაუკლო ფასები საქონელს სულ 2.000 მანეთამდე, რაც საშუალოდ მთელ საქონლის 8 პროცენტს უდრის.

ამან დიდი ინტერესი გამოიწვია გლეხებში, რომლებიც უხვად მიაწყდენ კოოპერატივს. „ეპო"-ს გამგეობამ ყველა საქონლის სხა ძველი და ახალი ფასებით თვალსაჩინო ალაგას გამოფინა. ამას გარდა, გამგეობის უკანასკნელმა კრებამ დაადგინა დასდოს ხელშეკრულება ცეკავშირთან, რათა ყოველგვარი საქონელი იქნას შეძენილი ცეკავშირის საშუალებით, რომ ამით სამივლინებო ხარჯები შემცირდეს. გამგეობის წევრთა დღიური ამდენხანს თუ იყო 4 მანეთი, ეხლა 3 მანეთი იქნება.

მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება. როგორც ირკვევა, ცეკავშირი ვერ აწვდის თავის დროზე „ეპო"-ს დაკვეთილ საქონელს. ხან საქონელი მოდის (თუმცა დაგვიანებით), მაგრამ არ სჩანს ანგარიში.

ხან ანგარიში ასწრებს და საქონელს აგვიანდება რამოდენიმე დღე. ცეკავშირმა სათანადოთ უნდა მოაწესრიგოს იმ კოოპერატივების საქონლით მომარაგების საქმე, რომლებთანაც ხელშეკრულება აქვს მას დადებული. „ეპო"-ს განსაკუთრებით ემჩნევა ფართლის ნაკლებობა. უჯრედის ღია კრებაზე გამგეობამ გააკეთა მოხსენება ფასების დაკლების შესახებ.

ხ. კ—ლი.

სახალხო მეურნეობა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის კონიუნქტურული მიმოხილვა თებერვლის განმავლობაში. მეურნეობის აღდგენის მიზნით, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

1. ვინაიდან მრეწველობის ზოგიერთი დარგების წლიური საწარმოო გეგმის შესრულება დაუკმაყოფილებლად მიმდინარეობს, წინადადება მიეცეს ს. მ. უ. ს. შეისწავლოს ეს საკითხი და სათანადო ღონისძიებანი წარმოუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

2. ტყავის ტრესტის პროდუქციის რეალიზაციის შემცირებასთან დაკავშირებით, რომელსაც ტრესტი შემოტანილი ნაწარმოების მეტოქეობით ხსნის, წინადადება მიეცეს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს შეისწავლოს ტყავეულობის გეგმიანი შემოტანის საკითხი ს. მ. უ. ს. ერთად და შესაფერისი მოხსენება წარმოუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს ორი კვირისა.

3. რათა ვაჭრობის ნორმალური მსვლელობა და სამრეწველო საგნებით წესიერი მომარაგება არ შეფერხდეს ზოგიერთი სავაჭრო წამოწყებათა წარმომადგენლობის განზრახულ გაუქმებასთან დაკავშირებით, წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციას შეისწავლოს ეს საკითხი დაინტერესებულ უწყებებთან და შესაფერისი მოხსენება წარმოუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს ორი კვირისა.

4. ვინაიდან მთელ რიგ უარყოფით მოვლენათ კვლავ აქვს ადგილი ჩვენს მეურნეობაში, რაც წინა თვეებში იყო აღნიშნული და რომელთა შესწავლა და შესაფერისი ღონისძიებათა გატარება დავალებული ჰქონდა სათანადო უწყებათ, განმეორებით მიეცეთ მათ წინადადება ამ ღონისძიებათა სასწრაფო ჩატარებისათვის და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს ორი კვირისა. ასეთ მოვლენებათ უნდა ჩაითვალოს: სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დამზადების მოდუნებული მსვლელობა და დამზადების გეგმების არა დამაკმაყოფილებელი შესრულება. თამბაქოს ნაწარმოების რეალიზაციის ახალი შემცირება, ზოგიერთი სამრეწველო საგნების გეგმიანი შემოტანის მნიშვნელოვნად დაუკმაყოფილებელი შესრულება და ცალკე რესპუბლიკების მიხედვით საგნების უთანასწორო განაწილება, ზოგიერთა სამრეწველო საგნების ნაკლებობა და მძიმე პირობები სავაჭრო კრედიტისა.

მანუფაქტურა

შემოტანის გეგმა მესამე კვარტალისათვის

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის ცნობით — გამომუშავებულ გეგმის თანახმად მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შემოტანილი იქნება ამიერ-კავკასიაში 250 ვაგონი ბამბის ქსოვილი, აქედან 154 ვაგონი გენერალურ ხელშეკრულებათა ძალით მიეცემათ კოოპერატ. ორგანიზაციებს, ხოლო დანარჩენი 96 ვაგონი გაუნაწილდებათ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს, ნაწილს კი უშუალოდ მიიღებს სრ. საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ადგილობრივი განყოფილებები.

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმით შემოტანილი მანუფაქტურა რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად იქნება განაწილებული: აზერბეიჯანი მიიღებს—45,40 პროცენტს, საქართველო—41,04 პროცენტს და სომხეთი—13,55 პროცენტს.

154 ვაგონ მანუფაქტურიდან ცენტრ. მუშ. კოოპ. სექცია ამიერ-კავკასიის საქალაქო კოოპ. სექციისათვის მიიღებს—100 ვაგონს, სატრანსპორტო სექცია სატრანსპორტო კოოპერაციისათვის — 8 ვაგონს და ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი 48 ვაგონს. მანუფაქტურის განაწილებას პატარა ქალაქებს შორის მოახდენს ა.-კ. კოოპერატივთა კავშირი —მუშ. კოოპერ. ცენტრალურ სექციასთან შეთანხმებით.

ღვინო და სპირტი

თბილისის საქონლის ბირჟის ნედლეულთა სექციის უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ დაინტერესებულ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები, განხილულ იქნა საკითხი ღვინისა და სპირტის ბაზრის მდგომარეობის შესახებ უკანასკნელ ხანებში.

ამ წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანებში ღვინისა და სპირტის ბაზრის მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუარესდა, რაც გამოიხატა ამ პროდუქტებზე ფასების საგრძნობლად შემცირებაში. ამჟამად გრადუსი სპირტის ფასი შემცირებულია 18-19 კაპეიკამდე. და ვედრო ღვინისა—3 მანეთამდე.

ამის მიზეზი უმთავრესად მდგომარეობს საკავშირო ბაზრებზე ჩვენს ღვინოებზე მოთხოვნილების შემცირებაში, ვინაიდან შარშან კარგი მოსავალი იყო ღვინისა ყირიმში და თურქესტანში.

ასეთი მდგომარეობის გამო, ღვინის დამამზადებელ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებმა გასულ პერიოდში თავისი გეგმა შეასრულეს მხოლოდ 25 პროცენტით.

ძალიან სუსტად სწარმოებდა აგრეთვე ღვინოების შესყიდვა კერძო პირების მიერ.

ყოველივე ამის გამო, ამჟამად გაუსაღებელია ერთი მილიონ ვედრომდე ღვინო.

სექციამ საჭიროდ სცნო ღვინის დამამზადებელ ორგანიზაციებისათვის კრედიტების მიწოდება დარჩენილ ღვინოების შესასყიდათ.

სხდომაზე ყურადღება მიექცა აგრეთვე იმას, რომ დამამზადებლების შორის ადგილი ჰქონდა შეუთანხმებლობას და თავის მიერ დაწესებულ ფასების დარღვევას.

„ხამხედვაჭრობა"-ში

„სახმედვაჭრობის" ლაბორატორიებში დამზადებულ ნაწარმოებზე მოხდა ფასების შემდეგი დაკლება:

გალენის პრეპარატებზე, პატენტურ საშუალებებზე საშუალოდ 30 პროცენტით, სხვადასხვა კანში შესასხმელ აპარატებზე საშუალოდ 30 პროცენტით, საოჯახო, საპარფიუმერიო საგნებზე და ტუალეტების საპნებზე—15 პროცენტით.

ფასების დამკლებ კომისიას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა გარედან შემოტანილ მედიკამენტებზე ფასების დასაკლებად და ეს მუშაობა მოკლე ხანში იქნება დასრულებული.

წერილებიდან

პოლიტგანათლების ორგანოები ფასების დაკლების კამპანიაში.

როგორც პარტიული, ისე ხელისუფლების ორგანოები, აღნიშნავენ მასიურ საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის სისუსტეს ფასების დაკლების დარგში. ამ სისუსტის ერთ ნიმუშს წარმოადგენს ჩვენი პოლიტგანმანათლებელი დაწესებულების თითქმის სრული უმოქმედობა ფასების დაკლების კამპანიის ჩატარების მხრივ.

კლუბები, წითელი კუთხეები, ქოხ-სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და რადიო ჯერ კიდევ არ ღებულობენ ან ვერ ღებულობენ შესაფერ მონაწილეობას ფასების დაკლების კამპანიაში. ამავე დროს პოლიტგანათლების დაწესებულებას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია კამპანიისათვის.

კლუბებში იშვიათად დასმულა მოხსენება მიმდინარე კამპანიის შესახებ, არ შექმნილა წრეები და სემინარიები ფასების დაკლების საკითხების შესასწავლად და დასამუშავებლად. კოოპერატივის და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების საანგარიშო მოხსენებები ფასების დაკლების შესახებ იშვიათად თუ სადმე დასმულა ჩვენს კლუბებში.

როგორც უკვე ვსთქვით, არც ქოხ-სამკითხველოები არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას მიმდინარე კამპანიის ჩატარებაში. სამკითხველოს ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლია. გაზეთების ხმამაღალი კითხვა, ადგილობრივ კოოპერატივის მიღწევების ილიუსტრაცია ფასების დაკლების დარგში და სხვა. აი, სად უნდა იქნას მიმართული სამკითხველოს მუშაობა სოფლად ამ კამპანიაში.

რაც შეეხება რადიოს, აგიტაცია-პროპაგანდის ამ უძლიერეს იარაღს, ის სრულიად გამოუყენებელია ჩვენ მიერ ფასების დაკლების კამპანიაში.

ყველა ამ ნაკლულევანებებს დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. საჭიროა პოლიტგანათლების თვითეულ ორგანომ ფასების დაკლების საკითხი თავიანთ ყოველდღიურ მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანათ დაისახონ. უამისოთ ჩვენ ვერ დავაყენებთ ფასების დაკლების ზეპირ და წერილობით პროპაგანდას სათანადო სიმაღლეზე, რითაც მეტად შევაფერხებთ კამპანიის წარმატებით მსვლელობას.

მ. კ—ი.

კოოპერაცია უკლებს—კერძოები უმატებენ.

(ხართიშალის თემი, თბილ. მაზრა).

აქ პირველ მარტიდან დაიწყო ფასების დაკლების კამპანია. ფასების დაკლება მხოლოდ კოოპერატივებშია გატარებული. მრავალ საქონელზე ფასები დაკლებული იქნა 8 პროცენტით, მაგრამ სულ ერთი-მეორეზე ფასები დაკლებულია ყველა საქონელზე 5 პროცენტით. ეს მხოლოდ კოოპრატივებში, რაც შეეხება კერძო ვაჭრებს, ან არტელებს, მათ ფასების დაკლება არ შეხებია. პირიქით, მათ ფასები კიდევაც აუწიეს.

მაგალითად, ხორცს გირვანქას მოუმატეს 5 კაპეიკი, მოუმატეს ფასები აგრეთვე სხვა საქონელსაც.

პარტკორი.

ჭიათურის მაღაროებში

დიდი მექანიკური სახელოსნოს აგება

კონცესიონერებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად ამ მოკლე ხანში დამთავრდება დიდი მექანიკური სახელოსნოს ასაგებად წარმოებული მუშაობა. მექანიკური სახელოსნო აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევის მიხედვით. სახელოსნო იმუშავებს ყველა მაღაროების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. სახელოსნოს მექანიზაცია მოხდება ელექტრო-ენერგიის საშუალებით.

კონცესიონერებმა საზღვარგარეთიდან მიიღეს ექსკავატორები, რომელნიც უკვე შეუდგენ მუშაობას. ორი წუთის განმავლობაში მანქანები შავი-ქვით ავსებენ ვაგონს, რომელიც 800 ფუთს იტევს.

ამ მოკლე ხანში კონცესიონერები დაამთავრებენ აგრეთვე მუშათა სახლის აგებას სოფ. პერევისის მაღაროების ახლო. სახლთან ეწყობა აბანო, სამრეცხველო, საშრობი განყოფილება და სხვა. სახლი დაიტევს 150 მუშას.

წითელ ჯარში

1904 წელში დაბადებულთა სამოსწავლო შეკრება

1904 წელში დაბადებული ახალგაზრდები, რომელნიც შემოდგომაზე გაწვევის დროს გადარიცხულ იქნენ ტერიტორიალურ ნაწილებში გაიწვევიან 18 მაისს სამოსწავლო შეკრებაზე სამი თვის ვადით.

კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ ასე განმარტავს მათი სამსახურის მოხდის წესს: მუშურ-გლეხური წითელი არმიის ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებადი შემადგენლობა იხდის ნამდვილ სამხედრო სამსახურს პირველი წლის განმავლობაში სამთვიან სწავლების სახით, დანარჩენი ცხრა თვე ამ კატეგორიის სამხედრო მოსამსახურე იმყოფება შვებულებაში.

შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში ამ კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეები მსროლელ და საარტილერიო ტერიტორიალურ ნაწილებში და აგრეთვე დივიზიების დაწესებულებებში გაიწვევიან სამოსწავლო შეკრებაზე მთელი წლების განმავლობაში ვადით არა უმეტეს ხუთი თვისა, ხოლო თვითეული წლის განმავლობაში არა უმეტეს ორი თვისა.

ამავე კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეები ცხენოსან ნაწილებში გაიწვევიან სამოსწავლო შეკრებაზე მთელი წლების განმავლობაში არა უმეტეს რვა თვისა, თვითეულ წელში კი არა უმეტეს ორი თვისა.

სპეციალურ ნაწილებში სამსახური განისაზღვრება ექვსი თვით, წელიწადში კი—ორი თვით.

გარდა ამისა, სამოსწავლო შეკრებიდან შეკრებამდე ყოველგვარი იარაღის ცვალებადი შემადგენლობა გაიწვევიან ყოველწლიურად მოკლევადიან შეკრებაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ვადით არა უმეტეს ერთი კვირისა თვითეულ წელიწადში.

მთელი დანარჩენი დრო მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე წლების განმავლობაში ცვალებადელნი ითვლებიან შვებულებაში.

სამოსწავლო შეკრების დროს ცვალებადი შემადგენლობა კმაყოფილდება კმაყოფის ყველა სახით.

მე-6-ე ქართულ მსროლელ ლეგიონისაგან.

18 მაისიდან იწყება 1904 წელში დაბადებულ ახალწვეულთა შეკრება. ზემოაღნიშნულ წელში დაბადებული მოქალაქენი, რომლებიც მიწერილნი არიან მე-6-ე ქართულ მსროლელ ლეგიონზე და მე-2-ე ქართულ მსროლელ დივიზიის ზურგის ნაწილებზე, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ: ქ. თბილისში მცხოვრებნი—ლეგიონის შტაბში (ავლაბარი, კახეთის ქუჩა, № 16) 17 მაისს დილის 7 საათზე, მაზრებში მცხოვრებნი კ—თავიანთ განაყოფებში 16 მაისს, დილის 8 საათზე.

წითელ ჯვარში

საკომპრომისო შეთანხმება

როგორც საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტში მიღებულ ცნობიდან სჩანს, შვეიცარიის წითელი ჯვრის მიერ ქ. ბერნში მოწვეული ყოფილა წითელი ჯვრების საერთაშორისო სპეციალური კონფერენცია.

კონფერენციის მიზანი იყო, წითელი ჯვრების საერთაშორისო კომიტეტის და ლიგის შორის არსებული უთანხმოების მოწესრიგება და საერთაშორისო მთლიანი ცენტრის შექმნა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიუღია წითელი ჯვრის 27 საზოგადოებას. უარი განუცხადებიათ: ჩრდილო-ამერიკის, ინგლისის და საბერძნეთის წითელი ჯვრების საზოგადოებებს. საბჭოთა კავშირს, შვეიცარიასთან არსებულ კონფლიქტის გამო, თავის დელეგაცია კონფერენციაზე არ გაუგზავნია, მაგრამ მას დასწრებია ს. ს. რ. კ. და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი წ. ჯ. საერთაშორისო კომიტეტთან ამხ. ბოგოცკი.

კონფერენციას განუხილავს და მოუწონებია, შვეიცარიის წით. ჯვრის მიერ შემუშავებული პროექტი საკომპრომისო შეთანხმებისა საერთაშორისო კომიტეტის და ლიგის მუშაობის გაერთიანების შესახებ.

ამ შეთანხმების ტექსტი და კონფერენციის რეზოლიუციები დაგზავნილი აქვთ ყველა ერების წითელ ჯვრებს.

ზემოდ აღნიშნულ საკომპრომისო შეთანხმების შემდგომი განხილვა დავალებული აქვს ლიგის უახლოეს სესიას, რომელიც შესდგება 27 მაისს.

წითელი ჯვრების გაერთიანებულ კავშირის პირველი კონფერენციის მოწვევა დავალებული აქვს შვეიცარიის წითელ ჯვარს.

კრედიტები

მშენებლობისათვის

ცენტრალურ კომუნალურ ბანკთან დადებულ ხელშეკრულების ძალით თბილისის ქალაქის ბანკი 1926-27 წლისათვის მიიღებს კრედიტს 1.741.000 მანეთის რაოდენობით. უკვე გამომუშავებული საოპერაციო გეგმის თანახმად კრედიტი შემდეგნაირათ არის განაწილებული: აღმასკომებს საბინაო მშენებლობისათვის მიეცემათ—917.000 მანეთი, საბინაო კოოპერაციას ამავე მიზნისათვის 188.500 მანეთი; ადგილობრივ მრეწველობის მშენებლობას—200.000 მან. კეთილმოწყობას—336.000 მან. და საკურორტო მშენებლობას—100.000 მან. ამ თანხებიდან თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს საბინაო მშენებლობისათვის უკვე მიეცა 500 ათასი მანეთი, და კომუნალურ მეურნეობას—200 ათასი მანეთი.

გარდა ამისა თბილისის ქალაქის ბანკის მიერ საკომისიო დავალების სახით სატრანსპორტო საბინაო მშენებლობისათვის გაცემული იქნება 695.000 მანეთი.

მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმე

ამ ბოლო წლებში მხატვრული მწერლობის გამოცემის საქმე საქართველოში საგრძნობლად გაუმჯობესდა როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობით. გამოიცა კლასიკები და თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თანამედროვე მწერლები. ამ ბოლო ხანებში სახელგამის მიერ გამოიცა აგრეთვე საგრძნობი რიცხვი პროლეტარული მწერლებისა, რაიც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვინაიდან პროლეტარული მწერლები ცალკე წიგნებად ნაკლებად იბეჭდებოდენ.

აღნიშნული ზრდის საილუსტრაციოთ შეგვიძლია შევადაროთ 1915, 1920 და 1925 წლების პროდუქცია (მხატვრულ ლიტერატურას ვუმატებთ საბავშვო მხატვრულს): 1915 წელს გამოიცა 48 სახელწოდება, 1920-ში 73, 1925-ში კი 94 სახელწოდება. ასეთია რაოდენობითი ზრდა მხატვრული მწერლობის გამოცემის საქმეში. 1926 წელში ამ სფეროში გამოცემა თითქმის ორჯელ გაიზარდა.

მაგრამ ჩვენი მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმეს თან სდევს ბევრი ნაკლი, რაიც შემდეგში გამოიხატება: მხატვრული გამოცემები მეტის-მეტად შეუგუებელია მკითხველთა ფართო მასების მოთხოვნილებებთან. ბევრია გამოცემული დიდი და ძვირი წიგნები. მკითხველთა ფართო წრეები კი იაფიან და პატარა წიგნის საშუალებით ეცნობიან მწერალს. საჭიროა მხოლოდ რჩეული ნაწერების პატარა წიგნაკებად გამოცემის პრაქტიკის გაძლიერება. ამ მხრივ სახელგამის „სახალხო ბიბლიოთეკის" სახით და გამომცემლობა „შრომა"-ს მიერ მიღებული ზომები უეჭველად დადებითი ნაყოფს გამოიღებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მკითხველის მხრივ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მხატვრულ პროზას, ვიდრე ლექსს. მხოლოდ საკმაოდ ცნობილი პოეტების გამოცემანი თუ საღდებიან. ბევრ ცნობილ პოეტის გამოცემა არ იყიდება და საწყობში რჩება ზარალის სახით. ეს აიხსნება ზემოდასახელებული მიზეზებით და, მეორე მხრივ, იმით, რომ ბევრი მწერალი ვერ უპასუხებს კულტურულად გაზრდილ და პოლიტიკურად თვითგარკვეულ ახალი მკითხველის მოთხოვნილებებს.

ორიოდე სიტყვა მხატვრული მწერლობის გამოცემის ტეხნიკაზე: ტეხნიკა მათი გამოცემის სხვა გამოცემებთან შედარებით კარგი და „ლამაზი" უნდა იყვეს, რადგან აქ საქმე გვაქვს ესთეტიკასთან. ამ მხრივ საქმე წინ მიდის უმთავრესად გარეგნული (ყდის) ფორმის გაუმჯობესებაში, თვით გამოცემის ტეხნიკა (შეკვრა, კორრექტურა, მასალების დალაგება) კი დღემდე მოისუსტებს.

რაც შეეხება კერძო გამომცემლობის საქმეს, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი ამ სფეროში. მწერალს ეკარგება მოქალაქეობრივი ავტორიტეტი, რადგან ბაზარზე საეჭვო „ნაწარმოებით" გამოდის ბევრი უპასუხისმგებლო პირი. ზედმეტი იქნებოდა ამ მოვლენაზე მკითხველის ყურადღების შეჩერება, რომ ასეთი გამოსვლები ჩვენ თანამედროვე მწერლობას და, განსაკუთრებით, მოზარდ პროლეტარულ მწერლობას ავტორიტეტს და მკითხველს არ უკარგავენ. როდესაც ასეთი უბადრუკობა მწერლის სახელით გამოდის მხატვრულ გამოცემისადმი.

დაბოლოს, საჭიროა შევჩერდეთ იმ გარემოებაზე, რომ მხატვრული ლიტერატურის გამოცემა ძვირი ჯდება. წიგნი ამ მიზეზის გამო მიუწდომელი რჩება. ამასთანავე მხატვრული მწერლობის გამოცემა დღეს დეფიციტიანია, მაგრამ საბჭოთა და პროლეტარულ მკითხველის ზრდა უზრუნველყოფს მხატვრულ გამოცემათა მომავალ მოგებიანობას. მხოლოდ მკითხველთა ფართო წრეების ლიტერატურისადმი დაახლოებით, შემდეგ შეიძლება მხატვრული მწერლობის გამოცემის დეფიციტიდან მოგებაზე გადასვლა.

ვ. ქიქოძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მცურავი სახლი

ფოთი, 7 მაისი. წყალში იქნა ჩაშვებული საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ აშენებული მცურავი სახლი 24 კაცისათვის. სახლი დანიშნულია იმ მუშებისათვის, რომელნიც მიწის თხრის საშუალებას ასრულებენ მდ. ცივასა და ხოფაზე. მცურავ სახლის აგებაზე დაიხარჯა 7.0000 მან. (ადს).

ბამბის თესვის კამპანია.

ქუთაისი, 29 აპრილი. მიმდინარე წელს ძალიან დაგვიანდა ბამბის თესვის კამპანია. ჯერ-ჯერობით ქუთაისის საბამბო ქარხანას მხოლოდ ერთი ხელშეკრულება აქვს დადებული მუხიანის გლეხკომთან. ხელშეკრულებების დაგვიანება ქარხნის ბრალია. მიუხედავად დაგვიანებისა, სათესი მოედანი მაინც 2000 დესეტინით გადააჭარბებს შარშანდელს. საბამბო ქარხანამ დაკლებულ ფასებში დაურიგა მებამბეებს ორი ვაგონი ფართალი, 114 ფ. ხორბალი და 22 ფუთი სიმინდი (ადს).

მთავარი კონდუქტორის მკვლელი

ოზურგეთი, 6 მაისი. საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია ძმების ივანე და ბიქტორ დარჩიების საქმე. წარსული წლის ოქტომბერში ისინი მატარებელში წაეჩხუბნენ მთავარ კონდუქტორს ყლაჯიშვილს, ივანე დარჩია მიდიოდა უბილეთოთ; ბიქტორი, მილიციელი, დასცინოდა მთავარ კონდუქტორს და აგინებდა მას. ისინი ორივე ჩამოსხეს სადგურ სუფსაში მატარებლის გასვლის მომენტში ივანე დარჩიამ ესროლა ყლაჯიშვილს რევოლვერიდან და მოჰკლა ის. სასამართლომ ივანე დარჩიას მიუსაჯა 10 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით, ბიქტორს ერთი წლის ციხე პირობითი. (ადს).

აფხაზეთი

ავტომობილის დამტვრევა

სოხუმი, 29 აპრილი. დღეს, „ზაკავტოპრომტორგი"-ს სოხუმის განყოფილების ავტომობილი, რომელიც მგზავრებით მიდიოდა გაგრიდან, ნაწილების გაფუჭების გამო გუდაუთიდან სამი ვერსის მანძილზე დაიმტვრა. „ზაკავტოპრომტორგმა" სასწრაფოდ გაგზავნა ავტობუსი სამგზავრო ავტომობილის დასახმარებლად და კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად. (ადს)

ავტობუსის კატასტროფის მიზეზები

სოხუმი, 7 მაისი. აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მიერ „ზაკავტოპრომტორგის" ავტობუსის კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად შედგენილმა კომისიამ გამოარკვია, რომ კატასტროფის მიზეზი არის წინა მარჯვენა რესორის ცენტრის გატეხვა, რამაც გამოიწვია წინა ღერძის გადაწევა უკანა ბორბლის მხარისაკენ. ცენტრის რესორის დათვალიერების დროს კომისიამ გამოარკვია, რომ მასზე არის ძველი გატეხვის ნიშანი და მისი დანარჩენი ნაწილის ზედა პირი გაცვეთილია. ამის მიხედვით, კომისიამ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რესორი კატასტროფის დროს, მუხრუჭებიც ვერ იყო კარგ მდგომარეობაში, რის გამოც შეუძლებელი გახდა მანქანის დამუხრუჭება მოკლე მანძილზე.

მამის მკვლელის გასამართლება

ოზურგეთი, 7 მაისი. საოლქო სასამართლომ დაამთავრა სოფ. ნინოშვილის გლეხ ნ. ჩხარტიშვილის საქმის გარჩევა. ჩხარტიშვილმა ჩხუბის დროს ხანჯლით მოჰკლა თავისი მამა (60 წლის). სასამართლომ მკვლელს მიუსაჯა ექვსი წლის ციხე, სასტიკი იზოლიაციით. (ადს).

წერილები

სახალხო ქონებას მოვლა ესაჭიროება

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება ამხ. მათიაშვილის კორესპონდენცია, რომელიც მოგვითხრობს შემდეგს: სოფ. კარდანახიდან 1924 წელში გამოძევებული იქნენ თავადები; ამ უკანასკნელთ დარჩათ სახლები და სხვადასხვა მოწყობილებები. სახლები უპატრონოდ ინგრევა: შუშაბანდი ჩამოამტვრიეს მწყემსებმა, ჩამოაცილეს კარები, სახურავი და სხ. ამნაირად, როგორც ვხედავთ სახალხო ქონება ნადგურდება, ილუპება, მაგრამ არავინ არის რომ გადაარჩინოს ქონება, მოუაროს და მოახმაროს სახალხო საქმეს.

უნდა აღვინიშნოთ, რომ ასეთ მდგომარეობას ზოგიერთ სხვა სოფლებშიც აქვს ადგილი. ამ დაღოცვილ ჩვენ სოფლებში თავადები და აზნაურები ბლომად იყვნენ გაბნეული; მათ შეძლებაც გვარიანი ქონდათ, რადგან მიწები უმთავრესად მათ ხელში იყო. ამიტომ ისინი აგებდენ სოფლებში საუკეთესო შენობებს, ქონდათ გაუმჯობესებული მიწის იარაღები და სხვა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მემამულეებს ეს ქონება ჩამოერთვათ. სოფელი გახდა ამ ქონების ბატონ-პატრონი. სადაც სოფლის საბჭო და სხვა ორგანიზაციები ფხიზლად არიან თავის ადგილზე, მემამულეების მიერ დატოვებული შენობები გადაეცა სკოლას, კლუბს, სახალხო სახლს; მიწის მანქანები და იარაღები კიდევ თავის დანიშნულებას მოხმარდა.

მაგრამ ყველგან არ ხდება ეს. არიან ისეთი სოფლები, სადაც მემამულეების მიერ მიტოვებულ შენობებს და საერთოდ ქონებას ყურადღება არ ექცევა, თითქოს ეს ქონება კიდევ მემამულეებს ეკუთვნოდეს და არა სოფელს. შენობები უპატრონოდ არის მიტოვებული და ვისაც არ ეზარება ყველა სძარცვავს და გლეჯს როგორც ამას ადგილი აქვს სოფ. კარდანახში.

ასეთ მდგომარეობას უსათუოდ ბოლო უნდა მოეღოს. მემამულეებისთვის ჩამორთმეული ქონება ხალხის არის, ხალხის ოფლით შექმნილი. სოფლის საბჭომ, გლეხკომმა და სხ. ორგანიზაციებმა ეს ქონება თავის მფარველობის ქვეშ უნდა აიღონ, მოუარონ, სასოფლო საქმისათვის გამოიყენონ. ზოგიერთ სოფელში გლეხები უკანასკნელ კაპიკსაც არ ზოგავენ სკოლის, სახალხო სახლის, ან კლუბის აგებათ; ამავე დროს მეზობელ სოფელში უპატრონოდ ნადგურდება მემამულის მიერ დატოვებული შენობა. სოფლის ორგანიზაციებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ და დაიცვან სახალხო ქონება.

ი.—შე.

წყალშემოტყმული სოფელი

(სოფ. 1-ლი კოდორი, სენ. მ.)

„პატარა ლაჭუს" მდ. რიონის შესართავთან სამხრეთი და ჩრდილოეთით ცხოვრობს თხუთმეტი მოსახლე გლეხკაცობა. მდ ლაჭუს მოძრაობა ყოველწლიურად ზაფხულობით სწყდება. მისი შესართავი ისილება მდ. რიონის მიერ. ეს გარემოება ხელს უწყობს მდ. ლაჭუს ჭაობებად გადაქცევას. აქ წყალი ლპება, ორთქლდება და წარმოადგენს საუკეთესო წყაროს ციებ-ცხელებისა და ყოველგვარი სნეულებისა. მდინარე რიონი ზომატების დროს წყალი ლაჭუს საშუალებით დაბლობებიდან და ღელეებით პირველად ამ 15 მოსახლეს ესტუმრება. ეს გლეხები ამ საშინელ მოვლენით აწიოკებულია. მათი ზარალი აურაცხელია. მოსახლეობის წინ გადის საზოგადო გზა, რომელიც სავსებით მოქცეულია ჭაობში, მას დაკარგული აქვს თავისი ნამდვილი სახე. ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. ის მოკლეა, სწორი და კარგიც რამოდენიმე თემს ამ გზით დაქონდა მთელი წლის საზრდო, მაგრამ ჩვენს რაიონში ამ გზის უვარგისობის გამო გლეხები იძულებულნი არიან შორს მოუარონ და ოთხი-ხუთი ვერსი გზა მეტი გააკეთონ,

რაიონში საექიმო პუნქტი ორია. მათი რიცხვის სიმცირის გამო, გზის უქონლობისა, ექიმის გასამრჯელოს, ეტლის ქირის უქონლობის, წამლის ფულის და საერთო სიღარიბის გამო, გლეხები იმყოფებიან უკიდურესად მძიმე პირობებში. წარსულ წლებში, აქედან უკვე აიყარნენ და გადასახლდენ შეძლებული გლეხები. დარჩენენ მხოლოდ ღარიბები.

უკვე ექვსმა წელმა განვლო საქართველოს გასაბჭოების დღიდან და ამ ხალხის გადასახლების საკითხის მოგვარებას ბოლო არ უჩანს. ამ 15 გლეხის ოჯახს არა ერთხელ და ორხელ მიუმართავს ხან პერსონალური და ხან კოლექტიური განცხადებებით, როგორც ადგილობრივ აღმასკომებისათვის ისე სამაზრო ცენტრისათვის, სამოსახლო მიწის მიცემის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი დამაკმაყოფილებელი პასუხი იმათ არ მიუღიათ. მათი გადმოსახლება დღევანდელ საცხოვრებელ ადგილებიდან საჭიროა და აუცილებელიც, რასაც უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება სამაზრო ცენტრმა.

ფ. ქანტურაია.

მოქეიფე ფერშალი

(ქვაციხე, შორაპნ. მ.)

ჩვენ სოფელში არსებობს საექიმო პუნქტი, მაგრამ სამწუხაროდ ექიმი არ გვყავს ეს სოფელი შედგება რამოდენიმე თემიდან და ყველა აქაური მცხოვრებნი დიდს სურვილს გამოსთქვამენ, რომ მათ ყავდეთ ექიმი. არავითარ ღონისძიებას და დაზოგავენ ისინი თუ კი მათ საშუალება ექნებათ, თავისი ავადმყოფი ადგილობრივ გაასინჯოს ექიმს, ვიდრე 15—20 ვერ. მანძილზე წაიყვანონ ისედაც ღონე მიხდილი და შეუძლო, და ამით გზის მსხვერპლი გახადონ.

მართალია ჩვენს სოფელში არის ფერშალი ქალი (იგივე ბებია ქალი), მაგრამ რა გამოვიდა, ამის საქციელით უფრო განსაცდელში ვარდება ხალხი.

მან ქართული არ იცის და გლეხები ვერაფერს გააგებინებს. გარდა ამისა ამ ფერშალ ქალს გადაჭარბებული ღვინის სმა უყვარს. ხშირია ასეთი შემთხვევები: მას წაიყვანენ ავადმყოფის სანახავად. ის მისვლისთანავე დაითვრება ღვინით და რას ჩადის თვითონ არ იცის. შემდეგ ცხენზე შემომჯდარი მიჭქრის ბინისაკენ.

ასეთი საქციელით იგი ხალხზე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. ვიმედოვნებთ ყურადღებას მიაქცევენ ამ სოფელს და იხსნიან მას გაჭირვებისაგან.

მისწრება.

ჩვენი ავ-კარგი

(ნოქალაქევი, სენაკის მაზრა)

ნოქალაქევის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებიდან სოფ. ბეთლემი დაშორებულია 6—7 ვერსით. ადგილმდებარეობა არის მთა გორიანი. აქ არ არის ფოსტის ყუთი და არც დამტარებელი დადის, ამიტომ გლეხობა იძულებულია წავიდეს შვიდი ვერსის მანძილზე წერილებისა და ჟურნალ-გაზეთების მოსატანად. ამიტომ საჭიროა ყუთის დადგმა ოთხ წლედის შენობაში.

ამ სოფელში არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება გარდა ოთხწლედისა და სასცენო დარბაზისა. ეს დარბაზი უპატრონოდ არის მიგდებული, წვიმის წყალით ლპება. მუდამ ღიაა, რისთვისაც იმტვრევა და ნადგურდება შენობა. არ არსებობს კოხ-სამკითხველო, გლეხები მონდომებული იყვნენ გაეხსნათ, მაგრამ პოლიტგანმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

აქვე არსებობდა აბანო, რომელიც კარგად იყო მოწყობილი ეხლა არავინ არ არის გამკითხავი. საჭიროა სამაზრო აღმასკომმა მაინც მოაგვაროს ეს საკითხი. წყალი ძალიან სასარგებლოა. გარდა ამისა ჩვენი თემის სასოფლო გზებზე ძალიან ვაჟკაცი უნდა რომ გაიაროს და ხრამში არ გადავარდეს.

ან. ბეთლემელი..

ნადგურდება ხალხის ქონება.

(სოფ. კარდანახი, სიღნაღის მაზრა).

სოფ. კარდანახი თავიდანვე მჩაგვრელ თავად-აზნაურების ბუდე იყო, მაგრამ 1924 წ. ადგილობრივ გლეხობამ ისინი გადაასახლა ამ სოფლიდან. მათ დარჩათ სახლები და სხვადასხვა ინვენტარი; ამ სახლებს შორის საგულისხმოა ნენეანთეული სახლი, რომელიც შეიცავს ექვს ოთახს. ეს სახლი მთლად უპატრონობით ინგრევა. ჰქონდა შუშაბანდი, რომელიც ჩაამტვრიეს მწყემს ბავშვებმა, ჩამოაცალეს კარები, მოხადეს სახურავი კრამიტი და აოხრებენ სულ.

კარგი იქნება, რომ ჩვენი ოფლითვე აშენებული მოვიხმაროთ ჩვენ, გამოვიყენოთ იგი ან საბავშვო ბაღათ, ან სკოლათ, ანდა კლუბათ. იმედია, მიექცევა დროზე ყურადღება და გამოიყენებენ ამ სახლს რაიმე საჭიროებისათვის.

ვანო მათიაშვილი.

რა აბრკოლებს ტრაქტორის მუშაობას

(წერილი კახეთიდან)

ამ უკანასკნელ წლებში ტრაქტორებზე ოცნებობს ყველა, მათ შეძენაზე ფიქრობს გლეხობის როგორც ღარიბ, ისე შეძლებულ ფენებში.

გაჩნდენ კიდევაც ტრაქტორები: თელავის მაზრაში მათი რიცხვი 15 უდრის, სიღნაღისა კი სამჯერ-ოთხჯერ ამაზე მეტია. თავის თავად ასეთი მისწრაფება ძალიან კარგია და ეს მისწრაფება ადვილი გასაგებიცაა: მობეზრდა ხალხს ხარ-კამეჩებით მიწის ჩიჩქნა და, სხვა არ იყოს, ძალიან ძნელი გახდა მუშა-საქონლის შენახვა. საძოვრების, საბალახოების მეტად შემცირების გამო და სხვა.

მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ძალიან აჩქარებულად და მდგომარეობის ყოველმხრივი აუწონლივ ხდება ხსენებულ მანქანების შეძენა. ძველი ანდაზა: „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერ" აქ ძალიან საჭიროა და აუცილებელი,—ეს არ უნდა ავიწყდებოდეს არც ერთ ორგანიზაციას, არც ერთ დაწესებულებას ტრაქტორების შეძენის დროს. სამწუხაროდ, ჩვენ ზოგჯერ სხვა სურათს ვხედავთ, აშკარა შეცდომებს ვუშვებთ, და ამისი უარყოფითი შედეგებიც უკვე თავს იჩენენ აქა-იქ.

ტრაქტორი გუთანი არ არის—მისი ფასი ასეული თუმნობით განისაზღვრება. ფორძონის ტრაქტორი, რომელიც უმთავრესადაა ჩვენში გავრცელებული ორი ათასი მანეთამდე ჯდება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 80 პროცენტს ტრაქტორების მეპატრონეებისას ეს თანხა არა აქვთ ანაზღაურებული სანახევროდაც ამ ორი-სამი წლის განმავლობაში. გამოდის, რომ ტრაქტორით დამუშავებული მიწა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ექვს უღელა ხარ-კამეჩით მოხნული. მთელი წლის განმავლობაში ჩვენი ტრაქტორები გამოყენებულია მხოლოდ ორი თვით და იშვიათია ისეთი მეურნეობა, სადაც მათ ამუშავებენ ხუთ-ექვსი თვე.

რით აიხსნება ეს? ერთი იმითი, რომ რაიონებს ვერ შეურჩიეთ სათანადო სისტემის (ფირმის) ტრაქტორები. გარდა ამისა ტრაქტორებს ზოგჯერ გამოვაყოლეთ ისეთი გუთნების კომპლექტი, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში სრულებით გამოუსადეგარი არიან კახეთის პირობებში.

მეორე დაბრკოლებაა დახელოვნებულ ტრაქტორისტების რიცხვის სიმცირე, რის გამო ტრაქტორი მალ-მალე „დგება", ე. ი. ფუჭდება. სარემონტო სახელოსნოები არა გვაქვს, წვრილმანი ნაწილების მარაგი არ არსებობს და, რა თქმა უნდა, ხანდისხან სულ უმნიშვნელო მიზეზის გამო ტრაქტორი ცდება. ეხლახან სატრაქტორო კურსებიდან ბევრი ახალგაზრდა გლეხი დაბრუნდა და შეიძლება უფრო ამუშაონ მანქანები, მხოლოდ ამისათვის საჭირო იქნება გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობა, ასეთები კი, ჯერ-ჯერობით ჩვენში არ მოიპოვებიან.

არის ისეთი ამხანაგები, სადაც თითქმის გამოცდილი ტრაქტორისტებიც ჰყავთ, სადაც შეიძლებოდა მათი უკეთესად გამოყენება, მაგრამ ამას ჩვენ არ ვხედავთ, და ზედმეტი ხარჯები ასეთ გამოცდილ კვალიფიციურ ტეხნიკოსების ჯამაგირის სახით, ტრაქტორს ზედ აწევება.

ტრაქტორებს იყენებენ უმთავრესად ხვნათესვაში, ოდნავ ლეწვის დროს, სხვა სამუშაოზე კი მათი გამოყენებას სრულებით არა აქვს ადგილი. ზოგან არ იციან სად, რომელ სამუშაოზე და როდის შეიძლება ტრაქტორების მიზანშეწონილად გამოყენება. ასეთი სამუშაოები კი ჩვენს სოფლებში ბლომად მოიპოვება და ტრაქტორების დატვირთვაც ნაყოფიერი. ხელსაყრელი გახდებოდა. ამისათვის საჭიროა სათანადო გეგმების შედგენა, სათანადო ხელმძღვანელობა გაცემულ, სოფლად დარიგებულ ტრაქტორებზე, თორემ გამოდის, რომ გავყიდეთ ტრაქტორები; მივეცით გლეხობას და ამით დავკმაყოფილდით. ეს ამას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება როგორც სასოფლო სამეურნეო ბანკმა, ისე სხვა ტრაქტორების შემომზიდავ ორგანიზაციებმა. დროა წესიერად, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ტრაქტორები.

ისტატე კაკულია.

მოგვიწყვეთ კინო თავისუფალ ჰაერზე

(სენაკი)

ჩვენს საზამთრო კლუბში კინოს საქმე ფრიად ცუდათ წავა თუ კინოს ჩვენება თავისუფალ ჰაერზე არ მოვაწყვეთ, ეხლანდელ მუშათა კლუბის დარბაზში შეუძლებელი იქნება დგომა და კინო-სურათის ყურება ზაფხულში. მუშათა კლუბის გამგეობამ ამ გარემოებას დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება.

საჭიროა მოგვარდეს კინო-ჩვენების საკითხი უფრო თავისუფალ—საზაფხულო შენობაში.

ეს გააადვილებს ჩვენი კავშირების საზაფხულო კულტმუშაობას.

ზანი.

სამეურნეო ორგანოების ხარჯები

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა მთელ რიგ სამეურნეო ორგანოების ხარჯების გამოკვლევა იმ მხრივ, თუ რამდენად შეეფერება ისინი ხარჯთ-აღრიცხვაში გათვალისწინებულ ხარჯებს. გამოირკვა, რომ უმეტეს ორგანიზაციებში ფაქტიურად გაწეული ხარჯები სრულიად არ შეეფერება ხარჯთ-აღრიცხვებს. ამასთანავე ზოგიერთ ორგანიზაციებში ადგილი აქვს მეტად დიდ ზედმეტ ხარჯებს.

ამის გამო, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ საჭიროდ სცნო წინადადება მისცეს ყველა სამეურნეო ორგანიზაციებს შეძლებისდაგვარად დაიცვან იმ ხარჯების ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია ცალკე მუხლებში; ამასთანავე, ისინი უნდა სცდილობდენ ხარჯთ-აღრიცხვის პერიოდის განმავლობაში მაქსიმალურად შეამცირონ ხარჯები. სავაჭრო ხარჯების ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილ უნდა იქნეს ხარჯთ-აღრიცხვის პერიოდის დაწყებამდე და წარდგენილ უნდა იქნეს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატში. ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა სავარაუდო ხარჯები; ხარჯთაღრიცხვებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს „შემთხვევით", „მოულოდნელ" და სხვაგვარ ხარჯებს.

იმ მიზნით, რომ ა.-კ. სამეურნეო ორგანოების მიერ შედგენილ იქნეს ერთნაირი ხარჯთ-აღრიცხვები, შინავაჭრობის კომისარიატს დაევალა შეიმუშაოს ცხრილი ხარჯთაღრიცხვების შესადგენად.

მსხვილი მრეწველობის გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველომ დაამთავრა 1925—26 წლის ცენზიანი (მსხვილი) მრეწველობის წლიური გამოკვლევა.

გამოკვლევის მიზანს შეადგენს შემდეგი მომენტების ცხადება: 1) მრეწველობის კონცენტრაცია, 2) წარმოების მექანიზაციის და ელექტროფიკაციის ხარისხი, 3) სამუშაო ძალის დინამიკა, 4) ძირითადი და საბრუნავი თანხები, 5) პროდუქციის ღირებულებითი შემადგენლობა და სხვ. და სხვ. დასახულ ამოცანების მიხედვით, გამოკვლევის გეგმა შეიცავს შემდეგ მთავარ საკითხებს: 1) სამრეწველო დაწესებულების **საერთო ცნობები** (დაწესებულების სახელწოდება, მეპატრონე, დაარსების წელიწადი და სხვ.); 2) შემადგენლობა, სამუშაო დრო, ხელფასი; 3) მექანიკური ძრავნი და სამრეწველო მანქანები; 4) წარმოება და საწარმოვო მოხმარება; 5) ძირითადი თანხა და 6) დაწესებულების ხარჯების მთავარი მუხლები და სხვ.

წლიურ გამოკვლევაში აღნუსხული საცენზო დაწესებულებათა მთელი რიცხვი საქართველოში და ავტონომიურ რესპუბლიკებში შეადგენს 240-ს, რომელშიაც ჩაბმულია 15.000 სამრეწველო მუშა. **აღმოსავლ. საქართველოში** (გარდა თბილისისა)—30, **თბილისში—110**, **დასავლეთ საქართველოში** (გარდა შავიქვის მრეწველობისა)—37, **შავიქვის მრეწველობაში—27 ფირმა, აჭარისტანში—17, აფხაზეთში—14, სამხრეთ-ოსეთში—4.**

ყველა დაწესებულებათა მასალები გადმოტანილია საქართველოს სტატ. სამმართველოში; ამჟამად სწარმოებს მათი კრიტიკა და საკონტროლო ფურცლების შედგენა, რის შემდეგაც დაიწყება წინასწარი ჯამების შედგენა. სამუშაოს პირველი ნაწილი, გეგმის მიხედვით, დამთავრებული უნდა იქნეს 20 მაისისათვის.

ქაღალდის ქარხანა

კომისიის გამგზავრება სამეგრელოში

გუშინ საღამოს სამეგრელოში გაემგზავრა საკავშირო ს. მ. უ. ს. მიერ გამოგზავნილი კომისია ინჟ. დობრიაკოვის, კარმანოვის და ქაღალდის ქარხნის სამუშაოთა ხელმძღვანელის ინჟ. კოჩიაშვილის შემადგენლობით.

კომისიას თბილისიდან გაყვენ ახალშენებათა კომიტეტის თავმჯდომარე ინჟ. ვაწაძე და შავი ზღვის რკინის გზის სამმართველოს წარმომადგენელი ინჟ. თუმანიშვილი. კომისია ადგილობრივ დაათვალიერებს უკვე ჩატარებულ წინასწარ სამუშაოებს, ნედლი მასალის დასამზადებელ ადგილებს და ამოირჩევს ქაღალდის ქარხნის შენობის ასაგებ ადგილს.

კომისია თბილისში დაბრუნდება ხუთი დღის შემდეგ.

ელექტროფიკაცია

ამიერ-კავკასიის სასოფ.-სამ. ბანკის და „ელექტროსელსტროი"-ს შორის მიღწეულია თანხმობა სასოფლო - მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის კრედიტების მიწოდების საკითხში.

ამ მიზნისათვის საჭირო კრედიტების 20 პროცენტს მიიღებს თავის თავზე ის ორგანიზაცია, რომელიც განაცხადებს სურვილს მეურნეობაში ელექტროფიკაციის გატარების შესახებ; 40 პროცენტს იღებს თავის თავზე „ელექტროსელსტროი" და 40 პროცენტს ა.-კ. სასოფლო-სამ. ბანკი.

შეთანხმების ძალით ელექტროფიკაციის გატარება დასაშვებია მხოლოდ წმინდა სასოფლო მეურნეობის დარგებში, როგორიცაა: წისქვილების მოწყობა, სახერხ ქარხნების მოწყობა და სხვა.

წყალსადენები

კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ წელს თბილისის მაზრაში ჩატარებულ იქნება მუშაობა წყალსადენების გასაყვანად. მიმდინარე წლის ბიუჯეტით გადადებულია სულ 96.697 მან. ამ თანხიდან მანგლისის საწყალსადენო მაგისტრალის გაფართოებას მოხმარდება 28 ათასი მანეთი, ხოლო მანგლისის ელექტრო - სადგურის მოწყობას — 20.233 მანეთი. წყალსადენის გასაყვანად სოფელ ნორიოში გადადებულია 15 ათასი მანეთი, სოფელ დრეშში — 6.777 მანეთი, სოფ. ბოგვში — 9.008 მან., დიდ ლილოში — 3.000 მან. ცალასყურში — 2.812 მან., მაცევანში — 2.199 მან., ლელუბანში — 2.000 მან., ნაფარეულში—1.669 მან., ვალოვანში — 1.018 მან., ანტოკში—1000 მან., მახვეთილში — 458 მანეთი.

ზემოჩამოთვლილი სოფლები დღემდე დიდ გაჭირვებას განიცდიდენ უწყალსადენობით. მომავალი წლიდან წყალსადენების გაყვანა დაიწყება თბილისის მაზრის სხვა სოფლებშიდაც.

სალხინოს მამული

3 მაისს სახალხო მამულების ტრესტმა ოფიციალურად გახსნა სოფ. სალხინოში (სამეგრელო) ახალი სახალხო მამული. ამ გახსნას დაესწრო მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი, მაზრის აღმასკომის წარმომადგენელნი და რამდენიმე ათასი გლეხი მამულის დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ იქ დამზადებულია 300.000 დამყნილი ვაზი, რომელთა ნაწილი უკვე გადარგულია სკოლებში. კიდევ მზადდება 100.000 ნამყენი ვაზი.

თესვის კამპანია

ბამბის თესვა წარმატებით მიმდინარეობს

ბამბის თესვის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში. განსაკუთრებით ინტენსიურად ტარდება კამპანია ცენტრალურ აზერბეიჯანში, სადაც ზოგიერთი რაიონებში დათესილი მიწების სივრცემ გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას.

ზოგიერთ რაიონებში გლეხები მოითხოვენ დასათესავი მიწების სივრცის გაფართოვებას ავანსების გაუცემლად. ამიერ-კავკასიის მებამბეობის ყველა რაიონებში ამჟამად სწარმოებს თესლის, ავანსების და იაფ ფასიანი ხორბლის დარიგება.

უკანასკნელი დღეების კლიმატიური პირობების გამო მოსალოდნელია, რომ კამპანიის მიმდინარეობის ტემპი რამოდენიმეთ შენელდეს.

თესვა მთლიანად სწარმოებს კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით. ბამბის თესვის კოპერაციის ხელში გადაცემა პირველად ტარდება წელს.

დახარისხებული გადარჩეული თესლით მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიაში დათესილი იქნება 53.000 დესეტინა, რაც მთელი დასათესავი მოედნის 45,46 პროც. შეადგენს.

სულ გეგმის მიხედვით ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში დათესილი უნდა იქნეს 123.950 დესეტინა მიწა, აქედან აზერბეიჯანში—101.000 დესეტინა, სომხეთში—14.350 დეს. და საქართველოში—8.600 დეს.

სათესლე სესხის გადახდის ვადის გაგრძელება

ა. კ. სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა საქართველოს და აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოების შუამდგომლობა სათესლე სესხის გადახდის ვადის გაგრძელების შესახებ. საქართველოს დავალიანება 134.500 მანეთის რაოდენობით გადახდილ უნდა იქნეს ორ ვადაზე. 70.000 მანეთი და გადახდილ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ იმ საბიუჯეტო ასიგნობიდან, რომელიც აღმასკომებს ეძლევათ სუბვენციით. და ნარჩენი 55.500 მანეთის გადახდის ვადა გაგრძელებულია ახალ სამეურნეო წლამდე, მაგრამ არა უგვიანეს 1928 წლის პირველ იანვრისა.

აზერბეიჯანმა თავისი დავალიანება 162.500 მანეთის რაოდენობით უნდა დაფაროს იმავე ვადებზე და იმავე წესით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველ ვადაზე გადახდილ უნდა იქნეს დავალიანების 50-50 პროცენტი.

გლეხური ახალგაზრდობის

სკოლები

მიმდინარე წელს გურიაში გახსნილია ექვსი გლეხური ახალგაზრდობის სკოლა. ახალი ტიპის სკოლებმა გლეხობის დიდი ინტერესი და ყურადღება გამოიწვიეს. გლეხური ახალგაზრდობის სკოლებში შესვლის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას. ამიტომ ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილებამ დაადგინა მომავალი სასწავლო წლის დამდეგიდან გახსნას გლეხური ახალგაზრდობის სკოლები შემდეგ სოფლებში: ნიგოითში, გურიანთაში, სილაურში, ლიხაურში, ხიდისთავში და სურებში. ამგვარად, მომავალ სასწავლო წლიდან გლეხური ახალგაზრდობის სკოლების რიცხვი 100 პროცენტით დიდდება. განათლების განყოფილების მიერ უკვე მიღებულია ზომები ახალი სკოლების კვალიფიციური მასწავლებელთა კადრით უზრუნველსაყოფად.

თბილისის ხიდები

მიმდინარე სამშენებლო სეზონში დაიწყება თბილისის ფარგლებში არსებულ ყველა ხიდების შეკეთება.

აღმასკომის ტეხნიკური განყოფილების მიერ უკვე შედგენილია ხიდების შესაკეთებელი ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით ვერის ხიდის შეკეთება სჭირდება 24.081 მანეთი, ავლაბრის ხიდი 1.750 მანეთი, მაიდნის ხიდი—955 და სამასი არაგველის ხიდის შეკეთებას—2.049 მანეთი. ზემოხსენებულ ხიდებს შორის ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში არის ავლაბრის ხიდი. ტეხნიკურმა განყოფილებამ ამ ხიდის შესაკეთებელ ხარჯთაღრიცხვასთან ერთად დაამუშავა ამ ადგილზე ახალი ხიდის ასაგები პროექტი, რომლის მიხედვით ახალი ხიდის აგებას დასჭირდება დაახლოებით 120 ათას მანეთი.

თუ აღმასკომი აუცილებლად სცნობს ახალი ხიდის აგებას, სამისო ხარჯთაღრიცხვა შეტანილი იქნება მომავალი სამეურნეო წლის ბიუჯეტში და არსებული ხიდის შეკეთებაც აღარ მოხდება. ახალი ხიდის აგება განზრახულია აგრეთვე საბურთალოზე. ამ მიზნით ტეხნიკურ განყოფილებამ მოაწყო პროგრამის გამოსამუშავებლად სპეციალისტთა ჟიური, რომელმაც წინასწარი მუშაობა უკვე დაასრულა. ჟიურის მიერ გადაღებულია მტკვრის ნაპირის გეგმა იმ ადგილზე, სადაც ხიდი უნდა აშენდეს, დასრულებულია ნაპირის ნიადაგის გეოლოგიური გამოკვლევა და სხვა.

მეიერხოლდის სახელობის თეატრი

დღეს თითქმის აქსიომათ არის ქცეული ის დებულება, რომ თეატრალურ ხელოვნების საფუძველი აქტიორია და სხვა დანარჩენი კი აქტიორული შემოქმედების გამოჩინების საშუალებანი,სტანისლავსკის განცდის თეორია, ტაიროვის „ნეორეალიზმი" და მეიერხოლდის ბიომეხანიკა—ეს არის მოძღვრება აქტიორის შემოქმედებითი შესაძლებლობათა გამომჟღავნებისა და გაშლის შესახებ. მაგრამ თეატრის ისტორიამ და მისმა პრაქტიკამ საბედისწერო როლი არგუნა ამ დებულებას: ინდივიდუალიზმის ძლევის შემდეგ—როდესაც თეატრში გაბატონებული იყო ინდივიდუალური აქტიორი მხატვრული ანსამბლის ხარჯზე— თეატრი დაიპყრო ლიტერატურამ. ლიტერატურის ტყვეობაში აქტიორი ამჟღავნებდა მხოლოდ თავის შინაგან „სულს" და ეს სავსებით აკმაყოფილებდა იმ აუდიტორიას, რომელიც ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან შესდგებოდა, და რომლის მოთხოვნილება თეატრში მხოლოდ და მხოლოდ „პიროვნული", ინტიმური განცდებით განისაზღვრებოდა, მხატვრული თეატრი, სადაც „განცდის თეორიამ" თავის აპოგეიას მიაღწია, გახდა ლიტერატურის ჰეგემონიის არენათ და მით ბუნებრივათ დაიჩრდილა მეორე პრეტენდენტი ასეთი ჰეგემონიის—მხატვრობა. ამიტომაც სათეატრო „ლიტერატურშჩინს" წინააღმდეგ პირველი პროტესტი განაცხადა მხატვარმა—დეკორატორმა. რომელმაც სტილიზაციის გზებითა და მეთოდებით მოინდომა სამხატვრო თეატრის ნატურალიზმის ძლევა. მაგრამ აქ შეიქმნა კურიოზული მდგომარეობა: დეკორატიულმა მხატვრობამ მეორე ხარისხოვან მოედნათ აქცია აქტიორის შინაგანი შემოქმედება და ერთნაირათ დაშალა სისტემა მისი გარეგანი მოძრაობისა; მხატვრობის ტყვეობაში მოქცეული თეატრი დაუახლოვდა მარიონეტკების თეატრს, სადაც ცოცხალი აქტიორების ნაცვლად მკვდარი მექანიკური „კუკლები" გვევლინებიან. დადგა უდიდესი კრიზისი თეატრის: თეატრში გაბატონდა ლიტერატორი, გაბატონდა მხატვარი—დეკორატორი, აქტიორი „ჩაჰკლაპა" სცენის დეკორატიულმა მორთულობამ და მით თეატრი, როგორც ასეთი, სავსებით დაიკარგა. მისი აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ აქტიორისათვის თავისი უფლებების დაბრუნების გზით. ამ გზაზე შესდგა თანამედროვე თეატრის უდიდესი ნოვატორი კამერული თეატრის მეთაური ა. ტაიროვი. მაგრამ ის ბოლომდის ვერ გაჰყვა ამ გზას: ოპერეტკებით გატაცებამ კამერული თეატრის შემოქმედებითი მუშაობა ესთეტიური კონსტრუქტივიზმით შემოფარგლა, ხოლო აქ კი გამომჟღავნდა აქტიორის მხოლოდ გარეგანი თვისება (მოძრაობა) და ის, რაიც ემოციონალური კავშირს აბამს სცენასა და მაყურებელს შორის,—აქტიორის შემოქმედებითი ძალა, ერთიანათ დაიკარგა; (ტაიროვის დადგმა „დღე და ღამე"). საჭირო შეიქნა ნამდვილი სინთეტიური თეატრი, სადაც ლიტერატურა, არქიტექტორული კონსტრუქციები, ბგერითი და სინათლის მონტაჟი,—შექმნიდენ ისეთ ფონს, სადაც მოცემული იქნებოდა აქტიორის თამაშის მთლიანი სისტემა. ასეთი თეატრის შექმნას სცდილობს თანამედროვე უდიდესი რეჟისორი ვ. მეიერხოლდი.

ოქტომბრის რევოლიუციამ თეატრის საზოგადოებრივ დანიშნულებას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი. ის შეხედულება, რომლის თანახმათ თეატრი მხოლოდ წყნარ „ინტიმურ განცდათა" და ესთეტიურ სანახაობათა ორგანიზაციაა, სადაც მეშჩანინ ბურჟუას შეეძლო „დასვენება", და მით პოლიტიკური მოვლენებისაგან დროებითი „განყენება", დღეს ისტორიას ჩაჰბარდა როგორც სამუზეუმო მოვლენა, როგორც კურიოზული ფაქტი ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის და როგორც ყოველგვარ პრინციპიალურობას მოკლებული თეორია. დღეს თეატრი მხატვრულ ტრიბუნათ უნდა იქცეს პროლეტარიატის კლასობრივი იდეოლოგიის! მან მხატვრულათ უნდა აღზარდოს ახალი მაყურებელი, რომელიც მოდის მუშათა და გლეხთა მასებიდან; ეს მაყურებელი—პოლიტიკურათ მომწიფებული კატეგორიაა, მხატვრულათ ბავშვობის ხანას განიცდის. თანამედროვე თეატრის უდიდესი ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა ესთეტიურად აღზარდოს ს, ამ უკანასკნელის პოლიტიკურ მსოფლმხედველობის შესწავლის ფონზე. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლო სცენასა და მაყურებელს შორის შემოქმედებითი ურთიერთობის დამყარება და მით თეატრის კრიზისის ძლევაც. თავისთავათ ცხადია, რომ დეკორატიული ხელოვნებით აუდიტორიის დაპყრობა შეუძლებელია: სტილიზაციაქმნილი ნივთები თუ მოვლენები და ვრცელი კონსტრუქციები არაფერს ეუბნებიან მაყურებლის გრძნობებს. მათ არ შეუძლია მაყურებლის ფსიხიკის ორგანიზაცია და მაშასადამე მისი განცდების წარმართვა შესაფერისი მიმართულებით; სცენის გარეგანი მორთულობა აკმაყოფილებს მხოლოდ მხედველობითი ორგანოებს და მისგან მიღებული შთაბეჭდილებაც ყოველგვარ სიღრმეს მოკლებულია. მაყურებელს სჭირია ღრმა ემოციები და ისეთი შთაბეჭდილებანი, რომელიც ხვდება მის „სულსა" და გულს; ეს კი შესაძლოა სცენის შემოქმედებითი ზეგავლენით აუდიტორიაზე; მაგრამ ამ ზეგავლენას იწვევს აქტიორი, რომლის შემოქმედება სცენაზე ყველა იმ მომენტების მხატვრულ ძლევაში უნდა მდგომარეობდეს, რომელსაც ის განასახიერებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეიერხოლდმა ახალი თეატრის ორგანიზაცია აქტიორის პრობლემით დაიწყო. მან შექმნა ეგრეთწოდებული ბიო-მექანიკის თეორია, რომლითაც ის შეებრძოლა სტანისლავსკის სკოლას. მეიერხოლდის აზრით სტანისლავსკიმ დაარღვია წონასწორობა ადამიანის „სულსა" და სხეულ შორის, რის შედეგათ მივიღეთ აქტიორში ერთის მხრივ „გაფაქიზებული" და განბივრებული „სული", ხოლო მეორეს მხრივ მეტის მეტათ უძლური სხეული მოძრაობათა დანგრეული მექანიზმით. „ჯანსაღი წონასწორობის აღდგენა—აი, მიზანი ბიო-მექანიკის". აქტიორმა ისე უნდა განავითაროს თავისი სხეული, რომ ყოველი მისი მოძრაობა უნდა იყვეს მიზანშეწონილი, მოკლებული ყოველგვარ ზედმეტს და შემთხვევითობას. ასეთ პირობებში აქტიორი შეგნებულათ იმორჩილებს თავისი სხეულის მექანიზმს და მით ძალდაუტანებლათ ასრულებს ყოველგვარ მხატვრულ დაკვეთას. აქტიორის მოძრაობას გაჯანსაღება, მისი სისტემის სწორი ორგანიზაცია—ერთ-ერთი მომენტია სცენიურ გამოსახულებათა მეთოდოლოგიის. მაგრამ აქტიორი ცირკის აკრობატი არ არის, რომ მთელი თავისი მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური მოძრაობით შემოფარგლოს; მას გააჩნია კიდევ ერთი უდიდესი იარაღი—ცოცხალი სიტყვა, რომლითაც ის იმიჯნება კინო-აქტიორისა და ცირკის აკრობატიზმისაგან. მხოლოდ სიტყვაშია მოცემული აქტიორის შემოქმედებითი სიმართლე, მისი შინაგანი დაჯერება; სიტყვითა და ბგერით იმორჩილებს სცენა აუდიტორიას, აქტიორი მაყურებელს: სიტყვაში და ბგერით შესაფერის მონტაჟში მჟღავნდება ის, რასაც სტანისლავსკიმ განცდა უწოდა. ამიტომაც მეიერხოლდის მთელი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი „ბიომექანიკა" ხელოვნურათ დაუპირდაპირა სტანისლავსკის შკოლას, იმ დროს, როდესაც ის ამ შკოლის ბუნებრივი გაგრძელება უნდა ყოფილიყო. ასეთმა დაპირდაპირებამ პრაქტიკაშიც შეიტანა თავისი უარყოფითი შედეგი: პირველი პერიოდი მეიერხოლდის თეატრისა ხასიათდება ცარიელი მოძრაობის ფეტიშიზაციით; შესაძლოა ამას თავისი ობიექტიური გამართლებაც ჰქონდა წმინდა აღმზრდელობითი და სტუდიური თვალსაზრისით: აქტიორები იმორჩილებდნენ თავის სხეულს და მის მოძრაობის მექანიზმს. რასაკვირველია, დღეს მეიერხოლდის თეატრი დაცილებულია ამ პერიოდს, მაგრამ ბიო-მექანიკის გზნებური ბრძოლა, მისი ხელოვნური დაპირდაპირება სტანისლავსკის თეორიასთან, დღესაც—დროგამოშვებით—აჟღავნებს თავის თავს. (მაგალითად: სრულიად გაუმართლებელი, დაუსაბუთებელი და მოულოდნელი ფიზკულტურის დემონსტრაცია მშვენიერათ დადგმულ და [illegible]).



ვს. მეიერხოლდი

ახალი თეატრის ორგანიზაციის საქმეში მეიერხოლდი აქტიორის ტეხნიკის რეფორმით არ დაკმაყოფილდა: მან მოახდინა ძირითადი რეფორმა თვით სცენიური მოედანის. თუ წინათ აღორძინების ეპოქიდან და ფეოდალური არისტოკრატიის ესთეტიური კულტურიდან წარმოშობილ სცენას ახასიათებდა სცენიური სურათის სტატიკა, უმოძრაო რამპა და დეკორატიული ბუტაფორიები, რომ გამოეწვიათ მაყურებელში პასიური რეაქცია და ინტიმური განცდები,—დღეს —თანამედროვე თეატრს, უმთავრესათ მეიერხოლდის თეატრს ახასიათებს დაუნდობელი ბრძოლა მაყურებლის ესთეტიური ძილის წინააღმდეგ, რომ ის (მაყურებელი) გაავსოს ნებითი ენერგიით და მოძრავი ემოციებით. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლო მაყურებლის ფსიხიკის ორგანიზაცია რევოლიუციონური მიმართულებით. მეიერხოლდის ცდებმა ამ მიმართულებით შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. დეკორაციების ნაცვლათ გაჩნდა ჩარჩო (СТАНОК), რამაც საშუალება მისცა მსახიობს გაეშალა თავისი მოძრაობა მრავალფეროვან ხაზებში. რამპა, კულისები, ფარდა და მთელი აპარატი სცენიური სურათისა მოიშალა. „უძრავი თავდაპირველათ ჩარჩო—სწრეს გეოზდევი—მოვიდა მოძრაობაში და მიიღო მონაწილეობა დრამატიულ მოქმედებაში"; გაჩნდა მოძრავი ტროტუარები და მით სცენამ—განთავისუფლებულმა სტატიური დეკორაციებიდან დაიწყო ახალი სიცოცხლე და ახალი არსებობა: ის გახდა საფუძველი აქტიორული თამაშის, აქტიორმა ასეთ პირობებში გაამდიდრა თავისი ხელოვნება ახალი საშუალებებით, მან დაიპყრო ნივთი სცენაზე, მან დაიმორჩილა სინათლეც, უფრო სწორათ სინათლის ეფექტებიც გახდა შემადგენელი ელემენტები სცენიური შემოქმედების, ბგერითი მონტაჟმაც ხელი შეუწყო სცენის ახალ კონსტრუქციას და საერთოთ—არქიტექტორული კონსტრუქციებით, სინათლის ეფექტებით და ბგერების შესაფერისი ორგანიზაციით შექმნა ის ზოგადი ფონი, სადაც აქტიორმა გამოამჟღავნა თავისი ემოციონალური მე და ორგანიულათ გაშალა მექანიზმი თავისი გარეგანი მოძრაობისა.

ასეთია მეიერხოლდის თეატრის მხატვრული სახე.

თავისთავათ ცხადია, მეიერხოლდი ვერ დაკმაყოფილდებოდა მარტო ფორმალური ძიებით. ის წააწყდა დრამატურგიის უდიდეს კრიზისს. ახალი მაყურებელი ობიექტურათ მოითხოვდა სოციალურ დრამას და საბჭოთა კომედიას. ასეთი რამ კი არ მოიპოვებოდა. ამიტომაც დრამატურგიული შემოქმედება დაიწყო თვით მეიერხოლდმა თავისი სათეატრო ხელოვნების ახალი საშუალებებით. ის სცვლიდა ტექსტს და ამდიდრებდა მას თანამედროვე მომენტებით.

მეიერხოლდის თეატრი შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ თანამედროვე თეატრათ: „ღრიალე ჩინეთო"-ს დადგმამ მსოფლიო პოლიტიკური რეზონანსი მოუპოვა ამ თეატრს.

ხოლო ჯონ-რიდის „ათი დღე ,რომელმაც შეარყია ქვეყანა"-ს მზადება მეიერხოლდის თეატრში ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ ორგანიულ კავშირს, რომელიც არსებობს მეიერხოლდის თეატრსა და რევოლიუციონურ თანადროულობას შორის.

ზ. დუდუჩავა.

მუშათა ცხოვრება

გავაცხოველოთ საკლუბო მუშაობა

კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ცენტრი თანდათან მუშათა კლუბებში გადადის. სწორედ ეს გვავალებს, რომ მუშათა კლუბები სათანადოდ მოვაწყოთ, კლუბების მუშაობა ისე დავაყენოთ, რომ მუშების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ჩავაბათ ამ მუშაობაში. ამ მხრით საჭიროა მუშაობის გაცხოველება არა მარტო აქ, თბილისში, არამედ პროვინციებშიც. ჩვენ მაზრებში საკლუბო მუშაობა ერთობ მოიკოჭლებს. იქ საკლუბო მუშაობის ხასიათი ზოგან ჯერ გამორკვეული არ არის, არ იციან რა უნდა აკეთოს კლუბმა, რას უნდა მიაქციოს ყურადღება, რა მიმართულებით უნდა აწარმოონ მუშაობა, ზოგ ადგილას კლუბი მხოლოდ საერთო კრებების გასამართავ ადგილად მიაჩნიათ. ეს დიდი ნაკლულევანებაა ჩვენს მუშაობაში. საჭიროა თავის დროზე იქნეს მიღებული ზომები მაზრებში საკლუბო მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ცენტრმა მეტი ცოცხალი კავშირი უნდა იქონიოს ადგილებთან, გააძლიეროს ხელმძღვანელობა. მარტო ცირკულიარებით და სამუშაო გეგმის გაგზავნით არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რა აბრკოლებს ჩვენში საერთოდ საკლუბო მუშაობას? პირველ ყოვლისა აღსანიშნავია შესაფერი შენობების უქონლობა. ამაზეა ლაპარაკი აქ, თბილისში, ამაზე გაიძახიან მაზრებშიაც. ეს უსათუოდ სიმართლეა. მუშათა კლუბებს, უმთავრესად მაზრებში, ძლიერ შევიწროებული ბინები უკავია. ასეთ კლუბებში კულტურული მუშაობის ფართოთ გაშლა, მუშათა მასების ყველა ფენების ამ მუშაობაში ჩაბმა ყოვლად შეუძლებელი ხდება. შეუძლებელია სხვადასხვა წრეების, გასართობების მოწყობა. კლუბები ისეთ ადგილებზე უნდა ეწყობოდეს, რომელიც უდგება თავისი მდებარეობით მუშებს, მუშათა რაიონებთან ახლოს უნდა იყვეს.

ხშირად კლუბის დარბაზი მთელი დღის განმავლობაში დაკავებული აქვს სხვადასხვა კრებებს, კომისიებს, სხდომებს, რაც ხელს უშლის გამგეობას პირდაპირ საკლუბო მუშაობის წარმოებაში. კლუბებში ხშირად ირღვევა წესრიგი —ესეც რასაკვირველია, ხელს უშლის მუშების შემოკრებას კლუბის გარშემო.

კლუბის მუშაობაში დაცული უნდა იქნეს გეგმიანობა, შემთხვევით მუშაობას ადგილი არ უნდა ექნეს.

კლუბი კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ცენტრად უნდა გადაიქცეს. კლუბში უნდა ისვენებდეს მუშა, კლუბში ის უნდა პოულობდეს გონიერ გასართობ ადგილს. მუშა თავისუფალ დროს სამიკიტნოში კი არ უნდა ატარებდეს, არამედ კლუბში. კლუბმა უნდა შეისწავლოს მუშათა ფართო ფენების მოთხოვნილებები. კლუბმა უნდა იცოდეს რა აინტერესებს მუშას და ამისდა მიხედვით მოაწყოს კედლის მუშაობა.

შემდეგ საჭიროა, რომ კლუბში იდგმებოდეს კარგად მომზადებული თანამედროვე პიესები, კარგი ძალების მონაწილეობით, იმართებოდეს კონცერტები, საოჯახო საღამოები, რომელშიც არა მარტო მუშები, არამედ მათი ოჯახებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ამნაირი გზით ჩვენ შევსძლებთ საკლუბო მუშაობის გამოცოცხლებას. კლუბის გარშემო ყველა მუშების და მათი ოჯახების შემოკრებას. ამით ხელს შევუწყობთ ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცებას.

ძე.

ჩვენი ქარხანა

(აღმასკომის ლუდის სახდელი პირველი ქარხანა)

ჩვენს ქარხანაში ბევრი ახალგაზრდა მუშა მუშაობს. მათ შორის 21 კომკავშირელია. ახალგაზრდები რიგ-რიგობით მუშაობენ ხოლმე ყველა განყოფილებებში საქმის უკეთ შესასწავლად. არის ერთი ახალგაზრდა მუშა, რომელმაც იმუშავა თითქმის ყველა განყოფილებებში. ამ ჟამად ის მუშაობს სამანქანო განყოფილებაში. ქარხანაში გამოდის კედლის გაზეთი „ჩვენი მემარი", რომელშიაც ახალგაზრდობა მხურვალე მონაწილეობას იღებს. საერთოდ ადმინისტრაცია კმაყოფილია ახალგაზრდების მუშაობით. ქარხანაში კარგად არის დაყენებული კულტგანმანათლებელი მუშაობა. კულტკომისია აწყობს ლექციებს სხვადასხვა თემებზე, კინოს და სხ. მუშებსა და ადმინისტრაციას შორის ამხანაგური ურთიერთობაა დამყარებული.

ვ. რ—ი.

ძირს ლოთობა!

ლოთობა რომ ადამიანის მავნებელია, ეს ყველასათვის ცხადია. მიუხედავათ იმისა, რომ ლოთობის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა სწარმოებს, ზოგიერთი მუშები მაინც ლოთობენ და თავის თავს მსხვერპლად სწირავენ. აი მაგალითი:

25 აპრილს, ღამით დაძინებული მთვრალი დილის 5 საათზე გარდაიცვალა.

მოქ. ი. თ—შვილი, რომელიც საუკეთესო მუშაკი იყო 26 აპრილს ამავე მიზეზით გარდაიცვალა.

ეს 2 მაგალითი ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაღრმავების საჭიროების მაჩვენებელია, ჩვენი სადღეისო ლოზუნგი უნდა იყოს:

—„ძირს ლოთობა"!

ვ. თ—შვილი.

დაუღალავი მუშაკი

(ამხ. ს. დოლიძის 40 წლის საზოგადო ასპარეზზე და ა.-კ. რკ. გზებზე მოღვაწეობის გამო)

ძველი მუშა ამხ. სოლ. დოლიძე დაიბადა 1867 წ. ს. გურიაქი, სწავლობდა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ დაასრულა თბილისში რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი. 1887 წ. ერთი წლით იმუშავა ზეისკლათ რკ. გზ. მთავარ სახელოსნოში, 1888 წ. გადავიდა განჯაში მემანქანის თანაშემწეთ, 1901 წელს კი გადმოიყვანეს თბილისში მემანქანეთ, ამ თანამდებობაზე მუშაობს დღესაც.

ამხ. ს. დოლიძე

ამხ. სოლომონი ჯერ კიდევ ტეხნიკურ სასწავლებელში იყო მოწაფეთ, როცა დაიწყო არალეგალურ წრეებში მუშაობა. განჯაში გადასვლისთანავე შეუდგა მის პოლიტიკურ მუშაობას. 1894 წ. ისარგებლა რა ამხ. მიხა ცხაკაიასი შემთხვევით ჩასვლით განჯაში. დაარსა არალეგალური მუშათა ს.-დ. ორგანიზაცია. ის ავრცელებდა, როგორც ლეგალურ აგრეთვე არალეგალურ გაზეთებს და ფურცლებს სადგურ აქსტაფიდან დაწყებული აჯიკაბულამდე.

თბილისში გადმოსვლისთანავე ამხ. სოლომონი ჩაერია საგაფიცვო მუშაობაში. მისი ინიციატივით მოხდა 1905 წ. თბილისის საყუდის მემანქანეთა გაფიცვა აპრილში, შემდეგ ის მეთაურობდა ყველა გაფიცვებს თბილისის სადგურზე.

1905 წ. დეკემბრის საერთო გაფიცვის დროს იყო გაფიცვის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სხდომები იმართებოდა მის ბინაზე. იყო რკ. გზ. საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე, ანუ როგორც მაშინ ეძახდენ, რკ. გზ. უფროსი.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ მას დაუწყეს ძებნა, დაიჭირეს მისი პატარა ძმა თედო, თითონ იმალებოდა სოფ. ხამშში, დათიკო ნახუცრიშვილისას.

1906 წ. პირველ თებერვალს ის იძულებული გახდა წასულიყო საზღვარ გარეთ.

ევროპაში დაჰყო 12 წელიწადი. არც იქ გაუნებებია თავი პარტიულ მუშაობისთვის. შვეიცარიელი ამხანაგები მას კარგათ იცნობენ ბენდუქიძეს, ბენდიანიძეს და დოლიძის გვარათ.

დაბრუნდა საქართველოში 1917 წ. 1924 წ. სხვა ძველ რკინის გზელ მუშებთან ერთად გვერდში ამოუდგა საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას. დღეს მას ჩაბარებული აქვს უფროს მემანქანის თანამდებობა, სადაც დაუღალავათ და ენერგიულად მუშაობს. ის მუშაობს აგრეთვე საზოგადო და პარტიულ ორგანიზაციებშიც, მხურვალე მონაწილეობას ღებულობს, როგორც მუშკორთა წრეში, აგრეთვე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშათა წრეში.

ეხლანდელ საბჭოთა არჩევნებში თბილისის დეპოში სხვა ამხანაგებთან ერთად ის ერთხმად იქნა არჩეული დეპუტატათ.

13 მაისს მას უსრულდება როგორც საზოგადო ასპარეზზე, აგრეთვე ტრანსპორტზე მუშაობის 40 წლის თავი.

სალიანდაგო ორგანოები უკვე შეუდგენ მზადებას პატივსაცემ საღამოს გასამართად.

მუშკორი ძია—ლევანი.

დარბაზი ვიწროა

მუხიანის სადგურის შენობა მეტის მეტად ძლიერ ვიწროა. ის შესდგება სამორიგეო ოთახისაგან და პატარა ზალისაგან, რომელიც ათ მგზავრსაც ვერ იტევს. ამის გამო შევიწროვებულია მგზავრები. თუმცა შარშან მოიტანეს ქვები სადგურის ზალის გასადიდებლად, მაგრამ ვინაიდან, როგორც ვიცით, ქვები თავის-თავად არ ეწყობიან ერთი-მეორეზე შენობის კედლებათ, ხოლო მათი გამომყენებელი კი არავინ არის, ზალაც გაუფართოვებელი რჩება.

ამ სადგურის წინ იყო საჯდომი სკამები, ის სკამებიც დაიმსხვრა, ხოლო მაგიერს არავინ აკეთებს... ამრიგად მუხიანის სადგურის დარბაზში არ შეისვლება და გარედ დასაჯდომი სკამებიც არ არის. ,

რას იტყვის ამის შესახებ დაინტერესებული ორგანო?

ი. ფუთურიძე.

სამჭედლოში

არის გუგუნი, ცეცხლის ბრიალი,
ხურდება რკინა, ლბება ქურებში,
აგერ მჭედელი ნაჭერს მიათრევს,
მარწუხს უჭერს მაგრა ყურებში.
[illegible] თვით სამჭედლოში
სიცივისაგან ცახცახ-კანკალებს,
აქ ოფლის ღვარში სცურავს მშრომელი,
გახურებული რკინა ვარვარებს,
გამალებული ბრძოლაა ცეცხლთან,
ჩაქუჩი რკინას სჭრის, არ ასვენებს,
და ოფლი მუშის, მკერდზე ნაღვარი,
გახურებული მიწას ასველებს.
მუშა რკინების ნაჭერ-ნაგლეჯებს,
გადაადუღებს, მოხარშავს ცეცხლში,
გრდემლზე შეაგდებს, ჩაქუჩს დაუშენს,
და ათამაშებს მარწუხით ხელში.
არის გუგუნი, ცეცხლის ბრიალი,
ხურდება რკინა, ლბება ქურებში,
მჭედელი ჩაქუჩს დააგრიალებს
და დაგა-დუგი გააქვს ყურებში.

ვ. სალუქვაძე.

იმედი გამართლდა

ვასო ლაშქარაშვილი სპეციალობით ზეინკალია. მან 20 წელი იმუშავა „სტალინის" სახელობის რკ. გზ. მთავარ სახელოსნოში.

დამზღვევ ორგანოების ფინანსიურ პირობების კრიტიკულ მომენტში ამხ. ლაშქარაშვილი წამოყენებული იყო რკინის გზის საუბნო დამზღვევ სალაროს თბილისის კვანძის გამგის თანამდებობაზე. მას შემდეგ ოთხი წელია. უცვლელად ხელმძღვანელობს ის დამზღვევ სალაროს. ამ პერიოდში დამზღვევ სალაროს მიღწევები დიდია.

ის „ვოლოკიტა" და „ბიუროკრატიზმი", რომელიც გამჯდარი იყო დამზღვევ სალაროში, დღეს თითქმის სრულებით აღმოფხვრილია.

პენსიონერს ყოველ წუთში აქვს საშუალება ინახულოს ამხ. ლაშქარაშვილი. ამხანაგური მოპყრობით მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა მუშა-მოსამსახურეთა შორის.

ამხ. ვ. ლაშქარიშვილი

მუდმივი დახმარების გაცემის სისტემის რაციონალიზაციის შემოღებით, მან ძალიან გააადვილა ასეთის მიღება, ამ ჟამად მუდმივი დახმარების გაცემა მთელი დღის განმავლობაში სწარმოებს. გაუმჯობესდა დახმარება ხაზისადმი. ხაზს ემსახურება ამ საქმისადმი სპეციალურად გამოყოფილი თანამშრომელი. დახმარების გაცემა მთავარ სახელოსნოში სწარმოებს ადგილობრივ.

მუშკორების წერილებს ამხ. ლაშქარაშვილი დიდ ყურადღებას აქცევს,არც ერთი წერილი დამზღვევ სალაროს ამა თუ იმ ნაკლზე არ რჩება გამოურკვევლად. ამხ. ლაშქარაშვილმა გაამართლა მასზე დამყარებული იმედები.

ა. სტრიშკო.

მუშათა ქრონიკა

— **საექსკურსიო კურსების მოწყობა.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ მიზანშეწონილად სცნო ახლო მომავალში მოაწყოს ექსკურსიის ხელმძღვანელთა მოკლე-ვადიანი მოსამზადებელი კურსები.

— **კოლექტივის დაარსება.** ხეზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ განიზრახა ახლო მომავალში ხეზე მომუშავეთა კავშირის ც. გ. უმუშევარ წევრებისათვის დაარსოს შრომის კოლექტივი.

— **ექსკურსიის ხელმძღვანელთა თათბირი.** დღეს, კვირას, 8 მაისს, დილის სრულ 11 საათზე, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგება ექსკურსიის ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგში სდგას: 1. პროფკავშირების საზაფხულო საექსკურსიო მუშაობის გეგმა 1927 წლისათვის, 2. ექსკურსიის ხელმძღვანელთა მოსამზადებელი კურსების პროგრამის დამტკიცება და 3. ექსკურსიის ხელმძღვანელთა სიის დამტკიცება.

შრომის დაცვის განყოფილებების გამგეთა თათბირი

უკანასკნელი სხდომა

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები შრომის დაცვაზე აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობაში, სპეც-ტანისამოსის ნორმებზე და შრომის ინსპექციის მუშაობაზე დამქირავებლების პასუხისგებაში მიცემის დარგში.

როგორც მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა შრომის დაცვის სოფლის მეურნეობაში არა თუ სუსტად ტარდება არამედ ხშირად მას სრულიად არა აქვს ადგილი.ამიტომ თათბირი მიღებულ რეზოლიუციაში საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის შრომის კომისარიატების შრომის დაცვის განყოფილებების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საჭიროა მუშაობის გაძლიერება სასოფლო სამეურნეო და სატყეო მუშაკების შრომის დასაცავად.

პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს მსხვილ საბჭოთა კოოპერატიულ და კერძო მეურნეობებს. საჭიროა აგრეთვე მეთვალყურეობა შრომის დაცვაზე საგლეხო მეურნეობაში; ეს მუშაობა უნდა დაეკისროს სოფლის საბჭოებს და სათემო აღმასკომს.

რაც შეეხება სპეცტანისამოსის ნორმებს, თათბირმა საჭიროდ სცნო სპეცტანისამოსის ნორმების გადასინჯვა, რომლის დროსაც მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ცალკე წარმოებების და პროფესიების მავნებლობა და საშიშროება. პირველ რიგში სპეცტანისამოსის ნორმები გადასინჯული უნდა იქნეს სამთო, ვისათვის პასუხისგებაში მიცემის შესახებ თალითონის და ქიმიურ მრეწველობაში.

დამქირავებლის შრომის კანონების დარღვეთბირმა დაავალა ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს წინადადება მისცეს აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატებს დაჩქარებით იქნეს მოწესრიგებული კავშირი ადმინისტრატიულ და სამოსამართლო ორგანოებთან და აღრიცხული იქნეს იმ საქმეების შედეგები რომლებიც მათ გადაეცათ განსახილველად. ამასთანავე, თათბირმა საჭიროდ სცნო გაძლიერებულ იქნეს დამქირავებლების პასუხისგებაში მიცემა სანიტარიის და უშიშროების ტეხნიკის წესების ელემენტარულ დარღვევისათვის.

შრომის ინსპექციის გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის მიზნით, თათბირმა დაადგინა მიმდინარე წლის შემოდგომაზე ბაქოში მოიწვიოს თათბირი ინსპექციის საკითხების განსახილველად.

უფასო ბილეთები მუშებს

ამას წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან შემდგარ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირმა გამოიტანა დადგენილება: ა.-კ. პროფსაბჭოს საზაფხულო ექსკურსიების ჩასატარებლად გადაეცეს 7.500 რკინისგზის ბილეთი.

ეს ბილეთები ა.-კ. პროფსაბჭომ გაანაწილა შემდეგნაირად:

საქ. პროფკავშირთა საბჭოს—5.000 ბმლ., აზერბეიჯანის—1.000 ბ. და სომხეთის—1.500 ბ.

სტუდენტები პრაქტიკაზე

როგორც შარშან, ისე მიმდინარე წლის ზაფხულზე უმაღლეს სასწავლებლების სპეციალური დარგების სტუდენტები იგზავნებიან წარმოებითი ხასიათის პრაქტიკულ სამუშაოებზე. თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გამგეობამ უკვე მოახდინა პოლიტეხნიკუმის სტუდენტების შორის იმ ადგილების განაწილება, რომელიც მას დათმობილი აქვს, როგორც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში. წელს პრაქტიკულ სამუშაოებზე გაგზავნილი იქნება სულ 600 სტუდენტი. მუშაობისათვის პრაქტიკანტები მიიღებენ ნორმალურ ხელფასს. პრაქტიკული მუშაობა გაგრძელდება დაახლოებით 3—4 თვეს. ნაწილი სტუდენტობისა ამ ზაფხულზე მიემგზავრება ურალის სატყეო აგარაკებში მეტყეობის შესასწავლად, ჩაქვში სუბტროპიკულ მცენარეთა კულტურის პრაქტიკულ შესწავლის მიზნით, და როსტოვის რაიონში—პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად მელიორაციის დარგში.

„საქართველოს მარგანეცი"

მშენებელთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მიიღო ცნობა კავშირის ჭიათურის განყოფილებიდან, რომ საკონცესიო მრეწველობაში ჩაბმულ მშენებელ მუშებს ადმინისტრაცია უკლებს სტარიფო კატეგორიებს და ამავე დროს სტოვებს პირველი ხარისხის ძველ განაკვეთებს.

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მისწერა საზოგადოებას „საქართველოს მარგანეცს", რომ კავშირი არ დაუშვებს ფაქტიური ხელფასის შემცირებას, რა ფორმითაც არ უნდა ტარდებოდეს ის,

შრომის პირობები

თამბაქოს ტრესტში

ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილების შუამდგომლობის თანახმად შრ. სახ. კომ. შრომის დაცვის განყოფილებამ მოახდინა თამბაქოს ტრესტის ფაბრიკებში საგილზე მანქანებზე მომუშავე ქალების შრომის პირობების გამოკვლევა. გამოკვლევის ჩასატარებლათ გაგზავნილ იქნა შრომის დაცვის განყოფილების ლაბორატორიის კონსულტანტი, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ რამდენათ შეეფერება შრომის დაცვის პირობებს თითო საგილზე მანქანაზე თითო მუშა-ქალის მუშაობა.

გამოკვლევის ჩატარების შემდეგ კონსულტანტმა დაადასტურა, რომ საგილზე მანქანაზე ერთი მუშა-ქალის მიჩენა ვერ იძლევა უკანასკნელისათვის შესაფერის დატვირთვას და შესაძლებელია, რომ ყოველ ორ ასეთ მანქანასთან დაყენებულ იქნეს ერთი მეთვალყურე-მუშა.

ამის გამო შრომის ეკონომიკის განყოფილებამ წინადადება მისცა თამბაქოს ტრესტს მიიღოს სასწრაფო ზომები აღნიშნულ ზომის ცხოვრებაში გასატარებლათ. მთელი მუშაობის ჩატარება განზრახულია დასრულდეს ერთი კვირის განმავლობაში, რითაც საგრძნობლათ შემცირდება ზედმეტი მუშა-ხელის დაქირავებით გამოწვეული ხარჯები.

საგურამოს აუზი

ამ ორი თვის წინეთ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელობით დაწყებულ იქნა საგურამოში მდებარე ბაღების მოსარწყავი სამუშაოები. მოსარწყავი სამუშაოების ხელმძღვანელობა მიენდო ინჟ. ჯაფარიძეს, რომელიც დაჩქარებით შეუდგა მუშაობას.

ამჟამად წყალთა მეურნეობის სამმართველოში მოსული ცნობებით, მთელი მოსარწყავი სამუშაოები თითქმის სავსებითაა დამთავრებული. გაკეთებულია დიდი აუზი, რომელშიაც დაგროვდება 50 ათასი ვედრო წყალი. აღნიშნული აუზი ივსება მთის ხევებიდან გადმონადენი მდინარეებით, რომლებიც ხშირად შრებიან ზაფხულის განმავლობაში.

მომავალი ზაფხულიდან, მოხსენებული აუზის წყლის მარაგით მოირწყვება 70 დესეტინა სივრცის მიწები.

საგურამოს სარწყავი არხის გახსნა შესდგება მომავალ კვირაში.

დროებითი მომუშავეები

ამიერ-კავკასიის ცაკმა შეიმუშავა დებულება დროებითი მუშა-მოსამსახურეების შესახებ.

ახალი დებულებით დროებით მომუშავეებათ ითვლებიან ისინი, ვინც დაქირავებულია ორ თვეზე არა უმეტესი დროით. დროებით მომუშავეების დათხოვნის დროს არ არის სავალდებულო საკითხის გარჩევა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში. მომუშავემ უკანონო დათხოვნა შეიძლება გაასაჩივროს, მაგრამ არა უგვიანეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან დათხოვნისა.

შტატების შემცირების და სამუშაოს შეჩერების გამო დასათხოვნი მომუშავეები გაფრთხილებული უნდა იქნეს სამი დღით ადრე, ანდა უნდა მიეცეთ დახმარება სამი დღის ხელფასის რაოდენობით. დანარჩენ შემთხვევებში გაფრთხილება და დახმარების მიცემა არ არის სავალდებულო.

საჩივარი ანგარიშის არა სწორი მიღების შესახებ დროებით მომუშავის მიერ უნდა იქნეს აღძრული ერთი თვის განმავლობაში. შემდეგ საჩივარი არ იქნება დაკმაყოფილებული.

დროებით მომუშავე, რომელიც ექვს დღეზე ნაკლებს მუშაობს, კვირა-უქმე დღეებში მუშაობისათვის იღებს არა ორმაგ ხელფასს, არამედ ჩვეულებრივს.

შვებულება და კომპენსაცია დროებით მომუშავეს კანონით არ ერგება. დროებით მომუშავეების სოციალური დაზღვევა ხდება სპეციალური წესით.

დროებით მომუშავეთ არ ითვლება ისეთი პირი, რომელიც დათხოვის შემდეგ ხელახლა ბრუნდება ამავე წარმოებაში ერთი კვირის განმავლობაში.

დახმარება უმწეო ბავშვებს

საქართველოს ცაკთან არსებულ უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიაში მიმდინარე წლის აპრილში აღრიცხვაზე იქნა აყვანილი 134 უპატრონო და ნახევრად უპატრონო ბავშვი. აქედან 29 ბავში გაიგზავნა სამშობლოში, მათ შორის რუსი—18, ქართველი—6, სომეხი—3, ებრაელი—1 და ოსი—1.

უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის 4 აპრილის დადგენილების თანახმად, დახმარება მიეცა 23 ბავშს, აქედან ქართველი—10, რუსი—10, მუსლიმანი—2 და სომეხი—1.

კომისიას ჰყავდა 22 სტიპენდიანტი. 45 უპატრონო ბავში კომისიამ გაგზავნა სასწავლებლად შრომის სკოლაში. ამას გარდა მცხეთის საბავშო კოლონიაში გაიგზავნა სამუშაოდ 2 მოზარდი, კოლექტორში გაიგზავნა 8 ობოლი გლეხი-ბავში და ამბულატორიაში საექიმოდ—5 ბავში.

აპრილის განმავლობაში კომისიის მიერ გაცემული იქნა ბავშვების სამშობლოში გასაგზავნად—87 მან. 78 კაპ., დახმარების სახით—291 მანეთი, სტიპენდიანტებს მიეცა 232 მანეთი და 102 შრომის სკოლას—150 მანეთი; სულ დაიხარჯა 762 მანეთი 78 კაპ.

კომისიამ თბილისის ელექტრო-სადგურების მომწესრიგებელ სამმართველოს უჯრედისაგან მიიღო 60 მანეთი, რომელიც უჯრედმა ამხ. ლადო ქავთარაძის კლუბის გვირგვინით შემკობის მაგიერად გადასდო უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ.

რიონის ელსადგური

თათბირი ს. მ. უ. საბჭოში

გუშინ დილით ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძეს კაბინეტში შესდგა მოსკოვიდან ჩამოსულ საექსპერტო კომისიის თათბირი, რომელსაც დაესწრო პროფ. ვასილიევი, პროფ. გლუშკოვი, პროფ. კნორე, პროფ. რიზინი, პროფ. ზავალიშინი და რიონის ჰიდროსადგურის პროექტის მეორე ვარიანტის ავტორი ინჟ. მელიქ-ფაშაევი, ინჟ. ფაჩაძე და ს. მ. უ. ს. სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირს ჰქონდა საინფორმაციო ხასიათი. სხდომაზე კომისიის წევრები გაეცნენ რიონის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ წინასწარ ჩატარებულ სამუშაოების მდგომარეობას.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ სხდომას აცნობა საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერშია მოყვანილი.

ხვალამ შესდგა კომისიის მეორე სხდომა, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა კომისიის შემდეგი საქმიანობის პროგრამა.

ახალი არტელები

ს. მ. უ. ს. შინამრეწველობის განყოფილებამ დაამტკიცა შემდეგი ახალი არტელების წესდებები:

სამრეწველო კოოპერატიული ამხანაგობა „კარტონაჟი", რომელიც დაამზადებს კარტონის ნაწარმოებებს.

ტვირთ-მზიდავ შოფერების კოოპერატიული არტელი „ავტოტრანსპორტი", რომელიც აწარმოებს სხვადასხვა ტვირთების გადაზიდვას და ნაწლავების გადამამუშავებელი არტელი „ქირიხი".

საქართველოს ცაკში

ამხ. ქ. ხომერიკის გამგზავრება

ჩოხატის სახალხო სახლის გახსნაზე დასასწრებლად, გუშინ, 7 მაისს, ოზურგეთის მაზრაში გაემგზავრა საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგე, ცაკის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ქ. ხომერიკი.

ინსტრუქტორების გაგზავნა

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ გლეხკომების მუშაობის გასაცხოველებლად, გუშინ, 7 მაისს, შორაპნის მაზრაში გააგზავნა ორი ინსტრუქტორი.

გაცემული დახმარების რაოდენობა

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: შორაპნის მაზრაში გლეხთა ურთიერთ - დამხმარე საზოგადოებებმა (გლეხკომებმა) უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ინვალიდებს, ქვრივებს, ობლებს და ღარიბ გლეხებს დახმარების სახით დაურიგა ფულათ 1.000 მანეთი და 33 კაპიკი.

სასოფლო - სამეურნეო მუზეუმი

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით — ახალქალაქის გლეხის სახლთან მოაწყვეს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი.

ინვალიდთა ნადები

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების ცნობით, ამჟამად საქართველოში მოწყობილია სულ 21 ინვალიდების ნადი. ამ ნადებში 497 კაცია გაერთიანებული. ყველა ამ 21 ნადს საკუთრათ აქვს 42.307 მანეთი და 47 კაპ. ამ ნადების ყოველთვიური ბრუნვა უდრის — 229.980 მანეთს და 17 კაპიკს.

რკინის გზებზე

მატარებლების მიმოსვლის ახალი ცხრილი დამატებითი მატარებლები.—სახალხო მატარებლების მოძრაობის გაძლიერება—პირდაპირი მიმოსვლა პოლონეთამდე

საბჭოთა კავშირის ყველა რკინის გზებზე 15 მაისიდან სახალხო მატარებლების მიმოსვლა აწარმოებს ახალი ცხრილის მიხედვით. ახალი ცხრილი თვალსაჩინოდ აუმჯობესებს და აფართოებს მატარებლების მოძრაობას და ქმნის უკეთეს კავშირს ცენტრისას, პერიფერიისას და საზღვარ-გარეთისას ამიერ-კავკასიის კურორტებთან.

მოძრაობა ა.-კ. რკ. გზებზე საგრძნობლად დიდდება, რადგან წესდება ახალი მატარებლები და ცალკე პირდაპირი რონოდები.

მოსკოვ-თბილისის შორის მოძრავ მატარებლების გარდა წესდება კიდევ ერთი წყვილი დაჩქარებული მატარებელი № 7/8, რომლის შემადგენლობაშიც იქნება ჩართული პირდაპირი რონოდები: მოსკოვ—ერევნის, სვერდლოვსკ—თბილისის და კიევ—თბილისის შუა. ეს მატარებელი დროებით ივლის ოთხჯერ კვირაში; შემდეგ კი მატარებელი ივლის ყოველდღიურად.

დაწესებულია აგრეთვე ახალი მატარებელი № 5/6 კიევ—ბაქოს შუა, რომელიც ივლის ყოველდღე. იგი ივლის ორი მიმართულებით პოლტავით და ზნამენკით—თეირანში შესვლით. ამ მატარებელში შედიან პირდაპირი რონოდები: როსტოვ—ბათომის, ოდესა—ბაქოს, ეკატერინოსლავ—ბაქოსა და თბილისი—შეპეტოვკის (პოლონეთის საზღვარზეა) შორის. უკანასკნელი რონოდის მოძრაობა შეთანხმებულ იქნება ვარშავა—პოზნანის და ბერლინში მიმავალ მატარებლების მოძრაობასთან.

უქმე დღეებში კახეთის ხაზზე ივლის კიდევ ერთი წყვილი დამატებითი მატარებელი.

თბილის—მცხეთის შუა მოძრავ მატარებლების რიცხვი დიდდება აგრეთვე ერთი წყვილი მატარებლით.

ჩქარი მატარებლები—თბილის—ლენინგრადის და თბილის მოსკოვისა უცვლელად რჩება. ისინი თბილისიდან გავლენ კვირაში სამჯერ, ოთხშაბათობით, შაბათობით და კვირაობით.

ადგილობრივად მოძრავ მატარებლების შემადგენლობებში ჩართული იქნება პირდაპირი რონოდები, რომლებიც ივლიან: ჯულფა—ბაქოს, ოზურგეთ—თბილისის, ბათომ—ბორჯომის, ქუთაის—ბორჯომის, ფოთი—სურამის და ბაქო—ბორჯომის შორის.

ასეთივე რონოდები ჩართული იქნება პირდაპირ მოძრავ მატარებლებში: ლენინგრად—მოსკოვ—ბორჯომ და ბათომის შუა.

თბილის—ბათომის და თბილის—ქუთაისის შუა შემოღებული იქნება კიდევ თითო წყვილი მატარებელი. კახეთის ხაზზე დამატებით დანიშნული ერთი წყვილი მატარებელი, რომელიც 15 მაისიდან ივლის უქმე დღეებში—გადაკეთდება ყოველდღიურად. აგრეთვე ერთი წყვილი მატარებელი დაინიშნება დამატებით მცხეთა—თბილისის უბანზე. თბილის—ბორჯომის შუა ივლის სამი წყვილი მატარებელი—დიდი შემადგენლობით, რომელთაც ამოძრავებს მძლავრის სერიის ორთქლმავლები.

ყველა საგარეკო მატარებლები იმოძრავებს გადიდებული შემადგენლობით და მძლავრი ორთქლმავლებით. ასეთი ორთქლმავლები უკვე მიღებულია ცენტრიდან.

ადგილები ქალებისათვის

ა.-კ. რკ. გზებზე გაცემულ ბრძანებით, ყველა სახალხო მატარებლებში, გარდა ქალაქის ახლო მმოძრავ მატარებლებისა, სპეციალურად ქალებისათვის უნდა გამოიყონ აუცილებლად ადგილები.

ამ მიზნით რბილ რონოდებში ქალებს ეთმობათ თითო ადგილი, ხოლო მაგარ რონოდებში მთელი რონოდების ერთი-მესამედი.

ბილეთების შეძენის დროს, მოლარეები ვალდებულნი არიან შესთავაზონ ქალებს ადგილები რონოდების ქალთა განყოფილებებში. მატარებლების ბრიგადებმა ქალებისათვის მიჩნეული ადგილები უნდა გამოიყენონ დანიშნულებისამებრ.

არასწორი ცნობებისათვის

ბევრ სადგურებში მგზავრებს ძალიან ხშირად არ შეუძლიათ მიიღონ საჭირო ცნობები. აქვს ადგილი შემთხვევას, როდესაც მათ აძლევენ არასწორ ცნობებს.

ასეთი არანორმალობის წინაალმდეგ ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა ენერგიულ ზომებს ღებულობს დახლის ცნობების მიწოდებასთან დაკავშირებულ გზის თანამშრომლებს.

ერთ-ერთი საჩივრიდან გამოირკვა, რომ სადგ. ბაქოს ბილეთის გამყიდველ ქალმა მ. კოზენკომ მისცა მგზავრს არასწორი ცნობა მატარებლის მოსვლის შესახებ.

მგზავრებისადმი ასეთი უყურადღებობისათვის, გზის გამგეობამ კოზენკო დასაჯა ადმინისტრატიული წესით.

ევლახის ხიდი

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს მეთალურგიულ ტრესტმა მიიღო თავის თავზე ევლახის ხიდის ფერმების დამზადება. ფერმების დამზადებას ტრესტი შესძლებს ა. წ. 1 ივლისისათვის.

რკინისგზელები კურორტებზე

ა.-კ. საგზაო დამზღვევ სალარომ შეიმუშავა გეგმა რკინისგზელების გაგზავნის შესახებ დასასვენებელ სახლებში.

საგზაო დამზღვევ სალაროს განზრახული აქვს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დასასვენებელ სახლებში ორ-ორი კვირით 1.200 რკინისგზელის გაგზავნა.

მათგან 160 კაცი გაიგზავნება ბორჯომის დასასვენებელ სახლშივადა ერთი თვე.

ქობულეთის დასასვენებელ სახლში აღებულია 5 ადგილი; მთელ სეზონში იქ გაიგზავნება 40 რკინისგზელი; სურამში—10 ადგილი, გაიგზავნება 80 რკინისგზელი, ხოლო დანარჩენი რაოდენობა (920 კაცი) დაისვენებს წაღვერში.

ამასთანავე, საქართველოს პროფსაბჭოსაგან აღებულია შენობა წყალტუბოში. შენობა აღებულია ყოველგვარ მოწყობილობით. აღებულია სულ 30 ადგილი სამი თვით — 1 ივნისიდან.

გარდა საქართველოს აგარაკებისა. რკინისგზელები დაისვენებენ აზერბეიჯანში და სომხეთში.

კარაკლისის სახლში დაისვენებს წელს 130 რკინისგზელი.

ბაქოს კვანძის რკინისგზელები დაისვენებენ საქართველოს პროფსაბჭოს სახლებში.

ქრონიკა

სპეც-ტანისამოსის ნორმების გადასინჯვა

შრომის კომისარიატის ორგანოები ამ ჟამად მუშაობას აწარმოებენ სპეც-ტანისამოსის ნორმების გადასასინჯავად.

ახალი ნორმები მთლიანად აგებული იქნება იმ პრინციპზე, რომ სპეც-ტანსაცმელი მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ არა როგორც საკუთარ ტანისამოსის სამუშაოზე გაცვეთის კომპენსაცია, არამედ როგორც მავნე და საშიშ მუშაობის პირობებში დამცველი.

აქამდი სპეც-ტანსაცმელის ნორმები წესდებოდა უმთავრესად იმ მოსაზრებით, რომ მცირე ხელფასიან მუშებს ერთგვარი მატერიალური დახმარება მიეღოთ. ახალი ნორმები გამომუშავებული იქნება პროფესიონალური ჰიგიენის თვალსაზრისით.

საწყლო სადგური ზაჰესის ტბაზე

საქ. პროფკავშირთა საბჭო შეუდგა სამზადისს საწყლო სადგურის ასაგებად ზაჰესის ტბაზე. უკვე შეძენილია საჭირო ხე-ტყის მასალა, ძრავიანი ნავი და სხვა. სადგურის აგება ხელს შეუწყობს ჩვენში საწყლო სპორტის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

ამხ. ს. ხმალაძის დაბრუნება

მოსკოვიდან დაბრუნდა ალმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების გამგე ამხ. ს. ხმალაძე.

ამხ. ხმალაძე მოსკოვში იყო მივლინებული მილიციის სტრუქტურის გასაცნობად.

ავიაქიმის და წითელი ჯვრის ურთიერთობა

წითელი ჯვრის და ნახევარ მთვარის აღმასრულებელ კომიტეტში განხილულ იქნა საკითხი საკავშირო წითელი ჯვრის, ნახევარ მთვარის და თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოებათა, შორის ურთიერთშორის კავშირის შესახებ.

გამომუშავებულ იქნა ურთიერთობის პროექტი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ორთავე საზოგადოებების სამდივნოებთან.

მოკლე ხანში პროექტს განიხილავენ თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების და საკავშირო წითელ ჯვრების და ნახევარ მთვარის ალმასკომის საბჭოებში.

ბრძოლა სეტყვასთან

სეტყვასთან საბრძოლველი ცდების მოსაწყობად გადადებული თანხა 1.395 მანეთი, ა. კ. სახკომსაბჭომ რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად განაწილა: საქართველოს მიეცა 4.130 მანეთი, აზერბეიჯანს 4.635 მანეთი და სომხეთს 5.200 მანეთი.

თბილისის ალმასკომში

◆ ზაჰესის ქვე-სადგურები. ზაჰესის ოთხივე ქვე-სადგური უკვე ამუშავდა:

◆ საბინაო მშენებ. ცენტ. კომუნალურმა ბანკმა თბილისის ალმასკომს მისცა სესხად 500.000 მანეთი საბინაო მშენებლობისათვის.

◆ წყალსადენის განყოფილებამ გერმანიაში შეიძინა 300000 მანეთის ელექტრო წყალ-საქაჩავები.

◆ სამაგალითო სოფელი. თბილისის ალმასკომს განზრახვა აქვს თბილისის მაზრაში გააშენოს სამაგალითო სოფელი კეთილმოწყობისა და მეურნეობის მხრივ.

◆ წყალსადენი სოფ. სოფ. ზემო თიანეთში წყალსადენის გასაყვანად ალმასკომმა გადასდო 3000 მან.

◆ ქუჩებში სისუფთავის დაცვის მიზნით მთავარ ქუჩებში ამ დღეებში დაიდგმება საფურთხებელი ყუთები.

ცენტრ. სტატისტ. სამმართველოში

◆ განათლების მუშაკთა ბიუჯეტის გამოკვლევა. საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო შეუდგა განათლების მუშაკთა ბიუჯეტის შერჩევით გამოკვლევას.

◆ სოციალური აღზრდების შრომის სკოლების ბიუჯეტი. საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო ამჟამად აწარმოებს სოციალურ აღზრდის შრომის სკოლების ბიუჯეტის შერჩევითი გამოკვლევას. გამოკვლევა სწარმოებს საკავშირო პროგრამით.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ საბინაო დაწესებულებებს შრომის სახალხო კომისარიატმა მისცა უფლება მუშაობა დაიწყონ ცხრა საათზე და დაამთავრონ 3 ნახ. საათზე.

◆ ბინები მუშებისათვის. შრომის კომისარიატმა ტყიბულში მიავლინა ინჟ. მანევსკი ტყიბულის მაღაროს მუშებისათვის ასაგებ სახლების ადგილ-მდებარეობის გამოსარჩევად.

სხვადასხვა

◆ კონფერენცია. ორი მაისის ბოლო რიცხვებში თბილისში შესდგება უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოების კონფერენცია.

◆ ექსკურსიები. კვირას თბილისიდან ზაჰესში მიემგზავრება მუშა-მოსამსახურეთა და მოწაფეთა ექსკურსიები.

◆ ექსკურსიები. განათლების მუშათა კავშირი მიმდინარე ზაფხულში აწყობს ექსკურსიებს მოსკოვსა და ლენინგრადში. ჩაწერა შეიძლება განათლების მუშაკთა სახლში.

ჩაუბარებელი დეპეშები

ცხინვალიდან—ხიმშიევს, ზესტაფონიდან—კაკაურიძეს, სმოლენსკიდან—იგოვსკის, დიდჯიხაიშიდან—ქობულიას, ხასავიურტიდან—ახმედ-ხანოვს, ბეჩოდან—მარგიანს, ხარკოვიდან—ტყეშელაშვილს, ახალციხიდან—კაჟიანს, ლანირიდან—კიკალიშვილს, მოსკოვიდან—დუმჩენკოს, ხონიდან—გიორხელიძეს, კრასნოკოკშაისკიდან—ანანოვს.

შემთხვევები

თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინ, მოქ. გრიგოლ კალატოზოვმა (თამბაქოს ტრესტის თანამშრომელი) „ნაგანის" რევოლვერით, თავის ძმის ბინაზე (საბჭოს ქუჩა № 51), თვითმკვლელობის მიზნით მძიმედ დაიჭრა თავი.

მოკვლის განზრახვის მიზეზი—ხანგრძლივი ავადმყოფობა.

თავის მოწამვლა

გუშინ, იოდის ხსნარით თავი მოიწამლა ვარვარა ვახტანგიშვილმა (მალაკნის ქუჩა № 14).

ვახტანგიშვილი სიკვდილს გადარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

საროსკიპოს აღმოჩენა

სისხლის სამართლის მილიციამ განოვის ქუჩაზე №3ში, აღმოაჩინა საროსკიპო სახლი.

საროსკიპოს პატრონი 60 წლის ხოფით აბრამოვა პასუხისგებაშია მიცემული.

◆ ეტლის ქვეშ. აბანოს ქუჩაზე 6 მაისს მიმავალი ეტლი დაეჯახა მცირეწლოვან აბას კული-ოღლის და მძიმედ დააშავა. მეეტლე, ანდრიასოვი დაპატიმრებულია.

◆ ღიათ დატოვებულ ფანჯრიდან გადასვლის საშუალებით 6 მაისს გრიბოედოვის ქ. № 2 გაქურდეს მარგარიტა გალიცინას ბინა. წაღებულია 100 მან. ნივთები.

◆ ბაზარში მიხანა ბგაფილის ასულ კრიხულს ჯიბიდან ამოაცალეს 130 მანეთი.

◆ სომხის ბაზრის კუთხეში ახლად აშენებულ თბ. ალმასკომის შენობიდან დურგალს ზეგლარ კაზაროვს მოპარეს 70 მანეთის სხვადასხვა ხელსაწყოები.

◆ კარებზე ბოქლომის აგლეჯის საშუალებით 6 მაისს პლეხანოვის გამზირი № 122 ნიკოლოზ ჯმუხაძის ბინიდან მოიპარეს 300 მანეთის ნივთები.

◆ გვამის აღმოჩენა. 6 მაისს დიდუბის მიდამოებში რკინის გზის სათადარიგო ხაზზე ერთ-ერთ ძველ წაქცეულ ცისტერნში აღმოჩენილი იქნა უცნობი მამაკაცის გვამი.

◆ გერმანელთა ახალშენში მდებარე მუშაკოოპის მაღაზიის კედლებში 7 მაისს დილით აღმოჩენილი იქნა კედლის შენგრევა. როგორც ირკვევა ბოროტმოქმედებს ნდომებიათ მაღაზიის გაქურდვა, მაგრამ ველარ მოუსწრიათ.

◆ მანგლისში 6 მაისს გაქურდეს კოოპერატივი, საიდანაც წაიღეს 500 მ. ნივთები. ქურდები. ივანე ბულუტოვი, ივანე კრიასოვი და ივანე ლივიაროვი დაპატიმრებული არიან.

მედიცინის მუშაკთა წრე

სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ჰიგიენის კათედრასთან მოეწყო საექიმო დარგის აქტიურ მუშაკთა—ექიმების და მედიკ-სტუდენტების წრე, რომელიც მიზნათ ისახავს საბჭოთა მედიცინის ყოველმხრივ შესწავლას. პირველ რიგში ახლად მოწყობილ წრეს განზრახვა აქვს ხელი მოჰკიდოს პროფილაქტიკის, დისპანსერიზაციის საკითხებს, სოციალური და პროფესიონალური დაავადების, აღზრდის, ჰიგიენის, ფიზკულტურის, სამხედრო ჰიგიენის, სტატისტიკური მეთოდოლოგიის და საერთოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საკითხების შესწავლას, წრეში სამუშაოდ ჩაწერილი არიან პროფესორები, ექიმები და მედიკო-სტუდენტობა. პერიოდულად საექიმო დარგის მუშაკთა ახალი წრე მოიწვევს კონფერენციებს.

პედაგოგიური კაბინეტები

თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილებამ მოაწყო რამოდენიმე სპეციალური პედაგოგიური კაბინეტი, რომელთა დანიშნულებას შეადგენს სახალხო განათლების სხვადასხვა საკითხების დამუშავება. ამ უკანასკნელ ხანებში პედაგოგიური კაბინეტები ამუშავებენ საკითხებს სახალხო მასწავლებლების გადამზადების შესახებ. ჯერ-ჯერობით მუშაობენ შემდეგი პედაგოგიური კაბინეტები: ქართული ენის და სიტყვიერების პედაგოგიური კაბინეტი, რუსული ენის და სიტყვიერების, საზოგადოებათამეცნიერების, ბუნებისმეტყველების და სხვა.

ქართული ენის კაბინეტი ამჟამად მუშაობს ქართული პრაქტიკული გრამატიკის დამუშავების საკითხებზე. ყველა კაბინეტები აღჭურვილი არიან სათანადო მასალით და ლიტერატურით.

სასამართლო

მძარცველების გასამართლება

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, გაირჩა ვასილ კვესელიძის, ისაკი მერეკლიშვილის და ნიკა ვათაგანაშვილი საქმე.

ბრალს სდებდა პროკურორი ლ. კუპრაშვილი, ბრალდებულებს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი ი. ბარათაშვილი.

გასულ წლის 28 ნოემბერს, ბრალდებულნი წინასწარი შეთანხმებით თავს დაესხნენ მოქ. ნ. ლეონტიევს და სიკვდილის მუქარით წაართვეს მას 900 მანეთის ნივთები.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს.

სასამართლოში არც ერთმა ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ კვესელიძე, ვათაგანაშვილი და მერეკლიშვილი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მათ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა თითოეულს.

ცოლის მკვლელი

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. სიჭინავას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: კანდელაკის და კულუმბეკოვის და პროკურორ გაბუნიას მონაწილეობით გაირჩა ვ. ივანოვის საქმე.

ივანოვს ბრალდებოდა ცოლის მოკვლა წინასწარი განზრახვით.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ივანოვმა მკვლელობა ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს, რისთვისაც მიუსაჯა მას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

საჩივარი მკვლელობის გარშემო

როგორც ვწერდით, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ დავით მჭედლიძეს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

მჭედლიძეს ბრალდებოდა თონეთის (მანგლისის რაიონი) მცხოვრების გიორგი მაისურაძის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება—მოკლულის დედასა და ძმასთან ერთად.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ გააუქმა ოლქის სასამართლოს დადგენილება იმის გამო, რომ ბრალდებულს ჰქონდა ჩაბარებული საბრალმდებლო ოქმი და თანაც მჭედლიძე დაპატიმრებული არ იყო.

უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ საქმე დამატებით გამოსაძიებლად გადასცა ოლქის სასამართლოს უფროს გამომძიებელს.

ამჟამად მჭედლიძე დაპატიმრებულია. გამოძიებაც დასრულდა.

გამოძიებით მჭედლიძის დანაშაული დამტკიცდა. მჭედლიძე გამოტყდა დანაშაულში.

მჭედლიძის საქმე აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა სამშაბათს, 10 მაისს.

მსჯავრდადებულები: პავლე და მაკა მაისურაძე, ოვანეზ ალთუნაშვილი და სხვები გამოწვეული არიან მოწმეებათ და 10 მაისს მოხდება მათი დაკითხვა.

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი

მესამე დღე

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ ბაქრაძის დაკითხვა.

ბრალდებული ბაქრაძე დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ პირობებში ჩაიდინა მან ბოროტმოქმედება.

— მე,—ამბობს ბრალდებული—განვშორდი ცოლს, მაგრამ მისი ავადმყოფობის დროს დავხარჯე 1000 მანეთამდე სახაზინო ფული.

ბრალდებული არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ მას ქავთარაძესა და გრიშაშვილზე მეტი თანხა აქვს მითვისებული.

შეკითხვაზე,—თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ბრალდებულ მელიავას ბუღალტრიის თანამშრომელთან — ბრალდებული უპასუხებს: „არ ვიცით".

ამიერ-კავკასიის ცაკის ყოფილ წევრის კანანელის საქმე

გუშინ, უზენაეს სასამართლოში ამხ. ს. მეგრელიშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: კაჩატკოვის და ჩაჩანიძის, პროკურორ გ. ტატიშვილის და მდივან მონასელიძის მონაწილეობით გაირჩა ამიერ-კავკასიის ცაკის ყოფილ წევრის გიო ყარამანის ძე კანანელის საქმე.

სასამართლოში გამოირკვა, რომ კანანელმა ბოროტათ გამოიყენა ცაკის წევრის სახელი და ჩაიდინა მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი, რომლითაც ივი სახელს უტეხდა ხელისუფლებას. ასე მაგალითად, მან სრულიად უმიზეზოდ სცემა ანნა სპანდარაშვილს.

1926 წ. საბჭოთა არჩევნებზე მოითხოვდა საბჭოს წევრად არჩევას კრების სურვილის წინაამდეგ.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ ბრალდებული კანანელი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და უფლებების შეზღუდვა სამი წლით.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო მისი სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით.

კონიაკის ფალსიფიკაცია

ამ დღეებში ოლქის სასამართლოში გაირჩევა ტერ შაგრიარსკის, მელქისედეკ არუცევის, ბაგრატ არუთინოვის, ილია ლაზარევის, დავით დავიდოვის და აშოტ მელქუმიანცის საქმე.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ კონიაკის ფალსიფიკაცია.

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტი

(ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებთაგან)

რუსთაველის თეატრში გამართული სიმფონიური კონცერტის პროგრამა დიდათ საინტერესო იყო. საკონცერტო პროგრამაში შეტანილი იყო ახალგაზრდა კომპოზიტორების ანდრო ბალანჩივაძის, კილაძის, თაქთაქიშვილის და ტუსკიას ნაწარმოებები.

უდავოდ ნიჭიერია ანდრო ბალანჩივაძე—აჭარბობს კომპოზიციისა და კონტრაპუნქტის ცნობა. მისი სუსტი მხარეა—არა საკმაო გაცნობა ორკესტრთან და საორკესტრო ფერადულობის სუსტი გამოყენება. შესრულებულ იქნა მისი „ფერხული", სადაც აშკარაა ორკესტრის ღრმა შეუთვისებლობა. მხოლოდ მისი „ლეკური" ბოლო დამაკმაყოფილებელია საორკესტრო შესრულების მხრივ. ტყუილად ერიდება მელოდიებს და მათ განვითარებას, ვინაიდან მისი თეორეტიული ცოდნით შეიძლებოდა უკეთესი საორკესტრო შედეგების მიღება.

ბალანჩივაძის შემოქმედების საწინაალმდეგოდ სწერს კილაძე. აქ საორკესტრო მიღწევების მთელი სიმდიდრეა. დამუშავება ისეთივე დაკვირვებულია, როგორც ბალანჩივაძის. კილაძის პოემა „ლილე" სიმბოლიური ხასიათისაა. აქ ნაწარმოებს ძირითადი იდეის მკვეთრი გამოხატულებაა; განსაკუთრებით დასრულებულია მისი სიუიტა. 1-ლი ლირიული ნაწილი და ფინალი (საქორწინო).

თაქთაქიშვილის „ოროველა" (გუთნის დედის სიმღერა) მელოდიურია, დამძიმებული საორკესტრო ხმოვანობით, რაც მას უკარგავს სოფლური სიმღერის იერს.

უაღრესად პოეტურია ტუსკიას მიერ მუსიკალურ ფორმებში ჩამოსხმული ლექსი, გალაკტიონ ტაბიძის „პერგამენტი". მისტიური მელოდია ჰქმნის მისტიურ განწყობილებას. შესრულებულ იქნა, აგრეთვე, უვერტიურა ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე" და ჰიმნი „ორმუზდს"—არაყიშვილის. შემდეგ მელიტონ ბალანჩივაძის უვერტიურა ოპერიდან—„თამარ ცბიერი" და უვერტიურა „დაისიდან".

ლამაზი ხმა და სიმღერა აქვს ხოფერია—გუმასიშვილს.

პ. ბ.

სოხუმის ხელოვნების მუშაკთა შორის

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მოისმინა კავშირის სოხუმის განყოფილების თავმჯდომარის ამხ. ზლატოპოლსკის მოხსენება განყოფილების მუშაობის შესახებ.

მოხსენების გამო კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს განყოფილების მუშაობის გაცხოველებას.

ამხ. დიასამიძის დანიშვნა

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ბათომის განყოფილების სატარიფო-ეკონომიური ვანყოფილების გამგე ამხ. დიასამიძე დაინიშნა კავშირის კულტგანყოფილების და ხელოვნების მუშაკთა კლუბის გამგეთ.

თურქული დრამის კოლექტივი

თურქული აკადემიური დრამის სეზონის დამთავრების გამო დრამის მსახიობებისგან შესდგა შრომის კოლექტივი, რომელიც წარმოდგენებს გამართავს საქართველოს თურქული მოსახლეობის რაიონებში.

ხელოვნების მუშაკთა კავშირმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას შრომის ბირჟის კომიტეტის წინაშე, რათა დამტკიცებული იქნეს აღნიშნული კოლექტივი. კავშირმა კოლექტივის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად წამოაყენა ამხ. ისმაილ ხაკი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ცეკვის დილა. 8 მაისს ოპერის თეატრში გაიმართება ალბერტის საცეკვაო სტუდიის დილა.

◆ ალმანახი. 20 მაისს ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ ალმანახის „გრდემლის" მორიგი ნომერი (№ 2-3).

◆ იან კუბელიკის უკანასკნელი კონცერტი გაიმართება 9 მაისს რუსთაველის თეატრში.

◆ რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება ტ. და მ. ლისიცანის საცეკვაო სტუდიის საღამო.

◆ „გაკოტრებული მეფე" ი. მაჭავარიანმა სთარგმნა ფრანგულიდან ლ. რეჟის და ფ. ვეონის „გაკოტრებული მეფე"—კომედია—ფარსი ოთხ მოქმედებად.

◆ კომკავშირელ მწერალთა წრეში. ორშაბათს ცხრა მაისს, საღამოს ექვს საათზე კომკავშირელ მწერალთა წრეში შესდგება მორიგი ლიტერატურული კრება.

1) ამხ. ბენიტო ბუაჩიძე გააკეთებს მოხსენებას „ქართულ ლიტერატურის რევოლიუციონერობის საკითხი".

2) ამხ. ალიო მაშაშვილი წაიკითხავს ახალ პოემას: „ჯავშნიანი მატარებელი".

◆ სახელმწიფო ოპერაში.. დღეს კომპოზიტორ მეღვინეთ-უხუცესის კონცერტია. კონცერტზე შესრულებული იქნება ოპერა „ამირანი"-ს ნაწყვეტები. სამ ნაწილად.

◆ მუშათა თეატრში. დღეს შესდგება წარმოდგენა „რობერტ ტიმი", რომელიც გადადებული იყო 4 აპრილს. წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით იმართება.

◆ მეიერხოლდის გასტროლები. საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ მიიღო შეღავათიანი ბილეთები (5.000 ცალი) 50 პროც. დაკლებით. ბილეთები განაწილდება პროფკავშირის წევრთა შორის.

◆ გ. ჯაბაურის საიუბილეო კომისია. დღეს შესდგება მუშა-მსახიობ გ. ჯაბაურის საიუბილეო კომისიის სხდომა. იუბილეს გამართვა განზრახულია 27 მაისისათვის.

ბიბლიოგრაფია

დ. ნ. ქუთათელაძე და ნ. პ. ლორთქიფანიძე

საქართველოს გეოგრაფია

სახელმწიფო გამომცემლობა. გვერდი 196. ტირაჟი 5000. ფასი 1 მ. 20 კ.

მიუხედავად დიდი საჭიროებისა დღემდე არ მოიპოვებოდა მეთოდიურად დამუშავებული საქართველოს დაწყებითი გეოგრაფიის სახელმძღვანელო. სამისო მასალები გაფანტული იყო სხვადასხვა შრომებში და კერძო მონოგრაფიებში საქართველოს შესახებ. რევოლიუციის შემდეგ ჩვენს სასწავლებლებში ამ საგნის სწავლებას დიდათ აბრკოლებდა შესაფერი სახელმძღვანელოების უქონლობა. ამ დაბრკოლების დასაძლევად აღნიშნულ ავტორებს 1923 წ. შეუდგენიათ სახელმძღვანელო, რომელიც წარსული წლის უკანასკნელ თვეებში იქნა გამოცემული საქართველოს სახელგამის მიერ.

წიგნი შესდგება 29 პატარა თავისაგან და შეიცავს ყოველგვარ ცნობებს, რაც საქართველოს ტერიტორიის, საზღვრების, მოსახლეობის და ეკონომიკის გასაცნობად არის საჭირო. არსებითად, წიგნის მასალები დაჯგუფებულია შემდეგ ოთხ უმთავრეს განყოფილებაში: საქართველოს საერთო მიმოხილვა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, საქართველოს ავტონომიური ნაწილები, სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და საქართველოს მმართველობის სახე. საქართველოს ტერიტორიის სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან შედარების შემდეგ, დაწვრილებით არის მოცემული საქართველოს ოროგრაფია. დახასიათებულია საქართველო, როგორც განსაკუთრებით მთაგრეხილების და ზეგნების ქვეყანა; „საქართველოში ადამიანს არ შეუძლია თვალის შეჩერება ერთ რომელიმე გეოგრაფიულ ფორმაზე. მაღალი, მარადის თოვლ-ყინულიანი მთები, ვიწრო, ღრმა და კლდოვანი ხეობები, ვაკე გორები თანაბრად გავრცელებულია აქ"... „ამ მხრივ საქართველო დასავლეთ ევროპის რელიეფს უფრო მოგვაგონებს". (გვ. 10). ავტორებს მოყავთ საქართველოს მთაგრეხილების რუკა. ასევე დაწვრილებით ჩერდებიან ავტორები საქართველოს მდინარეებზე და ტბებზე.

მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნის ის ადგილი, რომელიც საქართველოს ჰავას და ნიადაგს ეხება. საქართველო იმდენად მდიდარია ჰავის ნაირსახეობით, სადაც ხშირად ერთმანეთის გასწვრივ მდებარე სოფლები იძლევიან ჰავის უკიდურესს კონტრასტებს (მაგ., სამხრეთ დასავლეთ საქართველოში), რომ მეტად ძნელია ჰავის ამ სხვადასხვაობაში გარკვევა. ავტორნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ატმოსფერულ ნალექების რაოდენობის გამორკვევით, ტემპერატურის დახასიათებით, ზღვისა და ქარების მოვლენის აღნიშვნით და კლიმატოლოგ კეპენის ძიების მეთოდის დახმარებით, რომლის აზრით ჰავა უშუალოდ დამოკიდებულია მცენარეების ფორმაციაზე, დაწვრილებით ახასიათებენ ჩვენი ქვეყნის ჰავის ოთხ სარტყელს: ველების ზონა, ტყის ზონა, ალპიური ზონა და მარადის თოვლის ზონა. იმავე კლიმატოლოგ კეპენის აზრით, თვითეულ ოლქში ნიადაგის თვისებებიც ჰავისაგან არის დამოკიდებული. ჩვენში, ჰავის მრავალფეროვანებასთან ნიადაგიც მრავალნაირია. დღემდე, მეცნიერებისათვის ცნობილ ნიადაგის ხუთი სახისაგან, საქართველოში გვეძლევა ყველა სახე, გარდა ერთისა—ტუნდრა, რომელსაც ახასიათებს უკიდურესი სიცივე, სადაც „იცის თეთრი ღამეები და ბნელი დღეები", მძიმე ზამთარი 9 თვე გრძელდება, მცხოვრებთა თავშესაფარია „ყინული, თოვლი და მიწა". განსაკუთრებით კი ჩვენში გავრცელებულია ნიადაგის სამი სახე: შავი მიწა, ყველაზე უფრო ნოყიერი ნიადაგი (ჯავახეთი, ახალციხის პლატო, აჭარა), ჰაერითის ზონა—მშრალი, სუბტროპიკული ჰავა (მტკვრის შუა და ქვემო წელი) და ლატერიტი—მდიდარი რკინის ჟანგეულობით, ეს არის ბათუმის ჩაის შესანიშნავი მიდამოები.

მეორე ნაწილში მოცემულია საქართველოს ათი თავისებური კუთხეების ადმინისტრატიული, ეკონომიური და კულტურული თავისებურობის დახასიათება და რუქებით მოცემული სამი ავტონომიური ერთეულების აღწერა, ამ ავტონომიური ერთეულების თავისებურობით.

წიგნის დასასრულს, ავტორები იძლევიან ქვეყნის ეკონომიურ მიმოხილვას უმთავრეს დარგებში, და, ამგვარად, დაინტერესებულ მკითხველს ეძლევა ელემენტარული ცნობები ჩვენი ქვეყნის ყველა დარგიდან.

საერთოდ სახელმძღვანელო კარგად არის შედგენილი, და, როგორც პირველი ნაშრომი, ავსებს იმ ნაკლს, რომელიც მსგავსი სახელმძღვანელოს უქონლობით იყო გამოწვეული.

მართალია, წიგნის საკმაო ხანის წინეთ შედგენის გამო, ზოგიერთი ცნობები დღეს უკვე მოძველებულია, მაგრამ შესაფერი შესწორებით წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ყველას, ჩვენი ქვეყნის შესახებ დაწყებითი ცნობების მიწოდების საქმეში.

წიგნის გამოცემა სახელგამის მიერ კარგად არის შესრულებული და არც ფასია ძვირი.

ვ. მ.

ნარევი

თანამედროვე მილიარდერები

ამერიკული გაზეთების ცნობებით გენრი ფორდი (მსოფლიოში უდიდესი საავტომობილო ფირმის პატრონი) „ღირს" [illegible] მილიარდი დოლარი (ე. ი. [illegible] მილ. დოლარი) [illegible] ამერიკელ მილიონერების პატრიარქს, 80 წლის ჯონ როკფელერს და პირველი ადგილი დაიკავა.

ვინაიდან პირპონტ მორგანის ქონება რამოდენიმე მემკვიდრეს შორის არის განაწილებული, მესამე ადგილი ამერიკელ მილიარდერებში უჭირავს შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრს მელლონს, რომლის ქონებას 250 მილიონ—1 მილ. დოლარით განსაზღვრავენ. ამერიკელ მილიონერ-მრეწველების (ფორდი—ავტომობილი, როკფელერი—ნავთი, კარნეჯი—ფოლადი) წრეში ჩაერხირა საბირჟო სპეკულაციის მეფე.

დანარჩენი ამერიკელი მდიდრები—ფილდი, ასტორი, გულდი; ვანდერბილდი; ზემოთ ჩამოთვლილ პირ. შედ. „ხელმოკლე" ხალხია. მათ სიმდიდრეს განსაზღვრავენ 300 მილიონი დოლარით, თითეულისას.

დანარჩენი ქვეყნები ბევრათ ჩამორჩებიან შეერთებულ შტატებს სიმდიდრეთა დაგროვების მხრივ ერთეულ პირების ხელში. ინგლისს არა ყავს არც ერთი მილიარდერი. გერმანელმა ჰუგო სტინესმა სიკვდილის შემდეგ დასტოვა 75 მილიონ დოლარის ქონება.

ფოტომატონ

ნიუ-იორკში გაიხსნა ავტომატიური ფოტოგრაფია. ფოტოავტომატი ანუ, როგორც მას ამერიკაში უწოდებენ, ფოტომატონი ათ წუთში იძლევა რვა ფოტოგრაფიას სხვადასხვა პოზებში. პატენტი ფოტომატონზე ერთმა სააქციო საზოგადოებამ შეიძინა მილიონ დოლლარათ.

სად იყო სოდომი და გომორრა

ამერიკულ არქეოლოგიურ ჟურნალებში მოთავსებულია პროფ. გუდდინგტონის გამოკვლევების შედეგები. გუდდინგტონი არკვევდა საკითხს—არსებობდენ, თუ არა ბიბლიური ქალაქები სოდომი და გომორრა და თუ არსებობდენ—როგორი იყო მათი ადგილმდებარეობა. ამერიკელი პროფესორი ამტკიცებს, რომ ეს ქალაქები მართლა არსებობდენ და მდებარეობდენ მკვდარი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე. ბიბლიურ ლეგენდას ამ ქალაქების დაღუპვის შესახებ გუდდინგტონი ხსნის სეისმიურ კატასტროფით, რომელიც 3500 წლის წინათ მოხდა. კატასტროფამ გამოიწვია ამ ქალაქების ახლო მდებარე ცეცხლის მფრქვეველი მთების მძლავრი ამოხეთქა და ზღვის მთელი ჩრდილოეთ ნაპირის არაჩვეულებრივად ამოზნექა. მიწისძვრას მოყვა აქ არსებულ და დღემდე დარჩენილ ნავთის წყაროების ანთება.

თუთია სასმელებში

გერმანიაში უკანასკნელ ხანებში ძლიერ გახშირდა ლუდით მოწამვლის შემთხვევები. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ამის მიზეზია ლუდის წარმოებაში თუთიადან (ცინკიდან) დამზადებული ჭურჭლების გამოყენება. ამ შემთხვევებმა გამოიწვია ყველა იმ წარმოებათა გამოკვლევა, რომლებიც საკვებ ნივთიერებათ ამზადებენ და თუთიას ჭურჭელით სარგებლობენ. თუთიას რაოდენობა ზოგიერთ პროდუქტებში მეტად დიდი აღმოჩნდა: ერთ ლიტრ ლუდში აღმოჩნდა 229 მილიგრამი თუთია. განსაკუთრებით საშიში ყოფილა რძე და ლიმონათი. გამოირკვა, რომ 17 საათის შემდეგ თუთიას რაოდენობა ლიმონათში გაორკეცდა (2.700 მილიგრამი ლიტრზე), რძეში კი—გასამკეცდა. თუთიას რაოდენობა თუთიადან დამზადებულ ჭურჭელში ჩასხმულ წყალში შედარებით მცირე აღმოჩნდა.

დოღი

დოღში, რომელიც გაიმართება 8 მაისს, სხვა ცხენებ შორის, გამოვლენ საფრანგეთიდან გამოწერილი „როლანდი" და დაღესტანის ცხენები. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცხენთსაშენიდან მონაწილეობას მიიღებენ ცხენები: „ბერგენი", „დაგომე", „ეთერი", და „იაიჯა-ქიათურელი"; სამხრეთ-ოსეთიდან: „როლანდი", „შინარგი"; ჩრდილოეთ - ოსეთიდან: „უათ", და „სიგ". ამას გარდა, დოღში მონაწილეობას მიიღებს 16 სამხედრო ცხენი. სულ გაიმართება 7 შეჯიბრი.

მადლობა

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ ულრმესი მადლობა ოპერის, დრამის და ბალეტის არტისტებს, პერინის სტუდიას, პოეტ გრიშაშვილს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ცაკთან არსებულ უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის სასარგებლოდ გამართულ საღამოზე ა.-წ. მაისის 4-ს, განსაკუთრებით-კი დამსახურებულ არტისტს სანდრო ინაშვილს და ვენაძეს, რომელთაც არ დაიშურეს შრომა, ენერგია, ცოდნა და გამოცდილება ამ საქმეში და თავისი ხელმძღვანელობით ხელი შეუწყვეს მის ჩინებულათ ჩატარებას.

ს. ს. ცაკთან არსებული უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისია.

მეცნიერება და ტეხნიკა

ჰუგო შუხართი

(1842—1927)

ამა წლის 21 აპრილს ქ. გრაცში (ავსტრიაში) გარდაიცვალა განთქმული ენათმეცნიერი ჰუგო შუხართი (Hugo Schuchardt) რომელმაც მრავალ ენათა შორის ქართულიც ჩინებულად იცოდა და რამოდენიმე გამოკვლევაც დაწერილი აქვს მის შესახებ.



ჰ. შუხართი დაიბადა გოთაში (გერმანიაში) ოთხ თებერვალს 1842 წ. მამა მისი იურისტი იყო, დედა შვეიცარიელი ფრანგის ქალი. ეს იყო ალბად იმის მიზეზი, რომ ფრან. სწავლა 2 ნახ. წლისას დააწყებინეს, ბავშვობ. მას დიდი ინტერესი აღმოაჩნდა ენების შესწავლისადმი. იგი ადრევე გაეცნო ებრაულს (გეზენიუსის წიგნის მიხედვით) და არაბულს (სახის გრამატიკით). ამ ენებმა ბავშვის ყურადღება იმით მიიქციეს, რომ ნაწერი მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება. მაგრამ მეტი შთაბეჭდილება მასზედ ეგვიპტურმა ჰიეროგლიფებმა მოახდინა. ენების შესწავლაში პატარა ჰუგო ავტოდიდაქტი იყო: იგი თვითონ ირჩევდა ენას შესასწავლად და თვითონვე სწავლობდა სხვადასხვა სახელმძღვანელოს საშუალებით. ერთ ადგილას თითონვე თავმდაბლათ ამბობს, რომ მაინდამაინც დიდი ნიჭი შეიძლება არ მქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ნებისყოფა კი ძლიერი მქონდა და ამის წყალობაა, რომ შედეგებსაც მივაღწიეო. საშუალო სასწავლებელში ყოფნისას იგი ძალიან აღტაცებული იყო საშუალო საუკუნოებით: დადიოდა ძველი ციხე-კოშკების ნანგრევებზე, იწერდა საფლავის წარწერებს, ფურცლავდა ეტრატის ხელნაწერებს და უბის წიგნში შენიშვნები გადმოჰქონდა იქიდან, აგროვებდა ძველ ფულებს, თავს უყრიდა ქრონიკულ ცნობებს და სხვა. უთქვამს: ერთის დღით რომ საშუალო საუკუნოებში გადამგადო, ერთი წლის ცხოვრებას შეველევოდიო. ერთი სიტყვით, მის მეცადინეობას ისეთი მიმართულება ჰქონდა, რომ ან გერმანისტი უნდა გამოსულიყო, ან მედიევისტი. მაგრამ უნივერსიტეტში მისი ყურადღება უფრო კლასიკურმა ფილოლოგიამ მიიპყრო. სამი სემესტრის განმავლობაში იგი იენაში სწავლობდა და შემდეგ ბონში გადავიდა, მისი სპეციალობა საბოლოოდ გადასწყვიტა იმ გარემოებამ, რომ 1862 წელს შემთხვევით ხალხურ ლათინურ წარწერებს გაეცნო. იგი ამ დროს 20 წლის ჭაბუკი იყო. ბავშვობიდანვე ჰუგოს მიდრეკილება ჰქონდა განმარტოებული გზების ძიებისადმი მას ის იტაცებდა, რაც მიჩქმალული და დაფარული იყო, რასაც სხვები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ. ასეთი იყო, სხვათა შორის, ხალხური ლათინური, რომლის შესწავლამაც იგი ცნობილ რომანისტად აქცია. ამ შესწავლის ნაყოფია 4 ტომიანი გამოკვლევა: „ვოკალიზმი ვულგარი ლათინურისა", რომელიც დაიბეჭდა 1866—68 წლებში.

ხალხური ლათინურიდან შუხართი ახალი რომანული ენების საფუძვლიან შესწავლამდე მივიდა, აქედან კი კელტურზე გადავიდა. იგი ჯერ ჰალლეში პრაქტიკულად სწავლობდა კიმრულს ერთ სტუდენტთან და შემდეგ უელსშიც გაემგზავრა, იქ რამოდენიმე ხანს დარჩა და იმდენად შეითვისა ადგილობრივი ენა, რომ თამამად შეეძლო საუბარი ადგილობრივ ხალხთან ინგლისურის დაუხმარებლად.

ავსტრიის ქალ. გრაცში უნივერსიტეტში გადასვლის შემდეგ იგი სლავურ ენებს დაუახლოვდა და შეისწავ. სლავური ენების გარდა აქვე იყო კიდევ მადიარული ანუ უნგრული, რომელიც აგრეთვე არ დატოვა შეუსწავლელი. რაკი უნგრულის შესწავლით ერთხელვე გასცდა ინდოევროპული ენების ფარგლებს, ამ მიმართულებით მან სხვა ნაბიჯებიც გადადგა. უპირველეს ყოვლისა მისი ყურადღება მიიპყრო ბასკურმა, რომელიც შეხიზნულია პირენეს მთებში (საფრანგეთ-ესპანიას შუა) და ნაწილი საფრანგეთის ფარგლებშია მოქცეული და ნაწილი ესპანიისაში. ბასკური ენა თავისი აგებულობით განმარტოვებით დგას სხვა ევროპის ენებს შორის, მისი ზმნა თავისი მიმართებითი ანუ რელატიური ფორმებით ერთგვარ პარალელიზმს გვიჩვენებს ქართულთან შედარებით. ამას გარდა ქვემდებარის დასმა ორს ბრუნვაში, სახელობითსა და მოთხრობითში (მაგალითად: ერთის მხრით კაცი წავიდა, კაცი დავარდა, კაცი დაეცა, კაცი მოკვდა და მეორეს მხრით: კაცმა მოიტანა, კაცმა მოკლა, კაცმა გააკეთა, კაცმა დაწერა, კაცმა მოსჭრა და მისთ.) თანაბრად არის წარმოდგენილი ქართულსა და ბასკურში. ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ ბასკურიდან ჩვენი მეცნიერი ქართულისა და სხვა კავკასიური ენების შესწავლამდე მოვიდა. მაგრამ მეორე მხრით იმავე ბასკურმა ზოგიერთი მოვლენებით ქამიტური ენებისაკენ უჩვენა მასგზა და ბერბერულისათვის მოაკიდებინა ხელი. ქამიტური ენების ახლო ნათესაობა სემიტურთან ხომ ცნობილია და შუხართი სემიტურ ენათაგან არაბულს პრაქტიკულადაც სწავლობს ეგვიპტეში.

როგორც ფართო ინტერესების პატრონი, შუხართი იკვლევდა საზოგადო მოვლენებს ენაში. ამ მიმართულებით მან ბევრი გააკეთა. ენათა შერევის საკითხში თუ ვინმე ნაყოფიერად უმუშავნია, უპირველეს ყოვლისა ეს არის ჰ. შუხართი. ამისათვის ის სპეციალურად სწავლობდა კრეოლურ ენებს. შედეგი ამ შესწავლისა ნაწილობრივ გამოქვეყნებულია, ნაწილობრივ კი არა. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არც ერთი მთავარ საკითხთაგანი არ გადაწყვეტილა უმისოდ რომანისტიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების დარგში.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ჰ. შუხართს ქართული ენის შესწავლის საქმეშიც. ამ შესწავლაში მას ხელი შეუწყო, სხვათა შორის, იმ გარემოებამ, რომ გრაცში მან გაიცნო პროფ. პ. მელიქიშვილი, რომელთანაც შემდეგში მიწერ-მოწერა ჰქონდა.

საქართველოში ან კავკასიის სხვა რომელსამე კუთხეში შუხართს შემთხვევა არ ჰქონია რომ ყოფილიყო, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე იქნება უცხოელთაგან ისეთი, რომ შუხართსავით ზედმიწევნით ჰქონოდეს შეთვისებული ქართული ენის თავისებურებანი. ის ქართულად მიწერ მოწერასაც კი აწარმოებდა. (მაგ. პ. მელიქიშვილთან, მ. ჯანაშვილთან და სხვებთან). აღსანიშნავია, რომ რომელიმე ენის მკვლევარისათვის იგი აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა ამ ენის საფუძვლიან ცოდნას, რადგანაც ენებში ჩვეულებრივ ზმნა უფრო ძნელია სახელზე, ამიტომ მკვლევარმა უპირველესად იგი უნდა დასძლიოსო. ვინც მხოლოდ ზმნა იცის რომელიმე ენისა, მან ეს ენა თითქმის მთლად იცის, და ვინც მხოლოდ სახელი, მან თითქმის არაფერი იცისო. სახელთა შესახებ ბოლოსდაბოლოს კაცი იოლათ წავა,—შეიძლება მან სხვა ენათაგან ნასესხებ სიტყვებს მიჰმართოს და ამ გზით გაითვალისწინოს კულტურული ურთიერთობა-დამოკიდებულებაო, მაგრამ ვისაც საფუძვლიანი შედარება ჰსურს, მას კარგად უნდა ესმოდეს ზმნა, თუნდაც იგი ძნელი იყოს, როგორც ბასკური ან ქართული, კაცს უნდა თავისუფლად შეეძლოს კითხვაო. ეს მოთხოვნილება სავსებით ჰქონდა შესრულებული თითონვე ქართულის მიმართაც. თავისუფლად კითხულობდა ქართულ წიგნს, იწერდა ჟურნალ-გაზეთებს, თვალ-ყურს ადევნებდა ლიტერატურას. მისი გულისყური მიპყრობილი იყო უმთავრესად გრამატიკული ლიტერატურისადმი. მან ყველაფერი იცოდა, რაც დაწერილა ამ მხრივ ზურაბ შანშოვანიდან და ანტონ კათალიკოსიდან მოყოლებული მსოფლიო ომამდე. მარტო დაბეჭდილ გრამატიკებს როდი სჯერდებოდა. პარიზიდან იბარებს ერთ ხელნაწერ გრამატიკას ქართულ ენისას და ცნობას აქვეყნებს მის შესახებ, მ. ჯანაშვილს ეკითხება, ხომ არ მოიპოვება გორში, კათოლიკეთა ეკლესიის არქივში, ჯიროლამო და ნორჩას გრამატიკა ქართული ენისა, შედგენილი მე-18 საუკუნეში და სხვა. სხვათა შორის, შუხართის თხოვნით 1896 წელს ლაიფციგში ექსპერიმენტულად გამოიკვლია ცნობილმა ფონეტიკოსმა ე. ზივერსმა ქართული თანხმოვნების ბუნება.

ჰ. შუხართს შესწავლილი ჰქონდა უმთავრესად ახალი ქართული, მაგრამ ძველ ქართულშიც კარგად ერკვეოდა. ქართულს გარდა მას შესწავლილი ჰქონდა აგრეთვე ჭანურ-მეგრული და სვანური იმ წყაროების მიხედვით, რომელიც წინედ მოიპოვებოდა. ამას გარდა, ის იცნობდა მთელს ლიტერატურას, რომელიც კავკასიის ენათმეცნიერებას ეხებოდა საზოგადოდ. მის აუარებელ ნაწერთაგან ოციოდე სპეციალურად კავკასიურ ენებს ეხება. ამ ენათაგან მისი კვლევის საგანი უმთავრესად ქართულია. ზოგი მისი ნაწერი კრიტიკა-რეცენზიაა სხვადასხვა ავტორის თხზულებათა შესახებ (ა. ცაგარელისა, ს. ხუნდაძისა, ა. დირრისა, ჰ. აჭარიანისა), ზოგიც კიდევ დამოუკიდებელ თხზულებას წარმოადგენს. ამ გამოკვლევათაგან შეიძლება დავასახელოთ: 1. ქართულის შესახებ (ვენა 1895), 2. პასიური ხასიათი ტრანსიტივისა კავკასიურ ენებში (ვენა 1895), 3. ქართული ყე ნაწილაკი (1896), 4. ქართველურ ენათა გეოგრაფია სტატისტიკისათვის (1897). უკანასკნელი თხზულება რუსულიდანაც არის ნათარგმნი. ყველა მის ნაწერში მოჩანს ღრმა ერუდიცია და მახვილი გონება.

ამა წლის ოთხ თებერვალს ჰ. შუხართს შეუსრულდა 85 წელიწადი. მიუხედავად ასეთ ღრმა მოხუცებულობისა, იგი მაინც მხნედ იყო და სულ უკანასკნელ ხანებამდე შეჰრჩა უნარი მეცნიერულად მუშაობისა. 1922 წ., როცა იგი 80 წლის გახდა, მის ნაშრომთა სია 750-მდე ადიოდა, მაგრამ იგი ამის შემდგომაც განაგრძობდა ბეჭდვას. შარშანაც კი დაბეჭდა რამოდენიმე წერილი.

განსვენებულმა მთელი თავისი ბიბლიოთეკა უანდერძა გრაცის უნივერსიტეტს, სადაც იგი მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა, როგორც პროფესორი. ამ ბიბლიოთეკაში მოიპოვება მრავალი წიგნი კავკასოლოგიის შესახებ, სხვათა შორის მთელი კომპლექტი (ძველი) „მოამბისა" და რამოდენიმე სხვა ჟურნალ-გაზეთი. ამას გარდა აგრეთვე ხუთი ძველი ქართული ხელთნაწერი ეტრატზედ. ეს ხელთნაწერები ერთ დროს სინას მთაზედ იყო დაცული ქართველთა მონასტერში. როგორც ჰ. შუხართი წარსული წლის ოქტომბერში მწერდა, ხელნაწერები მას შეუძენია წარსული საუკუნის მიწურულში. საქმე ასე ყოფილა: ვიღაც ვენელ მხატვარს როგორღაც მოუხერხებია სინას მთის ხუთი ქართული ხელთნაწერის ხელში ჩაგდება და ისინი ვენის სასახლის ბიბლიოთეკისათვის შეუძლევია, მაგრამ ბიბლიოთეკის დირექტორს ფონ-ცაისბერგს უარი განუცხადებია ხელთნაწერების შეძენაზე და ამის შემდეგ ისინი შუხართს შეუძენია. ამ ხელთნაწერებში ერთია ფსალმუნი მე 9—10 საუკ., პალიმფსესტი, რომლის მეორე ტექსტია ქართული (იგი უნახავს თავის დროს სინას მთაზედ პროფ. ცაგარელს და აღწერილიც აქვს № 2-ად), ორი სხვა ხელთნაწერი წარმოადგენს ლიტურღიკულ ტექსტს, ერთი ყოფილა ჟამის წირვა ი. ოქროპირისა და ერთიც სვიმეონ სალოსის ცხოვრება. (შუხართით მე 9—10 საუკ.). ეს ხელთნაწერებიც, ანდერძის თანახმად, გრაცის უნივერსიტეტსავე გადაეცა.

1926 წლის სექტემბრიდან უკვე შუხართი ლოგინად იყო ჩავარდნილი და ასეთ მდგომარეობაშიც იმაზედ ფიქრობდა და ზრუნავდა, რომ როგორმე გამგრძელებელი ეპოვნა მის მიერ დაწყებული ქართული ენის შესწავლის საქმისა გრაცში, მას უკეთ, ვინემ სხვას ვისმე, გათვალისწინებული ჰქონდა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ქართულს, მისი აგებულების გამო, საზოგადოდ ენათმეცნიერებისათვის აქვს, და ამიტომ მისი ასეთი ფიქრი და ზრუნვა გასაგებია. ქართული ენისადმი ინტერესით არის გამთბარი მისი უკანასკნელი წერილი, მოწერილი სიკვდილის წინ ოთხიოდე დღით ადრე.

გარდაიცვალა დიდი ენათმეცნიერი, რომელიც წევრი იყო მრავალი სამეცნიერო აკადემიისა (ვენისა, ბერლინისა, მიუნხენისა, ბუდაპესტისა, კრაკოვისა; რომისა; ლისაბონისა, კოპენჰაგენისა, და სხვებისა). სხვათა შორის იგი წევრი იყო სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებისაც, მათ შორის ბასკური ენის აკადემიისა (სანსებასტიანში) და აგრეთვე საპატიო წევრი. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისა (თბილისში).

თანახმად განსვენებულის სურვილისა, მისი გვამი გრაციდან ვენას გადაასვენებიათ კრემატორიუმში დასაფერფლავად.

პროფ. ა. შანიძე.

გრიპი და მზის ლაქები

არსებობს შინაგანი კავშირი გარეშე ფიზიკურ გარემოსა და ჯანმრთელობას შორის, ამინდსა და ავადმყოფობას შორის, აგრეთვე ამინდსა და სიკვდილიანობას შორის. ეს ფაქტი შემჩნეულ იქნა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ცნობებს ამგვარი კავშირის არსებობის შესახებ ვპოულობთ გიპოკრატეს (ცნობილი ბერძენი ექიმი, მეცნიერული მედიცინის მთავარი, ცხოვრობდა 2300 წლის წინეთ) ნაწერებში. მაგრამ უკანასკნელ დრომდე ამ კავშირის მექანიკა სისწორით არ იყო გამორკვეული.

ყველამ იცის, რომ ზოგ წლებში შავი ჭირი, გრიპი, ყელჭირვება ან ხოლერა შეუმჩნევლად მიმდინარეობს, აქა-იქ აქვს მხოლოდ მწვავე ხასიათი, მეორე წელიწადს კი ეპიდემია არაჩვეულებრივად ვრცელდება და ასიათასობით იწირავს ხალხს. რა არის ამის მიზეზი? იზრდება ბაქტერიების სიცოცხლის უნარიანობა, გამძლეობა და მხამიანობა, თუ ადამიანის ორგანიზმი სუსტდება და აღარ შესწევს ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლის უნარი? გამოიკვლიეს ბარომეტრიულ წოლვის, ჰაერის სინოტივის, წყლების სიმაღლის და სხ. საკითხი. მაგრამ ამ გამოკვლევებმა ვერ შეუწყვეს ხელი საერთო კანონშეწონილობის აღმოჩენას, რადგან აღნიშნული მოვლენები განიცდიან ხშირ ცვალებადობას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს ეპიდემიებზე.

პროფ. ჩიჟევსკი

მზის მოქმედების მიმდინარეობის გამოკვლევის დროს მე შევნიშნე, რომ მზის მოქმედების მაქსიმუმის დროს ადგილი ჰქონდა ხოლერის უდიდეს ეპიდემიებს, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეებში მძვინვარებდა. მეცხრამეტე საუკუნის ხოლერის ყველა ეპიდემიებიც განსაცვიფრებელი სისწორით ხვდებოდენ სწორეთ მზის პროცესების მაქსიმუმის პერიოდს.

ეს პროცესები, როგორც ვიცით, გამოიხატება მზეზე პერიოდულათ ლაქების გამოჩენაში, გრიგალებში, ამოხეთქვაში მზის ზედაპირზე, უზარმაზარი ალის ამოვარდნაში და სხვ. ეს მოვლენები ახასიათებენ მზის გაძლიერებულ მოქმედებას. ორი-სამი წლის შემდეგ მოქმედება სუსტდება და მზის სახე იწმინდება.

ლაქების წარმოშობის*) ეს პერიოდი საშუალოდ უდრის 11 წელიწადს, მაგრამ ზოგჯერ მეორდება 9 და 13 წელიწადში.

ხოლერის ეს ეპიდემიური გავრცელება სისტემატიურად მეორდება მზეზე ლაქების წარმოშობის პერიოდში: მაქსიმუმის პერიოდში ეპიდემია განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს, ვრცელდება მთელ რიგ ქვეყნებში და სცლავს ხალხს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეპიდემოლოგები, ხოლერის ეპიდემიების აღწერის დროს, გარკვევით განსაზღვრავდენ მას მზის აქტივობის ციკლით (პერიოდით), მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ამაში ვერ ამჩნევდენ ერთგვარ კანონშეზომილობას.

გრიპის ეპიდემიას მიმდინარე წელსაც აქვს ერთგვარი კავშირი მზის მოქმედებასთან და მას ასეთივე კანონშეზომილობა ემჩნევა. უკვე დიდი ხანია შემჩნეულია, რომ გრიპის ეპიდემიებს რაღაც დამოკიდებულება აქვთ ხოლერის ეპიდემიებთან. მართლაც, იმ დროს, როცა ხოლერის ეპიდემიების მაქსიმუმი მზის მოქმედების მაქსიმუმის პერიოდს ხვდება, გრიპის ეპიდემიები ან წინ უსწრებენ, ან უკან მისდევენ ამ ხანას, მაგრამ არას დროს მათთან ერთსა და იმავე დროს არ აქვთ ადგილი. მაგრამ როგორც ხოლერის, ისე გრიპის ეპიდემიები, მზის მოქმედების შესუსტებასთან ერთად, კლებულობენ, როგორც ინტენსივობის, ისე გავრცელების მხრივ და მინიმუმის ეპოქებში თითქმის შეუმჩნეველი არიან.

როგორ ავხსნათ კავშირი მზის მოქმედებასა და ეპიდემიების გავრცელებას შორის?

თავისი მოქმედების მაქსიმუმის პერიოდში მზე ლაქებიდან ისვრის თავისი მატერიის დაშლის ელექტრონულ ნაწილაკებს. ეს ნაწილაკები აღწევენ დედამიწამდე და მის ფიზიკო-ქიმიურ გარემოში (ატმოსფერაში და დედამიწის ქერქში) იწვევენ მრავალრიცხოვან ელექტრო-მაგნიტურ მოვლენებს და ნგრევას. ამერიკელ მეცნიერის ბაუერის შრომებით დამტკიცდა, რომ ატმოსფერულ ელექტრობის სიმძაფრე დედამიწის მრავალ პუნქტები, სისწორით შეეფარდება ლაქების რაოდენობას მზეზე.

ცვლილებები ან არანორმალობა ფიზიკო-ქიმიურ გარემოს შემადგენლობაში იწვევს შესაფერ არანორმალობას ან ცვლილებებს მცენარეთა და ცხოველთა სამეფოში. ბევრი ფიქრობს, რომ აქ მთავარ როლს თამაშობს ატმოსფერული ელექტრობა. თუ ატმოსფერული ელექტრობა გავლენას ახდენს მცენარეების ქსოვილების ზრდაზე, მაშინ ხომ არ მოქმედობს ის აგრეთვე სიცოცხლის პროცესზე ბაქტერიებში, რომლებიც, როგორც ვიცით მცენარეულობის მსგავს ორგანიზმებს წარმოადგენენ..



ხოლერის (შავი წერტილები ზევით) და გრიპის (ოთხკუთხედები ქვევით) ეპიდემიების გავრცელების სქემა.

მეორე მხრივ უნდა ვიფიქროთ, რომ ცვლილებები გარეშე გარემოში იწვევენ ცვლილებებს აგრეთვე ადამიანის ორგანიზმშიც. შესაძლებელია, ეს ცვლილებები ასუსტებენ ადამიანში ავადმყოფობათა გამომწვევ მიზეზებისადმი წინააღმდეგობის უნარს.

მაგრამ, ყველაფერი ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ კითხვებია, რომლებზეც პასუხის გაცემა შესაძლებელი შეიქნება შესაფერ ლაბორატორიულ გამოკვლევათა მოხდენის შემდეგ. ბაქტერიოლოგიისა და ფიზიოლოგიის წინაშე იშლება ახალი ამოცანები. მათი გადაჭრა გამოარკვევს არა მარტო მოვლენის მექანიზმს, არამედ, როგორც ჩანს, მეტად საგულისხმო გზებს აღმოაჩენს მედიცინაში, როგორც ეპიდემიების ბუნების გამორკვევის დარგში, აგრეთვე ტერაპიის დარგში.

პროფ. ა. ჩიჟევსკი.

---

*). ე. წ. „ლაქების მაქსიმუმის" პერიოდი.

აფრიკის მკვლევარის გარდაცვალება

ამ რამდენიმე ხნის წინათ ღრმა მოხუცებულობაში—90 წლის—გარდაიცვალა დოქტორი შვეინფურტი, ცნობილი გერმანელი მოგზაური-მკვლევარი, რომელიც უკანასკნელად დავიწყებული იყო, მაგრამ თავის დროზე დიდის სახელით სარგებლობდა. ის იყო პირველი ევროპიელი, რომელმაც მიაღწია აფრიკის იმ დროს გამოუკვლეველ ოლქამდე. ეს ოლქი მდებარეობს ნილოსსა და კონგოს შუა, ე. ი. აფრიკის ცენტრში იმყოფება.

წითელი ზღვის სანაპიროების გამოსაკვლევათ მოწყობილ პირველი ექსპედიციის შემდეგ შვეინფურტი 1867 წ. გავიდა ქ. ხარტუმიდან, აჰყვა ზევით მდ. ნილოსს, ბურასა და კაზალის შესართავამდე და მიაღწია ჭაობიან რაიონამდე, რომელიც გაჭიმულია ნილოსის ამ ერთ-ერთი უდიდესი შენაკადის მარჯვენა ნაპირზე. ის ჯერ მოხვდა დიურის ტომის სოფლებში, შემდეგ კინიამ-ნიამის ტომთან, კაცი-ჭამიებთან, რომელთა მარტო სახელწოდება იძლევა წარმოდგენას მათი აქ მხეცური ჩვეულების შესახებ. მაგრამ, საბედნიეროთ, მოგზაური კარგად მიიღეს, ალბათ იმიტომ, რომ გამხდარი იყო და სამწვადეთ არ გამოდგებოდა.

ამის შემდეგ შვეინფურტმა განაგრძო გზა და მივიდა ოლქამდე, სადაც მონბუტტარის ტომი ცხოვრობს. შვეინფურტი გაოცდა, როცა ნილოსის ზემო შენაკადებსა და კონგოს შუა იპოვა ხალხი, რომელსაც საკუთარი ძალებით კულტურის მნიშვნელოვან საფეხურამდე მიეღწია. ამ ტომის უფროსი იყო ძლიერი მთავარი, რომელსაც ყავდა მუდმივი ჯარი, აგროვებდა ხარკს თავის ბატონობის ქვეშ მყოფ ტომებისაგან. მის მეტს არავის ჰქონდა უფლება ევაჭრა სპილოს ძვლით და ზოგიერთ სხვა პროდუქტებით.

მონბუტტარის ტომიც კაცი-ჭამიებს ეკუთვნოდა და შვეინფურტი გააკვირვა მათმა კულტუროსნობამ მეზობელ არაკაციჭამია ტომებთან შედარებით.

მონბუტტარების მთავარს ყავდა მასხარა ქონდრის-კაცი აკკების ტომიდან და შვეინფურტი, რომელსაც უჩვენეს ამ ტომის რამდენიმე წარმომადგენელი, დარწმუნდა, რომ ძველ ბერძენ ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობა ცენტრალურ აფრიკაში მცხოვრებ ქონდრის-კაცების შესახებ არ არის ზღაპარი. ქონდრის-კაცების სიმაღლე უდრიდა 1 მეტრს და 30 სანტიმ.—1 მეტრს და 40 სანტიმეტრს.

შვეინფურტმა თავის მოგზაურობა აღწერა სქელკანიან წიგნში „მოგზაურობა აფრიკის ცენტრში". შემდეგ მან გამოიკვლია არაბეთი და მხოლოდ მოხუცებულობის უკანასკნელ წლებში დასახლდა ბერლინში, სადაც მოკვდა.

იცოდენ თუ არა რაიმე ამერიკის შესახებ ძველად

გერმანელმა მეცნიერმა პროფ. ხენნიგმა გამოაქვეყნა ახალი შრომა, რომელშიც ამტკიცებს, რომ ამერიკული მატერიკის არსებობის შესახებ ევროპიელებმა იცოდენ ჯერ კიდევ ანტიურ ეპოქაში. ძველ ბერძნებს არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ ამერიკის არსებობა. ძველი ბერძნების გეოგრაფიული ჰორიზონტი უფრო ფართე იყო, ვიდრე ფიქრობენ. მათ მოეპოვებოდათ უფრო უკეთესი ხომალდები, ვიდრე საშუალო საუკუნეების ნორმანებს, რომლებიც ითვლებიან ამერიკამდე მისულ პირველ ევროპიელებათ. პასსატებს (ქარებს, რომლებიც ქრიან ტროპიკულ ზონაში) უნდა გაეტაცებიათ ბერძენთა ხომალდები ამერიკის ნაპირებისაკენ. სრულიად გაუგებარია, თუ რატომ არავითარ ყურადღებას არ აქცევს მკვლევართა უმრავლესობა ძველი მწერლების მრავალრიცხოვან კანტ-კუნტ ცნობებს იმის შესახებ, რომ დასავლეთით არსებობს რაღაც უცნობი მიწა. მით უფრო ეჭვს გარეშეა აზიის უძველესი მცხოვრებლების ნაცნობობა ამერიკასთან. ამას ამტკიცებს ახალი გამოკვლევები მთელ რიგ მეცნიერების, რომლებმაც დაამტკიცეს ამერიკელ ინდიელების ნათესაობა აზიის, კერძოთ ტიბეტის მოსახლეობასთან. ტიბეტის უძველეს ხელთნაწერებში მოიპოვება ცნობები უდიდესი მატერიკის არსებობის შესახებ აღმოსავლეთით.

ახალი გამოგონება

სიღნაღის მაზრის მცხოვრებმა ირაკლი კეთილაშვილმა გამოიგონა წყალში დაღრჩობისაგან გადამრჩენი საშუალება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

წყალში (მდინარეში ან ზღვაში) მცურავს შეუძლია ჩაიცვას განსაკუთრებულათ შეკერილი ტანისამოსი, რომელშიც წყალი არ ატანს. ეს განსაკუთრებული კონსტრუქციის ტანისამოსი ილმება ჩვეულებრივ ტანისამოსს ზევით და მისი საშუალებით წყალში მყოფს შეუძლია დაწვეს, დაჯდეს და როგორიც უნდა ისეთი მდგომარეობა მიიღოს წყალში. ამ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი არ იძირება, რადგან ტანსაცმელი ჰაერით არის გაბერილი. ტანისამოსის ჩაცმა-გახდას უნდა მხოლოდ რამოდენიმე წუთი და ივი ძლიერ ადვილი სახმარია. გარდა ამისა ეს ტანისამოსი, გამომგონებლის სიტყვით იმით არის საყურადღებო, რომ წყალში მყოფი ადამიანი სრულებით ვერა გრძნობს წყლის ტემპერატურას და ამრიგად იგი უზრუნველყოფილია გაციებისაგან.

ირაკლი კეთილაშვილი მის მიერ გამოგონებულ საცურაო ტანსაცმელში

კეთილაშვილს გამოგონებული აქვს აგრეთვე ასეთივე ტანისამოსი, მხოლოდ ზევით ჩასაცმელი.

კეთილაშვილმა თავისი გამოგონება გამოსცადა მტკვარზე. გამოცდამ კარგი შედეგები მოიტანა. ამჟამად კეთილაშვილის გამოგონებაზე გამოთხოვილია ცალკე პატენტი.

იურიდიული დახმარება

მუშფაკის 4—ე ჯგუფის მსმენელს ივანე დოლიძეს

პასუხი

მიმართეთ საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის იურიდიულ განყოფილების ბიუროს.

მასწავლებელ ივანე ბურკაძეს

პასუხი

ადმინისტრაცია ვალდებული იყო ეცნობებია თქვენთვის დეპეშით და წერილებით ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც მოხდა სკოლის ინსტრუქტორის განკარგულებით არდადეგებზე თქვენი ყოფნის დროს. გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით განათლების კავშირის ზუგდიდის განყოფილებას და შემფასკომს.

სეზონურ სამუშაოზე მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა შესახებ

აბასთუმანის სანატორიუმის მუშას (მედხანშ. წიგ. № 2268).

პასუხი

თანახმად ა. კ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 26 მარტის დადგენილების მუხ. 34—46-ის აბზაცი „გ“-ნისა, სეზონურ მუშებს და მოსამსახურეებს სეზონის დამთავრების გამო დათხოვნის დროს არ ეძლევათ არც გაფრთხილება წინასწარ და არც გასასვლელი დახმარება.

ზედმეტი საათების მუშაობა და მაზე სათანადო გასამრჯელოს გაცემა ხდება საერთო წესით ყველა სეზონურ მუშებისათვის.

ა. კ. მთავარ სახელოსნოს მუშას

პასუხი

მე-11 სამილიციო უბნის მოქმედება სრულიად კანონიერია. შვილები მშობლების კმაყოფაზე ითვლებიან მხოლოდ 18 წლის ჰასაკამდე. ამიტომ იგი თქვენ ველარ მოგცემდათ მოწმობას იმის შესახებ, რომ თქვენი ოცი წლის ქალიშვილი იმყოფება თქვენ კმაყოფაზე და მას უნდა მიეცეს რკინის გზის შეღავათიანი ბილეთი „პროვიზიონკა“-ო. გირჩევთ კარგად და დაკვირვებით გადაიკითხოთ თქვენი კოლხელშეკრულება. ხომ არ არის რაიმე შეღავათი ამის შესახებ იქ დაწესებული და იმისდამიხედვით მოითხოვეთ შეღავათები.

კავშირის წევრს (წიგ. № 18258) კონსტანტინე ლომიას

პასუხი

თქვენ შეკითხვიდან არა ჩანს სრულებით, თუ რას თხოვდით თქვენ ადმინისტრაციას სამსახურიდან გასვლის დროს, ამიტომ პასუხს ველარ მოგცემთ. შეკითხვაში უნდა იქნეს მოცემული სრული და ნამდვილი ცნობები, წინააღმდეგ შემთხვევაში შემკითხველი ჩვენგან პასუხს ვერ მიიღებს.

პარტიული კალენდარი

— **ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო** იუწყება, რომ სამშაბათს 10 მაისს, საღამოს რვა საათზე განათლების მუშაკთა სახლში **შესდგება ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის შემსწავლელ პედაგოგთა წრის მორიგი მეცადინეობა.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს ცხრა მაისს, საღამოს ექვს საათზე ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კლუბის შენობაში შესდგება მეორე ქართული ჯგუფის მორიგი სხდომა, პირველი რუსული ჯგუფის სხდომა შესდგება რაიკომის ბინაზე საღამოს ექვს საათზე.

მნიშვნელოვანი საკითხების გამო სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალების დასწრება დაუგვიანებლად.

— ორშაბათს, ცხრა მაისს საღამოს ექვს საათზე **ქალაქის რაიკომის** საორგანიზაციო განყოფილების შენობაში **შესდგება თრგთათბირი.**

— **სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო** იუწყება აღნიშნული უჯრედის წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ ცხრა მაისიდან იწყება უჯრედის წევრთა და კანდიდატთა ხელახალი რეგისტრაცია. რეგისტრაცია იწარმოებს ბიურო-კოლექტივის ოთახში ამხ. შევქეთ ლორთქიფანიძესთან საღამოს ექვს საათიდან რვა საათამდის. რეგისტრაციაში გატარება ევალებათ იმ წევრებსა და კანდიდატებს, რომლებიც უნივერსიტეტის უჯრედში არ ირიცხებიან, მაგრამ უნივერსიტეტში კი სწავლობენ. რეგისტრაციის უკანასკნელი ვადაა 12 მაისი.

— **ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპ-კოლეგიის** მორიგი სხდომა შესდგება ცხრა მაისს. საღამოს ექვს საათზე—დასწრება კოლეგიის წევრებისთვის სავალდებულოა.

— სამშაბათს ათ მაისს, დილის ათ საათზე დანიშნულია **სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონ. ფაკულტეტთან არსებულ კომუჯრედის ბიუროს სხდომა.** დასწრება ბიუროს წევრთათვის სავალდებულოა. სხდომაზე აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომლებსაც განცხადებები აქვთ შემოტანილი პარტიაში მიღების შესახებ.

— **თბილისის სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი** იტყობინება, რომ ორშაბათს ცხრა მაისს, დღის პირველ საათზე მოწვეულია **სახ. უნ. არსებულ ლ. კ. კ. უჯრედთა ბიუროების ტეხნიკურ მდივნების თათბირი.** წინადადება ეძლევა ყველა ტეხნიკურ მდივნებს გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

კვირას, 8 მაისს, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში (კათოლიკების ქუჩა) შუადღის 12 ნახ. საათზე საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დამსახურებულ პროფესორ

პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც დიდი მწუხარებით აუწყებენ მისი უახლოესი თანამშრომელნი. 2658

ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამა წლის 21 აპრილს, ქ. გრაცში (ავსტრიაში) გარდაიცვალა **დიდი ენათმეცნიერი, მკვლევარი აგრეთვე ქართველურ ენებისა,** მრავალ სამეცნიერო აკადემიათა წევრი, **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი,** დამსახურებული პროფესორი, აკადემიკოსი

ჰუგო შუხარტი

(Hugo Schuchardt) 2683

სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის მე-4 კურსის ღრმად დამწუხრებული მოწაფეები: პ. ავალიშვილი, ნ. ბაქრაძე, შ. მარგველაშვილი, კ. მორჩილაძე, რ. მაყაშვილი, შ. ბოჭორიშვილი, ა. ფცქიალაძე, დ. ციმაკურიძე, ი. ისაკაძე, ვ. ხარატაშვილი, გ. ჯორბენაძე, ა. ქელენტი და მ. ყანჩაველი აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს ძვირფასი ამხანაგის

ვანიჩკა ერქომაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 2672

თავზარდაცემულნი მშობლები: კუკური და თეოფილე ერქომაიშვილები შვილებით: ისიდორე, ვიზანტია, მარო, დარიკო, ლიზიკო, ქალა და ნინიჩკა, სიძეებით: ეპიფანე კალანდარიშვილი და შალვა სოსელია, შვილიშვილებით: ემელიანე და ჟორჟიკა ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ა | წ. მაისის 7-ს, დილით 10 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი პირველთა შვილი, მეორეთა ძმა, მესამეთა ცოლისძმა და უკანასკნელთა ბიძიკო

ივანე (ვანიჩკა) თეოფილეს ძე ერქომაიშვილი

პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს, 8 მაისს, საღამოს 5 საათზე, მთავარ საავადმყოფოში (ყოფ. მიხეილის საავადმყ.) გამოსვენება 6 საათზე იქიდანვე რკინისგზის სადგურზე. დასაფლავება მოხდება გურიაში, სოფ. წითელფთაში. (ე)

დიმიტრი ილარიონის ძე კალანდარიშვილი მეუღლით და შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ 7 ამა მაისს ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ნათლული

ივანე (ვანიჩკა) თეოფილეს ძე ერქომაიშვილი

გამოსვენება ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტიდან 8 მაისს, საღამოს 6 საათზე, გურიაში წასასვენებლად. (ე)

თბილისის სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმის პედაგოგიური საბჭო და მოწაფეები აუწყებენ საზოგადოებას ტეხნიკუმის მეოთხე კურსის მოწაფის

ივანე თეოფილეს-ძე ერქომაიშვილის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. 2676

იოსებ იმედაშვილი და მისი შვილები: შალვა, გაიოზი, თამარ, ქეთევან, ნინო და ფარნაოზი განუზომელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთა და საზოგადოებას, რომ 5 მაისს, უდროოთ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე, ხოლო დანარჩენთა უსაყვარლესი დედა, სახალხო თეატრის ერთი პირველი მუშაკთაგანი

ანა ნიკოლოზ ქურულის ასული იმედაშვილისა

პანაშვიდი შაბათს, მაისის 7-ს საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე თავშესაფარის, (პრიუტის) ქუჩა № 29 დაკრძალვა მოხდება კვირას, მაისის 8-ს წმ. ნინოს სასაფლაოზე,—გამოსვენება დღის 10 სა. ქაშ. ეკლეს. 1196 2—2

ნინო ნიკოლოზის ასული ყახჩელისა, შვილებით: ლადო, ალექსანდრე, ირაკლი, ნიკოლოზი, ვახტანგი, დავით და გოგით, რძლებით: ანნა და ბაბოთი, შვილისშვილებით პაწია მიშიკო და მედეიათი უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მაისის 5 გარდაიცვალა პირველის ერთადერთი და მეორეების ერთადერთი უსაყვარლესი დეიდა, მესამეთა დედამთილის და და უკანასკნელთა დიდედის და

ანა ნიკოლოზის ასული იმედაშვილისა

გამოსვენება მოხდება დღეს, კვირას 8 მაისს, დღის 10 საათზე საკუთარი ბინიდან, პრიუტის ქ. № 29, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. „ქაშვეთის ეკლესიაში“ 2679

ღრმად დამწუხრებული შვილები: ტასო იოსების ასული, სვიმონ (სიკო), ნიკოლოზ, ალექსანდრე და გრიგოლ იოსების-ძენი ფიცხელაურები, და დარია ლევანის ასული ხარიძისა, რძალი თამარი და შვილის-შვილი ოსიკო აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ-ნაცნობთ, რომ მათი უსაყვარლესი დედის

ნატალია ლევან მთვარელიშვილის ასულ ფიცხელაურის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე კვირას, 8 მაისს, ნაშუადღევის 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. 2666

დღემდის ნუგეშ-მოკლებულნი და მწარე სევდით მოცულნი დამობლებული დედ-მამა ნადეჟდა სიმონის ასული და ექ. მიხეილ ნიკოლოზის-ძე ჟორჟოლიანები მათი პირმშო ყრმის, [illegible]

ჯ ა ნ ი [illegible]

დაკარგვის წლის თავზე, 8 მაისს, კვირას, 11 საათზე ქუთაისში, საფიჩხიას სასაფლაოზე გადაიხდიან პანაშვიდს მის მოსაგონათ. 2—2 ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი იოსებ ნიკოლოზის-ძე ქიქინაძე და მეუღლე მისი ანა კოსტანტინეს ასული შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ ბიცოლა

ელისაბედ (ლიზა) გიორგის ასულის ახვლედიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 8 მაისს, საღამოს 4 საათზე, ელისაბედის ქუჩიდან № 77, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2670

ექიმი დიმიტრი თომას-ძე ახვლედიანი შვილებით: ელენე, ნინო, ალექსანდრე, გიორგი მარიამი და რძალი ლარისსა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 5 მაისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე და მეორეთა დაუვიწყარი დედიკო

ელისაბედ (ლიზა) გიორგის ასული ახვლედიანისა

გამოსვენება კვირას, 8 მაისს, საღამოს 4 საათზე, პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 საათზე (ელისაბედის ქ. № 77). ნ. 2—2

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი და მისი თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 მაისს უბედურ შემთხვევის გამო მოულოდნელად გარდაიცვალა დაუღალავი მუშაკი საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურის მევენახე, სწავლული აგრონომი

კონსტანტინე კუსიანი

გამოსვენება მოხდება ორშაბათს, 9 მაისს საქარის საცდელ სადგურიდან ს. სარეკში, შორაპნის მაზრა, დაკრძალვა სამშაბათს 10 მაისს. 2677

საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და საზოგადოებას, რომ 6 მაისს უბედურ შემთხვევის გამო მოულოდნელად გარდაიცვალა უძვირფასესი და საყვარელი თანამშრომელი, სადგურის მევენახე, სწავლული აგრონომი

კონსტანტინე კუსიანი

გამოსვენება მოხდება ორშაბათს 9 მაისს საქარის საცდელ სადგურიდან ს. სარეკში (შორაპნის მაზრა), დაკრძალვა სამშაბათს 10 მაისს. 2678

სახელმწიფო ოპერის აკადემიური თეატრი, კვირა, 8 მაისი, 1927 წ.

კომპოზიტორ კოტე მეღვინეთ-უხუცესის დიდი კონცერტი

სამ განყოფილებათ.

„ამირანი“ მონაწილეობას იღებენ სახ. ოპერის მსახიობნი: **სანდრო ინაშვილი, ვოლჩანეცკაია, ქუმსიაშვილი, ვენაძე** და სხვ. როიალთან და ჰარმონიუმთან: **კოტე მეღვინეთ-უხუცესი** და სახ. ოპერის ლოტბარი **ა. მელიქფაშაევი. დაწვრილებითი პროგრამმა აფიშებში.**

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის სალაროში. 3—1 ნ. 1141

აპოლლო ტელ. 7—61.

სოლეი ტელ. 20—44.

არფასტო ტელ. № 19—22.

დარბაზი ტელ. 14—03.

0—4 ნ. 1099

არაჩვეულებრივი სურათი

„მეორმოცდა-41-ერთე“

ი. ა. პროტაზანოვის დადგმა

ვოიცეხის, ი. კოვალ-სამბორსკის და შტრაუხის მონაწ.

ანონსი: ამ დღეებში კინო „აპოლოში“—მსოფლიოში განთქმული სურათი „მ ხ დ ა ლ ი“.

მხატვრული სურათი „ქ უ ჩ ი ს შ ვ ი ლ ი“

მთავარ როლში—**ლია მარა** (მსოფლიოში განთქმულ სურათის „მისს ბერილას“ გმირი).

2 სერია, 11 ნაწილი ერთად.

უკანასკნელად თბილისში „მ ი ს - მ ე ნ დ“

პირველი და მეორე სერია ერთად

ორშაბათიდან „მ ი ს - მ ე ნ დ ი ს“ მესამე სერია

ანონსი: მალე საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მ ა ქ ს ი მ მ ა ქ ს ი მ ი ს-ძ ე“

ცირკი

დამსახურებულ მსახიობების **ძმ. ტანტების** ხელმძღვანელობით

ტელ. 16—67

1—1 ნ. 1153

დღეს, 1927 წლის 8 მაისს

ორი სანახობა **დღისით** მე-41-ე შრომის სკოლის მშობელთა კომიტეტის სასარგებლოთ დასაწყისი 1 ნახ. სათ.

საღამოთი ჭიდაობის ჩემპიონატის უკანასკნელი დღე. ჯილდოების დარიგება

გადამწყვეტი ჭიდაობა

ბული, როშჩინი, წითელი ნიღაბი, ბორისოვი. სკარბე, ერტნერი.

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

თბილისის რაიონული საბაჟო

აცხადებს, რომ 16 მაისს და შემდეგ დღეებში, დილის 8 საათისათვის, საბაჟოს ეზოში, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ჩამორთმეულ კონტრაბანდულ საქონლების გასაყიდათ.

გაიყიდება შევიოტი, ინდიგო, კოვერკოტი, კრეპდიშინი, ლიონის შარფები, ქალის და კაცის წინდები, ტყავი ლაქის, ზამშისა და შევროსი, ბუდრი და სხვა.

თბილისის რაიონული საბაჟო.

ნ. 1144

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალი „თანამედროვე მედიცინა“-ზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.

ჟურნალის ფასი	1 წლით . .	10 მან.
	½ წლით. .	5 მან.
	ცალკე ნომერი	1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

2428 25—12

ჟ უ რ ნ ა ლ

„ქართული მწერლობა“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ანგარიშების საბოლოოდ გამოსარკვევად ვსთხოვთ ჟურნალ „ქართულ მწერლობა„-ს ხელისმომწერთ საჩქაროდ გვაცნობონ—რამდენი ხნით აქვთ გამოწერილი მწერალთა კავშირის აგენტებისაგან ჟურნალი, რა გადაიხადეს და ხელისმოწერის ქვითარის №-რი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალის გზავნა შეფერხდება.

მისამართი: თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „ქართული მწერლობას“ რედაქციას. ნ. 1152

რესპუბლიკის ცენტრალური არქივი

1927 წელს მაისის 10, დილის 10 საათზე

საჯარო ვაჭრობით

გაყიდის (ლენინის ქ. № 48)

მაკულატურას, (უვარგის ქაღალდებს) და სხვადასხვა ოდნავ დაზიანებულ ნივთებს: (გუთანს, ქვაბებს, რკინის ლუმელს და სხვა რკინეულობას).

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ცენტრარქივის სამმართველოში ყოველდღე დილის 10 საათიდან 2 საათამდე. ნ. 1140 2—1

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუხჰალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

მიღება სწარმოებს მაისის 15-დან ან მდივანთან, ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პროსპექტი № 66 ან კურსების გამგე **იოვანე ზაქარიას-ძე ტერ სტეფანოვთან ბოჭორიშვილის ქ. (1 თუმანოვის) № 13.** 2665

კვირას, **8** მაისს, დასაწყისი შუადღის 12½ საათ.

დ ო ღ ი

პირველად მონაწილეობენ პარიზიდან ჩამოყვანილი ცხენები. შემდეგი დოღი: 15, 22, 29 მაისს და 5 და 12 ივნისს. 1149

საპაიო ამხანაგობა ქ. თბილისის კოოპერ. ორგანიზაციათა გემოკვების მრეწველობის საწარმოო გაერთიანებისა

„წ ა რ კ ო ო პ“

1927 წლ. 7 მაისიდან

დაუკლო ფასები თავისი ფაბრ-ბის ნაწარმოებზე.

სამაკარონო ფაბრიკის: მაკარონი, ვერმიშელი, კრახმალი, ლილა.

საკონდიტრო „ „ კონფექტები, შოკოლადი, კარამელი.

საგალეტო „ „ ნამცხვარი, საბავშვო ფქვილი, ყავა.

ყოველთვის ახალი კარგი ხარისხ. საქონ. უსუროგატოთ.

საქონელი გაიცემა ყოველგვარი რაოდენობით.

სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს

შეღავათიანი პირობები.

გამგეობის მისამართი—ეორესის ქ. № 7 (ყოფ. კირკის) ტელეფონი 21-75.

ქ. თბილისის მე-5 რაიონ. სასამარ. აღმასრულებელი გეგელაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 13 მაისს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 5, მუშტაიდის შესახ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ავალოვის მოძრავ ქონებას, რომელიც შესდგება სახლის ავეჯეულობიდან შეფასებულს 172 მანეთად, ა.-კ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველ. სანაპირო დაცვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 6 აპრილს 1927 წ. თარიღით, № 23786 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 2669

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბომონდი“.)

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმხვენების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

ექიმი

მეგრაბიანცი

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური ნმთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—16

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

ექიმი

კონსტ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (ამსივენე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლათ. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 14 მაისს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 11, კატოლიკების ქუჩა, მე-4 სამილიციო უბანში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის აიკანუშ კანანოვის სახლს ტიგრან შერმაზანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს 13 ოქტომბერს 1926 წ., თარიღით № 3157, გაცემულ სასამართლოს ბრძანების ძალით; ეს სახლი არის ერთ სართულიანი, დაუმთავრებელი, დახურული თუნუქით, შეფასებულია 2500 მან.

მყიდველმა უნდა დაიცვას სამოქ. საპ. კოდ. 311, 312 მუხლებში აღნიშნული წესები. 2674

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 11 მაისს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 1 კოჯრის ქუჩაზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ხაჩატურ აფრიკიანცის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს და სხვა ბინის მოწყობილობას, შეფასებულს 523 მანეთად, თბილისის ქალაქის ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 11 აპრილს, 1927 წ. თარიღით, № 1528 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. ნ. 1147

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 11 მაისს 1927 წ. შუადღის 3 საათზე სახლში № 64 ბებუთოვის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ირაკლი ბილანიშვილის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს, ხალიჩებს, ჭურჭელს და სხვ. შეფასებულს 605 მანეთად, იაგორ აჯიმამუდოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 აპრილის 1927 წ. თარიღით, № 1104 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 2681

ე ქ ი მ ი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

1-ლი ქართული საარტილერიო ლეგიონს ჰყავს

7 დაწუნებული ცხენი,

რომლებსაც გადასცვლის არმიისათვის ვარგის ცხენებზე ხელსაყრელ პირობებში.

პირობების გაგება და ცხენების ნახვა შეიძლება ლეგიონში (საბურთალო) ყოველდღე 8—15 საათამდე. 2667

მედმუშაკთა კოლექტივი

აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის

ექიმთა გამოძახება სახლში

მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:

1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკიის) ოლღას ქუჩაზე.

2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.

3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.

4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.

5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.

ექიმის გამოძახება—60 კ.

საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.

საფასურის გადახდა პუნქტ ებზე.

იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 25—19

დაკარგე დაზღვევის წიგნაკი № 7, იონა ოტიას-ძე ჯიქიას სახელზე, მიღებული ქ. სასაკლაოს ადგილკომისაგან ჩ. გ. 2864

დაკარგე მეტალისტთა კავშირის წიგნაკი № 92, შალვა ფოფხაძის სახელზე, ჩ. გ. 1148

დაკარგე განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 4729, თამარ დავითის ასული ჩიჯავაძის სახელზე, ჩ. გ. 2680

დაკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი, გაცემული მე-9 კომისარიატის სამხედრო მაგიდიდან, სტუდენტობის მოწმობა და ცენტრალურ გამსახლის საავადმყოფოში ნამსახურების მოწმობა, თედორე სულავას სახელზე, ჩ. გ. 2675

დაკარგე ორი აქციის ღირებულების ქვითრები თბილისის კომუნალური ბანკის სესხის განყოფილებისაგან შეძენილი №№ 127 და 259 და პირადობის მოწმობა, გაცემული ბანძის თემ-აღმასკომის მიერ № 490, მოშე იოსების-ძე აჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2671

დაკარგე უცხოეთის პასპორტი № 11679, გაცემული სარქის ენვეის-ძე ივანოვის სახელზე (სპარსეთის ქვეშევრდომი) ჩ. გ. 2673

დაკარგე პასპორტი № 94, ესე სიმონის-ძე ბურჭულაძეს სახელზე, ჩ. გ. 2686

დაკარგე განათ. მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 18669, გაცემული ივანე კვიცარიძის სახელზე, ჩ. გ. 2685

იყიდება სახლი

ნაძალადევში, ლოტკის გორაზე, ბახმაროს ქ. სახლი ინჟენერ ვერესლოვისა.

ცნობების მიღება შეიძლება: თავისუფლების მოედანი ყოფ. თამამშევის ქარვასლა „ელექტრო-სელ-სტროი“. 2668

პომიდორის ნერგებს

ჰყიდის ხელმისაწვდომ ფასებში ვერაზე, დუშეთის ქ. № 3 ავსარქისოვი—საღამოს 5-დან 8 საათამდე. 2582

ტფილისის ალმასკომის საფინანსო

ამით აცხადებს შენობაზე გადასახადის

გადამხდელთა საყურადღებოდ,

რომ 4 მაისს დაიგზავნება სავალდებულო უწყებები 1926—27 საბ. წლის შენობების (შეფასებითი) გადასახადისა.

გადამხდელთ, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო ვერ მიიღებენ სავალდებულო უწყებებს, [illegible]

[illegible] 1-ლ ივნისამდე.

[illegible] 15 ივნისს, ხოლო მეორე ნახევარი—15 [illegible]

საფინანსო განყ. გამგე [illegible]

ნ. 1151

ექიმი მედემანიშვილის სახელობის სამკურნალო.

[illegible]

ექიმი ი. შ. მჭედლიშვილი

[illegible] 25—5

სამკურნალო მორიგეობა

[illegible] 13—1

საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიული ამხ-ბა „მჭყემსი“-ს შენაერთი ბალანსი

1-ლ იანვრისათვის 1927 წლის

აქტივი

№№ რიგ.	ამხ-ბის სახელწოდება	გამგეობა		განყოფილებანი		ს უ ლ	
1	სალარო	991	36	7.508	79	8.500	15
2	ფასიანი ქაღალდები	—		6	00	6	00
3	უცხო ვალუტა	494	18	—		494	18
4	სახელმწ. ბანკში	883	66	—		883	66
5	აქციები	28.222	00	—		28.222	00
6	საპაიო თანხა (აქციები)	35.000	00	—		35.000	00
7	ქონება	35.768	50	26.680	15	62.448	65
8	[illegible]	5.755	34	2.552	09	8.307	43
9	[illegible]	87	00	112	00	199	00
10	[illegible]	11.008	04	108.681	59	119.689	63
11	[illegible]	1.408	59	33.531	35	34.939	94
12	[illegible]	3.966	20	2.820	43	6.786	63
13	[illegible]	37.159	32	65.334	10	102.493	42
14	[illegible]	176.632	58	—		176.632	58
15	[illegible]	570.194	54	1.000	00	571.194	54
16	[illegible]	—		95.948	42	95.948	42
17	[illegible]	—		5.981	13	5.981	13
18	[illegible]	—		2.512	00	2.512	00
19	[illegible]	—		7.500	00	7.500	00
	ბ ა ლ ა ნ ს ი	909.791	31	360.167	37	1269958	68

პასივი

№№ რიგ.	ამხ-ბის სახელწოდება	გამგეობა		განყოფილებანი		ს უ ლ	
1	ძირითადი თანხა	21.396	74	35.000	00	56.396	74
2	სათადარიგო „	49.103	09	—		49.103	09
3	სპეციალური „	24.679	64	—		24.679	64
4	სახელმწიფო ფონდ. და თანხ.	40.000	00	—		40.000	00
5	[illegible]	—		696	00	696	00
6	[illegible]	9.680	00	—		9.680	00
7	[illegible]	25.811	28	—		25.811	28
8	[illegible]	570.194	54	—		570.194	54
9	[illegible]	12.144	14	61.942	13	74.086	27
10	[illegible]	—		29.923	53	29.923	53
11	სხვ. და სხვ. პირნი და დაწეს.	17.968	42	24.947	45	42.915	87
12	თანამშრომლები	—		2.023	32	2.023	32
13	[illegible]	68	06	65	52	128	58
14	[illegible]	—		1.070	45	1.070	45
15	[illegible]	—		27.871	39	27.871	39
16	[illegible]	122.700	00	—		122.700	00
17	[illegible]	—		176.632	58	176.632	58
18	1926 წლ. მოგება	16.045	40	—		16.045	40
	ბ ა ლ ა ნ ს ი	909.791	31	360.167	37	1269958	68

გამგეობის თავმჯდომარე [illegible]

გამგეობის წევრი [illegible]

სარევიზიო კომისიის წევრი ხ. თავდიშვილი

[illegible] კაპანაძე ნ. 1143

ალმასკომის სტამბა, [illegible] ქ. 48.